

დავით შოჭუას
სახელოების
ტერორიზმის
კვლევის ჟურნალი
2021

გამოცემა №2

ISSN 2720-8141

 **GCSD**  **TRC**



ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC), საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად, საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ თემების შემსწავლელ თეორეტიკოსებს და შესაბამის პრაქტიკოსებს, რათა ქვეყანაში ტერორიზმის და მისი მომიჯნავე მიმართულებებით განხორციელებული პოლიტიკა სამეცნიერო მტკიცებულებებსა და სიღრმისეულ ანალიზზე იყოს დამყარებული. ჩვენი სურვილია, წავახალისოთ და განვითარების საშუალება მივცეთ ხსენებული თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, რომლებიც მომავალში გადანაცვების მიმღები პირები გახდებიან. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ინიციატივას დავით ჭოჭუას სახელობის სასტიპენდიო პროგრამის შექმნა წარმოადგენს.

დავით ჭოჭუას სახელობის სასტიპენდიო პროგრამა, დღეისათვის არსებული სახით, GCSD-მ 2019 წელს აამოქმედა. ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ცენტრისთვის მნიშვნელოვანია შექმნას ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც საინტერესო იქნება ახალგაზრდა მკვლევარებისთვის. ამავდროულად, სურვილი გვქონდა, ეს ინიციატივა დაგვეკავშირებინა იმ ადამიანის სახელთან, რომელმაც საქართველოში ტერორიზმის კვლევას ჩაუყარა საფუძველი და ამ მხრივ, უმაღლესი სტანდარტი დაამკვიდრა. ტერორიზმის შესახებ ახალგაზრდების მუშაობის წახალისებით, გვსურს პატივისცემა გამოვხატოთ იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ღირსეულად დაიწყო ამ მიმართულებით გზის გაკვალვა.

სწორედ ამ ინიციატივის თვალსაჩინო და ხელშესახებ შედეგს, წინამდებარე ჟურნალის მეორე გამოცემა წარმოადგენს, რომელიც ორი კვლევითი ნამუშევრისგან შედგება. მნიშვნელოვნად მივიჩნით, გამოცემა დაგვეწყოს ნაშრომით, რომელიც ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის წინააღმდეგ განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციების მნიშვნელობას განიხილავს. მეორე კვლევა დეტალურად აღწერს ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლას ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ.

დავით ჭოჭუას სახელობის სტიპენდიის ცენტრი ყოველ წელს გასცემს. მომავალ სტიპენდიანტთა ნაშრომებს ჟურნალის შემდგომ გამოცემებში ვიხილავთ. იმედი გვაქვს და ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ ეს ინიციატივა გაიზარდოს, გახდეს უფრო მასშტაბური და მეტ ადამიანს მისცეს ამ მიმართულებით განვითარების საშუალება. GCSD-ის და პირადად ჩემი ამოცანა ყოველთვის იქნება ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათში არსებული უდიდესი პოტენციალის გამოყენება და დაფასება.

მინდა მადლობა გადავუხადო და წარმატებები ვუსურვო მეორე გამოცემაში გამოქვეყნებული ორივე ნაშრომის ავტორს, მე კი მოუთმენლად ველოდები შემდეგ ნაკადთან მუშაობას!

მარიამ თოხაძე

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის დირექტორი

სარჩევი

ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით 2001 წლიდან დღემდე. ნინო ბერუაშვილი

აბსტრაქტი	5
შესავალი	6
1. ცვლადების განმარტება	7
2. ლიტერატურის მიმოხილვა	8
3. აშშ-ის ბრძოლა ტერორიზმის დაფინანსებასთან	10
3.1 - ტერორიზმის დაფინანსების ძირითადი წყაროები	10
3.2 - აშშ-ის მიერ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა 9/11 ტერაქტამდე	13
3.3 - 9/11 ტერორისტული აქტი	16
3.4 - ცვლილებები ეროვნულ დონეზე 9/11-ის შემდეგ ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით	18
3.5 - ცვლილებები საერთაშორისო დონეზე ტერორიზმის დაფინანსების კუთხით	22
შედეგები	26
დასკვნა	29
გამოყენებული ლიტერატურა	3

ლიდერებზე თავდასხმა, როგორც ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია. მარიამ ქართველიშვილი

აბსტრაქტი	35
შესავალი	36
ლიტერატურის მიმოხილვა	37
მეთოდოლოგია	38
თეორიული ჩარჩო	39
ლიდერის ლიკვიდაციის სტრატეგიული ხედვა	40
ლიდერის ლიკვიდაციის/ჩამოშორების წარმატებული გამოცდილება	40
შოკო ასაჰარა - აუმ შინრიკო	42
ლიდერის ლიკვიდაციის/ჩამოშორების წარუმატებელ გამოცდილება - ალ კაიდა ოსამა ბინ ლადენი	43
ორგანიზაციის „ასაკი“	45
ბიუროკრატის როლი	45
იდეოლოგიის როლი ორგანიზაციის გამძლეობაში	47
დასკვნა	48
გამოყენებული ლიტერატურა	49
დანართები	50

ამერიკის შეერთებული
შტატების გამოსცდილება
თერორიზმის
დაფინანსებასთან
ბრძოლის კუთხით 2001
წლიდან დღემდე

ნინო ბერუაშვილი

აბსტრაქტი

კვლევა შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლას ტერორიზმის დაფინანსებასთან 9/11-ის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ტერორიზმის დაფინანსება სახელმწიფოებრივი თუ არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ მნიშვნელოვნად ართულებს ტერორიზმთან ბრძოლას. აშშ-მ 2001 წლის 9/11-ის ტერაქტის შემდეგ გაზარდა ბრძოლა ტერორიზმის დაფინანსების წყაროების აღმოჩენის, შეზღუდვის და პრევენციის კუთხით. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია მიმოვიხილოთ აშშ-ს მიერ გადადგმული ნაბიჯები ტერორიზმის დაფინანსების აღმოსაფხვრელად ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე 2001 წლის შემდგომ 9/11 ტერაქტიდან 20 წლის თავზე.

საკვლევი პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაჩნდა კითხვა, რამდენად ეფექტური გამოდგა აშშ-ს მიერ მიღებული ზომები ტერორიზმის დაფინანსების აღმოჩენის, შეზღუდვის და პრევენციის საქმეში. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად, კვლევაში გამოყენებულ იქნა 'ქეისის შესწავლის' (Case Study) სტრატეგია. კვლევის პროცესში დავეყრდენი აღნიშნულ საკითხზე არსებულ ოფიციალური დოკუმენტებისა და აკადემიური წყაროების, კერძოდ, სტატიებისა და წიგნების მიმოხილვასა და ანალიზს. ამასთანავე, ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერებისა და მკვლევარების ნაშრომების ანალიზს.

კვლევის პროცესში შესწავლილი და დამუშავებული მასალა გვიჩვენებს, რომ აშშ-მ 2001 წლის 9/11 ტერაქტის შემდეგ გაამკაცრა ზომები, რომლითაც იგი უპირისპირდება ტერორიზმის დაფინანსებას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფოებრივი აქტორის მიერ. აღნიშნული ზომები ითვალისწინებს, როგორც ეროვნულ დონეზე კანონმდებლობის ცვლილებას, ასევე საერთაშორისო დონეზე გადადგმულ ნაბიჯებს.

საბოლოოდ, დადგინდა, რომ აშშ-ის მიერ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები ამცირებს ტერორიზმის დაფინანსების მასშტაბებს ფორმალურ საფინანსო სისტემაში, თუმცა ტერორიზმის დაფინანსების სრულად აღმოსაფხვრელად მხოლოდ ფინანსებზე მიყოლა საკმარისი არაა ტერორიზმის დაფინანსების ქსელების მრავალფეროვნების და მოქნილობის გამო.

Summary

The study focuses on the United States' fight against terrorist financing in the aftermath of the 9/11 terrorist attacks. As we know, the financing of terrorism by state or non-state actors significantly complicates the fight against terrorism. The U.S. has stepped up and expanded its fight to identify, limit, and prevent sources of terrorist financing since the 9/11 terrorist attacks. Therefore, the purpose of this study is to review the steps taken by the United States to eliminate terrorist financing both nationally and internationally over the 20 years following the 9/11 terrorist attacks in 2001.

Given the specifics of the research problem, the question arose as to how successful and effective the measures taken by the US were in detecting, restricting and preventing terrorist financing. To answer the research question, the study used the 'Case Study' strategy. In the course of the research, I relied on a review and analysis of official documents and academic sources on the subject, in particular articles and books. In addition, the analysis of the works of scientists and researchers working on this issue.

Material reviewed and processed during the study shows that the US has increased and strictened the measures since the 9/11 terrorist attacks in 2001 to counter terrorist financing by various state or non-state actors. These measures include changes in legislation at the national level as well as steps taken at the international level.

Finally, it has been approved that Steps taken by the US against terrorist financing reduce the scale of terrorist financing in the formal financial system, although tracking finance to eliminate terrorism financing alone is not enough due to the diversity and flexibility of terrorist financing networks.

შესავალი

ალ-ქაიდა, ისლამისტური მილიტარისტული ორგანიზაციაა, რომელიც ოსამა ბინ ლადენმა 1980-იან წლებში დააფუძნა. ყველაფერი ლოგისტიკური ქსელის შექმნით დაიწყო, რომელიც მუსლიმებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა დახმარებოდა ავღანეთის ომის დროს. 1989 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა ავღანეთი დატოვა, ორგანიზაციამ განაგრძო, მათი ლიდერების აზრით, კორუმპირებული ისლამისტური რეჟიმებისა და უცხოური წარმომადგენლობის [ე.ი. აშშ] წინააღმდეგ ბრძოლა. ალ-ქაიდამ 'წმინდა ომი' გამოუცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს. მთელს მსოფლიოში ათასობით მუსლიმი სამხედროსთვის ბანაკების შექმნისა და მათი გაწვრთნის პარალელურად, მისმა აგენტებმა არაერთი ძალადობრივი თავდასხმა განახორციელეს ამერიკული სამიზნეების წინააღმდეგ. მათ შორის, აღსანიშნავია, აშშ-ის საელჩოების განადგურება ნაირობიში, კენიასა და ტანზანიაში (1998), თვითმკვლელი ტერორისტის თავდასხმა აშშ-ის სამხედრო გემზე იემენში (2000). აშშ-ის წინააღმდეგ ალ-ქაიდამ ყველაზე მასშტაბური თავდასხმა 2001 წლის 11 სექტემბერს განახორციელა ერთდროულად რამდენიმე ადგილას (The editors of Encyclopaedia Britannica).

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული თვითმფრინავები 19-მა პირმა გაიტაცა. ერთ-ერთი თვითმფრინავი ვაშინგტონში, პენტაგონის შენობას დაეჯახა, მეორე ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობას, მესამე კი პენსილვანიაში, შანკვილთან ახლოს ჩამოვარდა. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, თავდასხმა ალ-ქაიდას ლიდერის, ოსამა ბინ ლადენის, მიერ იყო ორკესტირებული (CNN). თავდასხმის შედეგად კი 3 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

9/11 ტერორისტული თავდასხმის შედეგად მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა პირველ ორ კვირაში \$123 მილიარდი დოლარი შეადგინა (შემცირებული საჰაერო მიმოსვლის გათვალისწინებით) (CNN). თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანი აშშ-ის საერთაშორისო იმიჯს მიაღწა, რამაც ქვეყნის ტერორიზმისა და ტერორისტული დაჯგუფებების მიმართ დამოკიდებულება სრულიად შეცვალა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა ტერორიზმს და საგანგებო ანტი-ტერორისტული პაკეტი აამოქმედა, რომლის ღირებულებაც 40 მილიარდი დოლარი იყო. ბუშმა კონგრესის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენი ომი ტერორიზმზე ალ-ქაიდათი იწყება, მაგრამ მისით არ მთავრდება. ეს ომი არ დამთავრდება მანამ, სანამ ყველა ტერორისტულ დაჯგუფებას არ ვიპოვით, შევაჩერებთ და დავამარცხებთ“. ჯორჯ ბუშმა ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა გამოაცხადა - „ჩვენ შევაჩერებთ ტერორიზმის დაფინანსებას და ტერორისტებს ერთმანეთის წინააღმდეგ დავაპირისპირებთ ... ჩვენ მივაკვლევთ ქვეყნებს, რომლებიც დახმარებას უწევენ და თავშესაფრით უზრუნველყოფენ ტერორისტებს. რეგიონის ყველა სახელმწიფომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს: ან ჩვენთან ხართ, ან ტერორისტებთან“ (Bush, G. W., 2001).

ბუშის ამ გამოსვლას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა ტერორიზმის დაფინანსებასთან და მსოფლიოში არაერთი სახელმწიფო მასთან ერთად ჩაერთო ამ ბრძოლაში. ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია, აღმოჩენა და აღმოფხვრა გახდა აშშ-ის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი და ამ მიზნით არაერთი ინსტიტუტი შეიქმნა, როგორც სახელმწიფოს შიგნით ფედერალურ თუ ეროვნულ დონეზე, ასევე მსოფლიოში, საერთაშორისო დონეზე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ტერორისტული თავდასხმებიდან 20 წლის შემდეგ, მნიშვნელოვანი და აქტუალურია იმის დადგენა, რა მექანიზმები ამოქმედდა 9/11-ს შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურ და ეროვნულ დონეზე საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად და როგორ დაუპირისპირდა საერთაშორისო საზოგადოება ტერორიზმის დაფინანსების პრობლემას.

კვლევის ფარგლებში შევეცდები შევაფასო, რამდენად წარმატებული გამოდგა აღნიშნული ინსტრუმენტები ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, აღმოჩენისა და აღმოფხვრის კუთხით. ამასთანავე, გამოიღო თუ არა აშშ-ის და საერთაშორისო საზოგადოების ქმედითმა ნაბიჯებმა ის შედეგი, რისი იმედიც 'ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის' გამოცხადებისას აშშ-ის პრეზიდენტს ჰქონდა.

ნაშრომში გამოყენებული იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. დავყვარდნობი პირველად და მეორეულ წყაროებს - ოფიციალურ დოკუმენტებს, გაეროს რეზოლუციებს, კონგრესის მოხსენებებს, ოფიციალურ სამთავრობო ვებ. გვერდებს; ლიტერატურის მიმოხილვის სახით კვლევის აუდიტორიას განაცნობ სხვა მკვლევარების მოსაზრებებს ჩემი საკვლევი საკითხის გარშემო. ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ამოქმედებული მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად მოვიშველიებ სტატისტიკურ მონაცემებს.

არსებული მეცნიერული ცოდნის ნაკლოვანებები - 9/11-ის ტერორისტული თავდასხმა, როგორც მსოფლიოში ყველაზე ფართომასშტაბიანი და აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული მოვლენა, მუდმივად მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო. არაერთი სამეცნიერო კვლევა არსებობს ჯორჯ ბუშის 'ტერორიზმის წინააღმდეგ ომის' თაობაზე, თუმცა ნაკლებადაა შესწავლილი უშუალოდ ტერორიზმის დაფინანსების კუთხით აშშ-ის მიერ გადადგმული ნაბიჯები. კვლევის ფარგლებში შევეცდები აღნიშნული საკითხი სიღრმისეულად ვიკვლიო და შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით გავაკეთო დასკვნები.

კვლევითი ნაშრომი საინტერესო იქნება საერთაშორისო ურთიერთობებით, საერთაშორისო ტერორიზმით დაინტერესებული პირებისა და მათთვის, ვისაც განსაკუთრებულად აინტერესებს ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ფინანსური სისტემა და სხვ.

1. ცვლადების განმარტება

კვლევით ნაშრომში წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შევეცდები დავამტკიცო ჰიპოთეზა: აშშ-ის მიერ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა ამცირებს ტერორიზმის დაფინანსებას. შესაბამისად, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში 9/11-ის შემდეგ წარმოდგენილი ინსტიტუტები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამცირებს ტერორიზმის დაფინანსების შესაძლებლობებს და ეფექტურია მისი პრევენციისა და აღმოჩენა/აღმოფხვრის კუთხით.

დამოუკიდებელი ცვლადი აშშ-ს ბრძოლაა ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგოდ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ხოლო დამოკიდებული ცვლადი - ტერორიზმის დაფინანსების მასშტაბები.

კვლევით ნაშრომში ტერმინი 'ტერორიზმის დაფინანსება' 2001 წლის ტერაქტის შემდეგ აშშ-ს კანონმდებლობაში წარმოდგენილი ვერსიით იქნება გამოყენებული: „ტერორიზმის მატერიალური მხარდაჭერის დანაშაული ჩადენილია მაშინ, როდესაც ვიღაც „მატერიალ დახმარებას უწევს ან რესურსებით უზრუნველყოფს ან მალავს/ შენიღბავს რესურსების თუ მატერიალური დახმარების ბუნებას, ადგილმდებარეობას ან წყაროს, როცა იცის ან განზრახულია, რომ მათი გამოყენება მოხდება სტატუტით განსაზღვრული ნორმების დამრღვევი აქტის მოსამზადებლად ან განსახორციელებლად“. სტატუტი განმარტავს, რომ „მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსები' გულისხმობს ნებისმიერ საკუთრებას, ხელშესახებას ან არახელშესახებას, სერვისებს, მათ შორის სავალუტო ან მონეტარულ ინსტრუმენტებს და ფინანსურ უსაფრთხოებას, ფინანსურ სერვისებს, ლოგისტიკას, წვრთნებს, ექსპერტულ რჩევებს და დახმარებას, თავშესაფრებს, ყალბ დოკუმენტებს ან იდენტიფიკაციას, საკომუნიკაციო აღჭურვილობას, ხელსაწყოებს, იარაღს, ლეტალურ ნივთიერებებს, ასაფეთხებელ ნივთიერებებს, პერსონალს, ტრანსპორტირებას, გარდა სამედიცინო მასალებისა“ (Dr. Passas, N. 2010).

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2001 წლის 24 სექტემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა, კონგრესის წინაშე განაცხადა: „ჩვენ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა რესურსს მივმართავთ ტერორიზმის წინააღმდეგ ომში გასამარჯვებლად: დიპლომატიის ყველა არხს, დაზვერვის ყოველ ხერხს, სამართალდაცავთა ყველა ინსტრუმენტს, ფინანსურ გავლენას. ჩვენ ჩავახშობთ ტერორიზმის დაფინანსებას, დავაპირისპირებთ მათ ერთმანეთთან, გამოვდევნით მათ უსაფრთხო სამალავებიდან და სასამართლოს წინაშე წარვადგენთ“. მართლაც, აშშ-ის „ტერორიზმთან ომმა“ ფართო მასშტაბი მიიღო და არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე არაერთი მექანიზმი ამოქმედდა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარმატებით გაართვა თავი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას-აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პერსპექტივიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი - სამშობლოსა და ამერიკელების დაცვა თავდასხმებისგან - მიღწეულ იქნა. სწორედ ამ ბრძოლის შედეგად 9/11-ის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ სალაფიტების თავდასხმებს მხოლოდ 100 ადამიანის სიცოცხლე შეენირა. სალაფიტურ თავდასხმებში იგულისხმება ალ-ქაიდას, ISIS-ის და სხვა მსგავსი ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ან მათი ინსპირაციით ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც ქადაგებენ ისლამის გადაგვარებულ, არავთენტურ ვერსიას (O’Hanlon, M. E. 2021).

მიუხედავად ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ფართო მასშტაბისა მკვლევარები ჯენი, კ. და გირალდო ნაშრომში „ტერორიზმის დაფინანსება და სახელმწიფოს პასუხი - შედარებითი პერსპექტივა“ აყალიბებენ მოსაზრებას, რომ ფორმალური თუ არაფორმალური ფინანსური სისტემით მანიპულირება ტერორისტებს მარტივად შეუძლიათ. მრავალფეროვანი რესურსები და ფულადი გადარიცხვის მეთოდები, რომელთაც დეცენტრალიზებული და მოქნილი ტერორისტული ქსელები იყენებენ, სახელმწიფოთა პოლიტიკის საპასუხოდ ერთი მეთოდიდან მეორეზე გადასვლის საშუალებას იძლევა. ტერორისტები უფრო მეტად მიმართავენ ისეთ არაპერსონალურ, თვითმყოფად მექანიზმებს, როგორებიცაა დამოუკიდებელი კრიმინალური წამოწყებები, ფონდების დივერსიფიკაცია საქველმოქმედო ორგანიზაციების გამოყენებით, უკანონო ბიზნესები და სხვა (Giraldo, J. K., & Trinkunas, H. A., 2007).

ამ მოსაზრებას იზიარებს პასაც, რომელიც თავის კვლევით ნაშრომში „ტერორიზმთან ბრძოლა შეცდომით: არაფორმალური ფულადი გადარიცხვების კონტროლდებული რეგულაციები“ წერს, რომ ბევრი ტერორისტული ოპერაცია სულაც არაა ძვირი და მნიშვნელობანი ზიანის მიყენება შესაძლებელი რამდენიმე ასეული აშშ დოლარით, რომელიც არსებულ მკაცრ წესებს შეიძლება გამოაპარო. პასაცს აზრით, არსებული რეგულაციების პირველი სერიოზული პრობლემა კოორდინაციის ნაკლებობაა ფედერალურ და სახელმწიფო პოლიტიკას შორის, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, იწვევს ნაკლებ გამჭვირვალობას, შემცირებულ ნდობას ეთნიკურ საზოგადოებებსა და ხელისუფლებას შორის (Passas, N. 2006).

ზოგი მკვლევარი თვლის, რომ უშუალოდ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელმაც ტერორიზმის პრევენციას უნდა შეუწყოს ხელი, მეტ-ნაკლებად წარმატებულად მიმდინარეობს. ხარჯისა და სარგებლის ანალიზი (Cost-Benefit Analysis) დასავლური სამყაროსთვის უარყოფითისკენ იხრება, ვინაიდან მოსახლეობის დასაცავად მილიარდები იხარჯება, ტერორისტული თავდასხმების განსახორციელებლად კი მხოლოდ რამდენიმე ათასი დოლარია საჭირო.

ამერიკული პროგრესის ცენტრის უფროსი მკვლევარი ბრაიან კატულისი თვლის, რომ აშშ-ის 9/11 შემდგომმა საგარეო პოლიტიკამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რადგანაც დიდი ტერორისტული თავდასხმა აშშ-ის ტერიტორიაზე 9/11-ის შემდეგ აღარ მომხდარა. თუმცა,

პოზიტიური შედეგების მოსატანად დიდი სტრატეგიული, მატერიალური და ადამიანური რესურსი დაიხარჯა - მათ შორის არაერთი სამხედრო კონფლიქტი და საგარეო პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რაც ახლო მომავალში არ გაქრება. მხოლოდ მატერიალურ რესურსს თუ დავაკვირდებით, რაც 20 წლის განმავლობაში „ტერორიზმის წინააღმდეგ ომში დაიხარჯა“, მათ შორის ომების საფასური და ფული, რომელიც რეკონსტრუქციაზე, ჰუმანიტარულ დახმარებასა და ადგილობრივი უსაფრთხოების ძალების შექმნაზე დაიხარჯა, აღმოჩნდება, რომ ეს ყოველივე ამერიკელ გადასახადების გადამხდელ პირებს \$2 ტრილიონი დოლარი დაუჯდათ (Kalutis, B. 2021).

ტერორიზმის საკითხებში ცნობილი ექსპერტის, ჰოფმანის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები უკეთაა დაცული ტერორიზმის წინააღმდეგ, ვიდრე 1990-იან წლებში. თუმცა, აშშ-ის ყველა მთავრობის პრობლემა ტერორისტების პროვოკაციებზე წამოგებაა - გადანყვეტილების მიმღებ პირებს არ ესმით, რომ მათი გადაჭარბებული პასუხი სწორედ ტერორისტების სტრატეგიის ნაწილია და ტერორისტებს თავისი ნარატივის განმტკიცებაში ეხმარება. მისი აზრით, არავის წარმოედგინა კურსი, რომლითაც ტერორიზმის წინააღმდეგ აშშ-ის ომი განვითარდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ 9/11-დან 20 წლის შემდეგ, ალ-ქაიდას იდეოლოგია დღეს უფრო ძლიერია, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ ჯგუფთა რაოდენობა 4-ჯერ არის გაზრდილი, აშშ კი ისევ იგივე გამოწვევებს ებრძვის. ჰოფმანის აზრით, ეს ტერორიზმის წინააღმდეგ ომის მარცხს მოასწავებს (Hoffman, 2021).

ნეუმანი თვლის, რომ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ აშშ-ის მიდგომა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ შედეგიანია, ტერორისტულ თავდასხმებს ძირითადად ძალიან ცოტა ფული სჭირდება, ტერორისტები კი ფულადი გადარიცხვების და თანხების შეგროვების ისეთ ხერხებს იყენებენ, რომელიც გვერდს უვლის საერთაშორისო საფინანსო სისტემას. იმის ნაცვლად, რომ „თივაში ნემსი მოვძებნოთ“, მთავრობამ უნდა გააფართოვოს ანტიტერორისტული სტრატეგია დიპლომატიური და სამხედრო შესაძლებლობების გამოყენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლევარის აზრით, მთავრობა დროსა და ფულს ისეთ სტრატეგიაზე ხარჯავს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას (Neumann, P.R. 2017).

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისას წარმოიქმნება ისაა, რომ მასთან საბრძოლველი მექანიზმები იგივე ინსტიტუტებია, რომლებიც მანამდე ფულის გათეთრების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა. ფულის გათეთრებას და ტერორიზმის დაფინანსებას კი განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია და მისი აღმოფხვრა სხვადასხვაგვარად უნდა მოხდეს. ამას თან ერთვის ისიც, რომ აღნიშნული ინსტიტუტებისგან განსხვავებით, რომლებიც ზედმეტად მოუქნელი და იერარქიულია, ტერორისტების უკანონო დაფინანსების მექანიზმები მუდმივად ადაპტაციას განიცდის და ინოვაციურობით გამოირჩევა. ეს შეუთავსებლობა, მკვლევარების აზრით, ჰგავს სასონარკვეთილ მცდელობას „დააშრო ოკეანე მხოლოდ ერთი ტიპის თევზის დასაჭერად“ (Muller, M, 2017).

შალანი თვლის, რომ მხოლოდ ტერორისტებისა და მათი ქსელების სამიზნეში ამოღება დროებით წარმატებას მოიტანს - მაგრამ გრძელვადიანი სტრატეგია იმ იდეოლოგიების დისკრედიტაციას საჭიროებს, რომელიც თავდამსხმელებს იზიდავთ. ამიტომაც, ექსპერტის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს არაბულ სახელმწიფოებს, რომლებიც ისლამისტურ მილიტარიზმს აფინანსებენ. მიუხედავად საუდის არაბეთისა და სხვა არაბული სახელმწიფოების მცდელობებისა ტერორიზმის დაფინანსების შეჩერების კუთხით, სპარსეთის ყურის ქვეყნები კვლავ დიდ როლს ასრულებენ ტერორისტული ჯგუფების დაფინანსებაზე. აშშ ირანს, სუდანს, სირიასა და ჩრდილოეთ კორეას ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოებად ასახელებს, მაგრამ არა საუდის არაბეთს, მიუხედავად იმისა, რომ დონალდ ტრამპმა მას „ტერორიზმის უდიდესი დამფინანსებელი“ უწოდა (Chellaney, B. 2019).

ტერორისტული ორგანიზაციები ავითარებენ თავის ორგანიზაციას და ფინანსურ ტაქტიკებს,

ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაც მასთან ერთად უნდა განვითარდეს. დღეისათვის აშშ-ის პოლიტიკა ეფექტურად არ პასუხობს ტერორიზმის დაფინანსების საკითხს. სხვა სახელმწიფოები აშშ-ისგან სწავლობენ, როგორ გაუკლავდნენ ტერორიზმს, ამიტომაც ტერორიზმთან დაკავშირებული პოლიტიკა არ უნდა იქნეს აღქმული სტატიკურ მდგომარეობად. თუ კი ამერიკის შეერთებული შტატები დაიმკვიდრებს ტერორიზმზე, განსაკუთრებით ტერორიზმის დაფინანსებაზე, სწრაფად რეაგირებადი სახელმწიფოს რეპუტაციას, ტერორიზმი ძვირადღირებული საქმიანობა გახდება და შესაძლოა მთლიანად გაქრეს კიდეც (McDonagh, M. 2017).

თავი 3. აშშ-ის ბრძოლა ტერორიზმის დაფინანსებასთან

3.1 - ტერორიზმის დაფინანსების ძირითადი წყაროები

გაერთიანებული ერების 1999 წლის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების შეზღუდვის თაობაზე, ტერორიზმის დაფინანსების განმარტებას გვთავაზობს: პიროვნება ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულს მაშინ სჩადის, როდესაც „ნებისმიერი ხერხით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უკანონოდ და ნებაყოფლობით, აწვდის ან აგროვებს ფინანსებს იმ განზრახვით, რომ იგი უნდა იქნას გამოყენებული, მთლიანად ან ნაწილობრივ, რათა განხორციელდეს ქმედება, რომელიც ხელშეკრულების დანართში ჩამოთვლილი სამართალდარღვევებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს“ ან [უნოდებს] ნებისმიერ აქტს „რომელიც გამიზნულია, რათა გამოიწვიოს მოქალაქის სიკვდილი ან ნებისმიერი ადამიანის სხეულის მძიმე დაზიანება, რომელიც არაა აქტიურად ჩართული შეიარაღებული კონფლიქტში... აქტის მთავარი მიზანია, თავისი ბუნებიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, მოსახლეობის დაშინება, მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, რომ იმოქმედონ ან თავი შეიკავონ რაიმეს გაკეთებისგან, მათი ნების სასარგებლოდ (UN Convention 1267).

გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 რეზოლუცია ტერორიზმის დაფინანსებას განმარტავს, როგორც „ნებისმიერი გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფინანსების ნებაყოფლობით უზრუნველყოფას ან შეგროვებას, მათი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ, ან მათ ტერიტორიაზე იმ განზრახვით, რომ ფინანსები გამოყენებული იქნება ტერორისტული აქტის განსახორციელებლად“ (UN Resolution 1373).

მსოფლიო ბანკის განმარტებით კი, ტერორიზმის დაფინანსება გულისხმობს „ნებისმიერი ფორმით ტერორიზმის ან იმათ ფინანსურ მხარდაჭერას, ვინც ხელს უწყობს, გეგმავს ან ახორციელებს ტერორიზმს“.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანონი ამტკიცებს, რომ „ტერორიზმის მატერიალური მხარდაჭერა“ მაშინ ხორციელდება, როდესაც ვიღაც „მატერიალ დახმარებას უწევს ან რესურსებით უზრუნველყოფს ან მალავს/ შენიღბავს რესურსების თუ მატერიალური დახმარების ბუნებას, ადგილმდებარეობას ან წყაროს, როცა იცის ან განზრახულია, რომ მათი გამოყენება მოხდება სტატუტით განსაზღვრული ნორმების დამრღვევი აქტის მოსამზადებლად ან განსახორციელებლად“ (Dr. Passas, N. 2010).

სტატუტი განმარტავს, რომ „მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსები“ გულისხმობს ნებისმიერ საკუთრებას, ხელშესახებას ან არახელშესახებას, სერვისებს, მათ შორის სავალუტო ან მონეტარულ ინსტრუმენტებს და ფინანსურ უსაფრთხოებას, ფინანსურ სერვისებს,

ლოგისტიკას, წვრთნებს, ექსპერტულ რჩევებს და დახმარებას, თავშესაფრებს, ყალბ დოკუმენტებს ან იდენტიფიკაციას, საკომუნიკაციო აღჭურვილობას, ხელსაწყობებს, იარაღს, ლეტალურ ნივთიერებებს, ასაფეთებელ ნივთიერებებს, პერსონალს, ტრანსპორტირებას, გარდა სამედიცინო და რელიგიური მასალებისა“ (Dr. Passas, N. 2010).

აშშ-ის განმარტებიდან გამომდინარე, ტერორიზმის დაფინანსება არა მხოლოდ ფინანსებს, ფულად გადარიცხვებსა და მხარდაჭერას გულისხმობს, არამედ ლოგისტიკურ და ტექნიკურ დახმარებასა და თავშესაფრით უზრუნველყოფასაც მოიაზრებს. წინამდებარე კვლევაში ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ ტერორიზმის მატერიალური მხარდაჭერის ფინანსურ მხარეზე, არამედ მის სტატუტით განსაზღვრულ სხვა ასპექტებზეც.

ტერორიზმის დაფინანსება ფინანსური აქტივობების ორ განსხვავებულ ნაწილს აერთიანებს. ერთი მათგანი მოიცავს ფონდების მოძიებას, რომელიც საჭიროა ტერორისტული ოპერაციების განსახორციელებლად. ეს გულისხმობს ფონდებს, რომელიც საჭიროა, რათა დაფინანსდეს როგორც საკვები, განთავსება, ტრანსპორტირება, საკითხავი ლიტერატურა და აუდიო-ვიდეო ხელსაწყობები, ასევე ბომბების დასამზადებელი ლეგალური თუ არალეგალური მასალების შესყიდვა მომავალი ოპერაციებისთვის. ამგვარი ტრანზაქციები, ფულის გათეთრებისგან განსხვავებით, სრულიად კანონიერია, სანამ მათი დაკავშირება მოხდება კრიმინალურ საქმიანობასთან. აქედან გამომდინარე, მათი აღმოჩენა და ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირება რთული პროცესია (Clunan, A, L. 2006/07).

ტერორიზმთან დაკავშირებული ფინანსური აქტივობების მეორე ასპექტი ფინანსების მოძიებას გულისხმობს, რათა მოხდეს ტერორისტული ოპერაციების, წვრთნებისა და პროპაგანდის მხარდაჭერა. ფინანსების მოძიება შესაძლოა მოხდეს არაკანონიერი გზებით, როგორცაა ნარკოტიკებისა და ადამიანების ტრეფიკინგი, იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა, გატაცება, ქურდობა, გამოსასყიდის გამოძალვა, რაც ტრადიციულ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მექანიზმების მიმართ მოწყვლადია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია. თუმცა, ტერორისტები ფინანსებს სრულიად ლეგიტიმური ჰუმანიტარული და ბიზნეს ორგანიზაციებიდანაც იღებენ. სწორედ აღნიშნული მეთოდი წარმოადგენდა ალ-ქაიდას ფინანსების მოძიების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ამ ტიპის ფინანსური აქტივობის აღმოჩენა ფორმალურ საფინანსო სისტემაში ძალიან რთული პროცესია. თუ კი ტერორიზმის დაფინანსების კვალის აღმოჩენა რთულია ფორმალურ საფინანსო სისტემაში, გაცილებით რთულდება საქმე, როდესაც ტერორისტები არაფორმალურ საფინანსო სისტემაში გადაინაცვლებენ ხოლმე. ალ-ქაიდამ არაფორმალური საფინანსო სისტემის გამოყენება 1996 წლიდან დაიწყო (Clunan, A, L. 2006/07).

ტერორიზმის დაფინანსება მრავალი არხის მეშვეობით შეიძლება მოხდეს. მათ შორის შეგვიძლია რამდენიმე გამოვარჩიოთ: პირველი მათგანი ე.წ. ‘ჰავალაა’, რაც არაფორმალურ ფულად გადარიცხვებს მოიაზრებს ისეთი ფორმალური საფინანსო სისტემის გვერდის ავლით, როგორცაა ბანკი. ‘ჰავალაა’ ფულის გადასარიცხად იმ მიზნებით გამოიყენება, რომ ხშირად სხვებთან შედარებით ყველაზე სწრაფი და იაფი მეთოდია. ტერორიზმის დაფინანსების პერსპექტივიდან რომ შევხედოთ, იგი კვალს საერთოდ არ ტოვებს და შესაბამისად, ძალიან მოსახერხებელია (Raphaeli, N. 2003).

ისლამური ბანკების ქსელი დიდი ხანია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფულის გადარიცხვის/გათეთრების კუთხით ტერორისტული ორგანიზაციებისთვის. (Raphaeli, N. 2003). ამასთანავე, გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციებისა, არაერთი ბიზნეს კომპანია სპეციალიზირდება ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ფულის შეგროვებაში, როგორც კონინიერი, ისე არაკანონიერი გზებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმის დაფინანსების წყაროები ფართო ვარიაციას მოიცავს, დაწყებული სახელმწიფო სპონსორობისა, დამთავრებული უბრალო ქურდობით. ფრიმანი მათ ოთხ ძირითად კატეგორიაში აერთიანებს: სახელმწიფო სპონსორობა, არალეგალური საქმიანობა, ლეგალური საქმიანობა და საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

დღეისათვის ყველაზე აქტიური ტერორიზმის სახელმწიფო სპონსორი ირანია, რომელიც

ჰეზბოლას ასობით მილიონი დოლარით ეხმარება (ორგანიზაციის ბიუჯეტის თითქმის ნახევარი). ტერორიზმის მნიშვნელოვანი სპონსორია სირიაც. იგი იარაღით, თავშესაფრით და ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფს ჰეზბოლას და ათამდე დაჯგუფებას, რომელიც აშშ-ის სახელწიფო დეპარტამენტის ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაშია და რომელთა შტაბებიც სირიაში მდებარეობს. მათ შორისაა, ჰამასი, პალესტინის ისლამური ჯიჰადისტური დაჯგუფება და სხვ. (Freeman, 2011).

დაფინანსების უკანონო წყაროებში მოიაზრება გატაცება, „რევოლუციური გადასახადი“ (მოსახლეობის იძულება დაჯგუფებას თანხები შესწირონ), გამოსასყიდიდან მიღებული თანხა, ქურდობა, კონტრაბანდა, საქონლის გაყალბება. ალ-ქაიდას სახელი უშუალოდ ბრილიანტების კონტრაბანდასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება კანონიერ წყაროებს, აქ მოიაზრება სრულიად კანონიერი ბიზნეს-საქმიანობა, რომელსაც დაჯგუფებები ხშირად აწარმოებენ. მაგალითად, ალ-ქაიდა სუდანში 1992-96 წლებში სრულად კანონიერ ბიზნესებს ფლობდა, მათ შორის რამდენიმე სავაჭრო კომპანიას, ფერმებს, ავეჯის მწარმოებელ კომპანიას, საცხოვს, საინვესტიციო კომპანიას (Freeman, 2013).

დაფინანსების კიდევ ერთ დიდ წყაროს წარმოადგენს საზოგადოებრივი მხარდაჭერა. იგი მოიაზრებს საქვემოქმედო ორგანიზაციებსა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფი დიასპორის წარმომადგენლების მიერ შეწირულ თანხებს. 'გლობალური დახმარების ფონდი' ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა, რომელიც ალ-ქაიდას სახელთან ასოცირდება.

ტერორიზმის დაფინანსების ზემოთ განხილული არაერთი წყაროდან მიღებული ფული ტერორისტული დაჯგუფების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს ხმარდება. თუკი თავად ტერორისტული ოპერაციები შედარებით მოკრძალებულ ფინანსებს მოიხმარს, საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებს დიდი რაოდენობით ფული სჭირდებათ, რათა დააორგანიზონ ოპერაციები, დაარეკრუტონ, განვრთნან და აღჭურვიონ ახალი წევრები. ტერორისტულ ორგანიზაციებს აუცილებლად სჭირდებათ ფინანსები, რათა გადაიხადონ 'თავშესაფრების' უსაფრთხოების, ოპერაციული ხარჯებისა და აღჭურვილობის საფასური, მოქრთამონ საჭარო მოხელეები, მოახდინონ ხალხის რეკრუტირება და განვრთნა, უზრუნველყონ ლოგისტიკური მხარდაჭერა, კომუნიკაცია დაამყარონ, გააფართოვონ ორგანიზაციის ინფრასტრუქტურა, ფინანსურად უზრუნველყონ 'წამებულთა' ოჯახები, დააფინანსონ ჰუმანიტარული საქმიანობა და სხვა (Anderson, W. J. L. 2007). აღნიშნული საქმიანობა გლობალურ საფინანსო სისტემაში კვალს ტოვებს, რაც საშუალებას იძლევა, მათი კვლევის საფუძველზე, მოხდეს მომავალი დამნაშავეების და მათი დამხმარეების იდენტიფიკაცია და შესაბამისი წყაროების აღმოჩენა/შეჩერება.

ტერორიზმის დაფინანსების საკითხის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გახდა. ექსპერტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ტერორიზმისათვის დაფინანსების შეწყვეტის ან/და პრევენციის შემთხვევაში, ტერორისტული ორგანიზაციები ვერ მოახერხებენ აქტიურ საქმიანობას, რადგან მათი შემოსავალი დადებით კორელაციაშია აღნიშნული ორგანიზაციის აქტივობასთან. მეთუ ლევიტის მიხედვით, კონტრტერორიზმის მიზანი იმ გარემოს შეზღუდვა უნდა იყოს, რომელშიც ტერორისტები ოპერირებენ, მათ შორის ლოგისტიკური და ფინანსური მხარდაჭერის ქსელისა, რაც ხელს შეუშლის მათ მოგზაურობაში, კომუნიკაციაში, აღჭურვილობის წარმოებასა და თავდასხმების განხორციელებაში (Levit, M. 2008).

ალ-ქაიდა ფართო ფინანსურ ქსელს მოიცავს. ოსამა ბინ ლადენის თქმით, ალ-ქაიდას ფინანსებს, რომელიც სამ სხვადასხვა სისტემაში მოძრაობს, ბანკრები განაგენებ, რომლებმაც დასავლური საფინანსო სისტემის ყველა 'ბზარი' ისე იციან, როგორც ხაზები საკუთარი ხელის გულზე (107th Cong., 1st Sess.). ამ სამ სისტემაში იგი საერთაშორისო საბანკო სისტემას, ისლამურ ბანკებსა და 'ჰავალას' გულისხმობს.

2003 წელს, აშშ-ს საგარეო აქტივების კონტროლის სახაზინო სამსახურის განყოფილებამ 300 ინდივიდის, საქველმოქმედო ორგანიზაციისა და კორპორაციის სია გამოაქვეყნა, რომელიც ალ-ქაიდას აფინანსებდა. ფულადი გზავნილები ახლო აღმოსავლეთში ხშირად 'ჰავალას' ანუ 'ნდობის' სისტემის მეშვეობით მოძრაობს. ამ სისტემაში, წაშლილია

გამგზავნისა და მიმღების კვალი, შესაბამისად ფული თავისუფლად მოძრაობს. 1-2%-იანი საკომისიო გადასახადი, ბანკების 15%-იან გადასახადთან შედარებით ძალიან იაფია და ტერორისტული ორგანიზაციები, მათ შორის ალ-ქაიდაც ხშირად იყენებს ამ სისტემას.

9/11-ის კომისიამ დაასკვნა, რომ ალ-ქაიდა 2001 წლამდე წელიწადში დაახლოებით 30 მილიონს იღებდა. აღნიშნული თანხა მხოლოდ ოსამა ბინ ლადენის 'ჭიბიდან' არ მოდიოდა, მიუხედავად იმისა, როგორც მდიდარიც არ უნდა ყოფილიყო იგი (Greenberg, M. R., Wechsler, W. F., & Wolosky, L. S., 2002).

ამ პერიოდში ალ-ქაიდას დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენდა: საინვესტიციო კომპანიები, რომლებსაც ალ-ქაიდა მთელ რეგიონში ფლობდა; ფულის გათეთრება; ზაქათი, ისლამის ხუთი ბურჯიდან ერთ-ერთი, რაც მორწმუნეების მიერ მათი შემოსავლების ნაწილის დონაციას გულისხმობს; ოქროსა და ბრილიანტების კონტრაბანდა აფრიკაში; თაფლის ბიზნესი იემენში (ზოგი თვლის, რომ ეს ბიზნესი ნარკოტიკების, ფულისა და იარაღის კონტრაბანდის შესანიშნავად არსებობდა (Basile, M. 2004)); იმპორტ-ექსპორტი; ტრანსპორტირება; ფინანსური სერვისები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 9/11-ის ტერაქტამდე, ალ-ქაიდას 'ბირთვი' ტერორისტული თავდასხმების ძირითად ნაწილს თავად აფინანსებდა. მაგალითად, ცენტრმა დააფინანსა 1998 წლის აშშ-ის საელჩოს დაბომბვები კენიასა და ტანზანიაში, ასევე აშშ-ის სამხედრო ხომალდზე თავდასხმაც იემენში, რაც დაახლოებით \$38 ათასი აშშ დოლარი დაჯდა (Burke, P. 2021).

9/11-ის ტერაქტის შემდეგ კი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ სფეროში. მართალია თავდასხმები კვლავაც კარგად ორგანიზებული და განხორციელებული იყო, მაგრამ დაფინანსების მთავარ წყაროს ცენტრი აღარ წარმოადგენდა და ალ-ქაიდას ბირთვი ეტაპობრივად უფრო და უფრო ნაკლებად იყო ჩართული. მაგალითად, ლამის კლუბის დაბომბვა ბალიში 2002 წელს ალ-ქაიდას მიერ 9/11-ის ტერაქტის შემდეგ დაფინანსებული ერთ-ერთი ყველაზე მაღალ-პროფილური თავდასხმა იყო და მასში მხოლოდ 19 ათასი ფუნტი დაიხარჯა (Burke, P. 2021).

3.2 - აშშ-ის მიერ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა 9/11 ტერაქტამდე

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგოდ სახელმწიფოებს ორი ძირითადი მიდგომა ჰქონდათ: ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოებზე წნეხის გაზრდა, რათა მათ შეეწყვიტათ ტერორიზმის დაფინანსება, და მათი [ამ ქვეყნების] ჩართვა ტრანსნაციონალური კრიმინალური ქსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთაშორისო საზოგადოება ნაკლებ პრიორიტეტულად მიიჩნევდა ტერორიზმის დაფინანსების საკითხს და დიდ ყურადღებას არ იჩენდა მის მიმართ, მანამ, სანამ ისეთ 'სერიოზულ' დანაშაულთან არ ჰქონდათ საქმე, როგორცაა ფულის გათეთრება და ორგანიზებული კრიმინალი.

მართალია, სავალუტო კონტროლის მქონე ქვეყნებში დარეგულირდა და აიკრძალა არაფორმალური ფულადი გადარიცხვები, მაგრამ საზღვრის მიღმა შემთხვევების დროს ეს ქვეყნები მოკლებულნი იყვნენ ძლიერ საერთაშორისო თანამშრომლობას. ტერორიზმის დაფინანსების კონტროლის მექანიზმები ძირითადად წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავდა, რომლებიც სამნუხაროდ, აცდენილი იყო საკუთარ მიზანს და არათანმიმდევრულ, ასიმეტრიულ ჩარხს ქმნიდა (Passas, N. 2006).

1998 წელს აშშ-ის საელჩოს დაბომბვების შემდეგ ტანზანიაში და კენიაში, აშშ-მა და სხვა დასავლურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ზრუნვა არასახელმწიფო აქტორების,

როგორც შესაძლო ტერორიზმის მხარდამჭერი აქტორების, საერთაშორისოდ ცნობაზე. აშშ-მა სცადა გაეროს უშიშროების საბჭოს ყურადღება მიექცია ტრანსნაციონალურ არასახელმწიფოებრივ ტერორიზმზე. რასაც შედეგად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოჰყვა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით: უშიშროების საბჭომ 1999 წელს დაამტკიცა რეზოლუცია 1267, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებს თალიბანის წინააღმდეგ უნდა დაეწესებინათ სანქციები (იარაღზე ემბარგო, აქტივების გაყინვა, მგზავრობის აკრძალვა) ალ-ქაიდას მხარდამჭერის გამო (Clunan, A. L. 2006/07). მართალია, მანდატი თავდაპირველად მხოლოდ თალიბანზე ვრცელდებოდა, მაგრამ მოგვიანებით უშიშროების საბჭოს 1333 და 1390 რეზოლუციებმა ალ-ქაიდა, ოსამა ბინ ლადენი და მასთან ასოცირებული დაჯგუფებები/ინდივიდებიც მოიცვა (Gurule, J. 2008).

1999 წელს, საფრანგეთის მეთაურობით გაერომ მიიღო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების შეზღუდვის შესახებ. კონვენციამ დაადგინა, რომ სახელმწიფოებს უნდა ემუშავათ არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ კერძო საფინანსო ინსტიტუტებთანაც, რათა ტერორისტების დაფინანსების ნაკადები დაეზოკათ. კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებს მოეთხოვებოდათ შეექმნათ შიდა კანონმდებლობა, რომელიც ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზებას მოახდენდა და დაარეგულირებდა ფინანსურ ინდუსტრიებს თავისი იურისდიქციის ფარგლებში. 1999 წლის გაეროს კონვენცია კერძო აქტორების ქმედებებზე პასუხისმგებლობას იმ სახელმწიფოებს აკისრებდა, რომელს იურისდიქციის ქვეშაც ოპერირებდნენ ისინი. უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში 1269 (1999) პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი „ტერორიზმის დაფინანსება“, თანაც ამჯერად უშიშროების საბჭომ განმარტა, რომ სახელმწიფოები, რომლებიც შეიფარებდნენ, დააფინანსებდნენ, დაეხმარებოდნენ ტერორისტებს, პასუხისმგებელი იქნებოდნენ იმ ქმედებებზე, რომლებსაც მათ მიერ დასპონსორებული ტერორისტები ჩაიდენდნენ. აღნიშნულმა მიდგომამ მალე გამოიღო შედეგი, კერძოდ, დაარწმუნა სუდანი და ლიბია, რომ სანქციები დაეწესებინათ ტერორისტებისათვის (Clunan, A. L. 2006/07).

ცალკეულ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ხელს უწყობდნენ ტერორიზმის დაფინანსებას შესაძლოა საუდის არაბეთი გამოვარჩიოთ. ექსპერტების აზრით, ზოგიერთი საუდის არაბეთის მოქალაქე და საქველმოქმედო ორგანიზაცია გაცნობიერებულად თუ გაუაზრებლად უწევდა ფინანსურ დახმარებას ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმს. აშშ-ის მთავრობისა და ექსპერტების მოხსენებებში მათი ზოგიერთი დონაცია დაკავშირებული იყო რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდასა და ტერორისტული საქმიანობის მხარდამჭერასთან. (Merritt, Z. 2009). საუდის არაბეთის მთავრობა 9/11 ტერაქტამდე უარს ამბობდა აშშ-სთან თანამშრომლობას ალ-ქაიდას დაფინანსების პრობლემაზე სამუშაოდ, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს მთავრობას ეს საკითხი პრიორიტეტულად არ მიაჩნდა და არც მათთვის მიუწოდებია საჭირო სადაზვერვო ინფორმაცია ქვეყანაში ალ-ქაიდას ფინანსების შეგროვების მეთოდებთან დაკავშირებით.

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ 2001 წლამდე აშშ-ში არსებულ სისტემას მნიშვნელოვანი ბზარები ჰქონდა. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსი, ჯორჯ ტენეტი, აცხადებდა, რომ „სისტემა წითლად ციმციმებდა“, მაგრამ თეთრ სახელში გამართული ბრიფინგების მიუხედავად ბინ ლადენის საფრთხის თაობაზე, სადაზვერვო სააგენტოებსა და შიდა კანონისდამცველ ორგანოებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიმოცვლა და გაზიარება არათანმიმდევრულად და ხარვეზულად მიმდინარეობდა“ (Fergusson, I. F. Rennach, D.E. Elsea, J.K. 2020).

უშუალოდ ალ-ქაიდას დაფინანსებასთან მიმართებაში, აშშ-ში გადაწყვეტილების მიმღებები პირები შეზღუდულ სადაზვერვო ინფორმაციას ფლობდნენ. 9/11-ის კომისიის მონოგრაფი ზუსტად მიმოიხილავს ამ საკითხს: „9/11-ის ტერაქტის შემდეგაც კი, სადაზვერვო საზოგადოებას არ შეეძლო ზუსტად გამოეთვალა ბინ ლადენის შემოსავლის სრული რაოდენობა“ და „დღემდე [2002] აშშ-ის მთავრობას ჯერ კიდევ არ დაუდგენია, ვისგან მიღებულ, რამდენ ფულს ხარჯავს ალ-ქაიდა“ (9/11 Commission Report, 2002).

ეროვნულ დონეზე, ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს (FBI) არ გააჩნდა სისტემატური ან

სტრატეგიული ცოდნა ჯიჰადისტების ან ალ-ქაიდას დაფინანსების თაობაზე. მიუხედავად შეგროვებული ინფორმაციისა, ფედერალურ აგენტებს მცირე იმედი ჰქონდათ, რომ ამ ინფორმაციის საფუძველზე შეძლებდნენ ხელი შეეშალათ ტერორისტული ოპერაციისთვის. აგენტები იმის გამოც ყოყმანობდნენ, რომ მსგავსი ქეისები ყოველთვის ეთნიკურ საკითხზე გადიოდა და არსებობდა „შერჩევითი სამართლის“ ან არასწორი ეთნიკური პროფილის შედგენის შიში. ყოველივე ეს, ბრალდების მხარისგან ძალიან მყარ მტკიცებულებებს მოითხოვდა. ერთ-ერთი გამოცდილი ამერიკელი პროკურორი აცხადებდა, რომ რელიგიურ ჯგუფებზე აგრესიული გამოძიების ჩატარების შემთხვევაში, FBI-ს საკუთარი მოქმედებები სენატის კომიტეტის წინაშე უნდა აეხსნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციად ალ-ქაიდას აღიარება მხოლოდ 1999 წელს მოხდა, რაც იმას მოიაზრებს, რომ მისი წევრების ტერორისტული საქმიანობისთვის დასჯა 1999 წლამდე შეუძლებელი იყო (9/11 Commission Report, 2002).

FBI-ის პრობლემა ისიც იყო, რომ ბიუროს მხოლოდ მცირე მოცულობის სადაზვერვო ინფორმაცია გააჩნდა, რისი წარდგენაც FBI-ის პროგრამის მენეჯერებს გადანყვებილების მიმღები პირებისთვის შეეძლოთ ტენდენციების, პრობლემის სიღრმის აღსაქმელად. იგივე შეიძლება ითქვას ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურზეც, სადაც ალ-ქაიდას სიმდიდრესთან დაკავშირებით სპეკულაციური წარმოდგენები ჰქონდათ და ძირითადად, მას საუდის არაბეთში არსებულ ბიზნესებთან აკავშირებდნენ (9/11 Commission Report, 2002). 2003 წელს ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი რიჩარდ კლარკი სენატის საბანკო კომისიის წინაშე წარსდგა: „კითხვას, რომელიც CIA-ს დავუსვით 1995 წელს, პასუხი არასდროს გაცემია - ჩვენ 6 წლის განმავლობაში ვკითხულობდით: რა ღირს ალ-ქაიდად ყოფნა? რა არის მათი წლიური სამოქმედო ბიუჯეტი? საიდან იღებენ ამ თანხას? სად ინახავენ? რას მიაქვთ? როგორ? ეს კითხვები, რომელსაც თეთრი სახლი 5-6 წლის განმავლობაში სვამდა უპასუხოდ რჩებოდა, რადგან სადაზვერვო სამსახურების მიხედვით, ძალიან რთული იყო მათზე პასუხის გაცემა“. თავად CIA ამ ყველაფრის მიზეზად საკანონმდებლო და პოლიტიკურ შეზღუდვებს ასახელებდა. რეალურად კი, CIA თავისი რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებდა ისეთი სტრატეგიული ფინანსური სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად, როგორსაც მათგან თეთრი სახლი ითხოვდა (9/11 Commission Report).

ეკონომიკური ინსტუმენტებიდან რამდენიმე შეიძლება გამოვყოთ. საერთაშორისო გადაუდებელი ეკონომიკური ძალაუფლების აქტი (IEEPA) პრეზიდენტს უფლებას ანიჭებდა, ინდივიდები ან გაერთიანებები აშშ-ისთვის საფრთხედ ელიარებინა და გაეყინა მათი აქტივები/დაებლოკა ფულადი გადარიცხვები. აღმოსავლეთ აფრიკის დაბომბვების შემდეგ 1998 წელს, პრეზიდენტმა კლინტონმა ფორმალურად დააწესა სანქციები ოსამა ბინ ლადენსა და ალ-ქაიდას მიმართ IEEPA პროგრამის ფარგლებში, რაც საშუალებას იძლეოდა გაეყინათ მათი აქტივები აშშ-ში. თუმცა, სპეციფიკური ინფორმაციის არ ქონის გამო, მხოლოდ მცირე რაოდენობის აქტივების გაყინვა მოხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბინ ლადენის ფულადი გადარიცხვების უმეტესობა ფორმალური ფინანსური სისტემის მიღმა ხდებოდა (ჰავალასა და ისლამური ინსტიტუტების მეშვეობით). პარალელურად, მეტად წარმატებული გამოდგა თალიბანის წინააღმდეგ ბრძოლა: თალიბანის \$34 მილიონ დოლარზე მეტის ღირებულების აქტივების გაყინვა მოხდა აშშ-ს ბანკებში (9/11 Commission Report).

სახაზინო დეპარტამენტის ფინანსური დანაშაულებისგან დაცვის ქსელი (TFCE) ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ტერორიზმის დაფინანსებას. ამ პერიოდში ფულის გათეთრების საწინააღმდეგო არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა ჩავარდა. მათ შორის სახაზინო დეპარტამენტისა და ფინანსური მარეგულირებლების მიერ 1999 წელს შეთავაზებული რეგულაცია „იცნობდე შენს მომხმარებელს“, რაც ბანკებისგან ფულის გამცემის/მიმღების შესახებ ინფორმაციის ფლობას მოითხოვდა. სახაზინო დეპარტამენტმა ამის თაობაზე 200 ათასზე მეტი ნეგატიური კომენტარი და დიდი წინააღმდეგობა მიიღო (9/11 Commission Report).

3.3 - 9/11 ტერორისტული აქტი

„სასიკვდილო თავდასხმებმა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე, რომლებმაც 2001 წლის 11 სექტემბერს თითქმის 3000 ადამიანის სიცოცხლე შეინირა, შეარყია ერის უსაფრთხოების გრძობა. ტერორისტების მიერ ნიუ-იორკში ტყუპების ცათამბრჯენების განადგურებამ და პენტაგონზე მიყენებულმა სასტიკმა ზიანმა, მსოფლიოს ახალი ცვალებადი სამყაროს შექმნა აუწყა. სამყაროსი, სადაც მუდმივად არსებობს საფრთხე და აშშ მის სადარაჯოზე დგას, რათა მისმა მოქალაქეებმა თავისუფლებასა და უსაფრთხოებაში იცხოვრონ. ერმა თავდაპირველად თავდასხმას გაოცებითა და მწუხარებით უპასუხა, მოგვიანებით კი ბრაზით,“ - ალფრედ გოლდბერგი, ამერიკელი ისტორიკოსი 9/11 შესახებ (Historical Office.2021).

2001 წლის 11 სექტემბერს თავდამსხმელების ჯგუფი, რომელიც ოთხი შიდა მიმოსვლის თვითმფრინავით მგზავრობდა, თავს დაესხა თვითმფრინავის ეკიპაჟს და კონტროლი მოიპოვა სანჯავის ავზით სავსე თვითმფრინავებზე. დილის 8:46 საათზე, პირველი თვითმფრინავი, რომელიც ბოსტონიდან მოფრინავდა, ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ ცათამბრჯენს შეეჯახა. ბევრმა იფიქრა, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო. აღნიშნული ვარაუდი, 17 წუთის შემდეგ თვითმფრინავის სამხრეთით მდებარე ცათამბრჯენზე შეჯახებამ გააქარწყლა. მესამე თვითმფრინავი 9:37 წუთზე პენტაგონის შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს შეეჯახა და ხანძარი გამოიწვია. რაც შეეხება მეოთხე თვითმფრინავს, ის შანკვილის ახლოს, პენსილვანიაში ჩამოვარდა მას შემდეგ, რაც ტელეფონით ინფორმირებულმა მგზავრებმა თავდამსხმელების განეიტრალება სცადეს. 9:50 წუთზე, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სამხრეთ ცათამბრჯენი ჩამოინგრა, 29 წუთის შემდეგ კი მეორე. კვამლმა ქვედა მანპეტენის ქუჩები მოიცვა. მნიშვნელოვნად დაზიანების გამო, ჩამოინგრა ზოგიერთი შენობაც, რომელიც ტყუპების ცათამბრჯენთან იყო დაკავშირებული, სამაშველო ოპერაციები მაშინვე დაიწყო, თუმცა, თავდასხმების შედეგად დაახლოებით 3 ათასი ადამიანი დაიღუპა: 2750 - ნიუ-იორკში. 184 - პენტაგონში, 40 კი პენსილვანიაში. დაიღუპა 19-ვე ტერორისტი. დაღუპულთა შორის იყო 400 პოლიციის ოფიცერი და მეხანძრე, რომლებიც ადგილზე იმყოფებოდნენ (The editors of Encyclopaedia Britannica).

„ის რაც იმ დღეებში პენტაგონში ხდებოდა არა მხოლოდ ტრავმისა და ტრაგედიის ისტორიაა, არამედ სიმამაცისა და მზრუნველობისაც. ფედერალური, სახელმწიფო და ადგილობრივი უწყებების მუშაობა, განსაკუთრებით, მათი კოორდინაცია და თანამშრომლობა ერთმანეთთან და პენტაგონის მმართველობასთან, ფასდაუდებელი გაკვეთილი გამოდგა მსგავს მასშტაბურ საგანგებო სიტუაციასთან გასამკლავებულად“ - ალფრედ გოლდბერგი, ისტორიკოსი (Historical Office, 2021).

თავდამსხმელები ისლამისტი ტერორისტები იყვნენ საუდის არაბეთისა და სხვა არაბული სახელმწიფოებიდან. ტერორისტთა ნაწილი აშშ-ში წელიწადზე მეტხანს ცხოვრობდა და საავიაციო გაკვეთილებს ამერიკის საავიაციო სკოლაში ესწრებოდა. სხვები, ამერიკაში ტერაქტამდე რამდენიმე თვით ადრე შეიპარნენ და ტერორისტულ ოპერაციაში 'კუნთების' როლს ირგებდნენ. ჯგუფს ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ქაიდა აფინანსებდა. სავარაუდო მოტივი კი აშშ-ის მიერ ისრაელის მხარდაჭერის, მისი სპარსეთის ყურის ომში ჩაბმის და ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის სამხედრო ნაწილების განგრძობადი ყოფნის გამო შურისძიება იყო. History.com Editors). 9/11 ტერორისტული აქტი ოსამა ბინ ლადენის თითქმის ათწლიანი ბრძოლის კულმინაცია იყო - მოტივირებული რადიკალური ისლამისტური იდეოლოგიით - მოეკლა ამერიკელი სამხედრო და სამოქალაქო პირები.

9/11-ის ტერაქტმა ამერიკის შერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა სრულიად შეცვალა. საღამოს 9 საათზე, ამერიკის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა, რომელიც თავდასხმის დროს ფლორიდაში იმყოფებოდა და უსაფრთხოების მიზნით გარიდებული იყო თეთრ სახლს, ოვალური ოფისიდან სატელევიზიო მიმართვა გაავრცელა: „ტერორისტებს

შეუძლიათ შეარყიონ ჩვენი უდიდესი შენობის საძირკველი, მაგრამ ამერიკის საძირკველს ვერ შეეხებიან“ ... აშშ-ს სამხედრო პასუხთან დაკავშირებით კი განაცხადა: „ჩვენ არ განვარჩევთ ერთმანეთისგან ტერორისტებს, რომლებმაც აღნიშნული აქტები ჩაიდინეს და მათ, ვინც ტერორისტებს იფარებს“. ბუშის გამოსვლამ ცხადი გახადა, რომ აშშ-ს სამიზნე მომავალში არა მხოლოდ ტერორისტული დაჯგუფებები იქნებოდნენ, არამედ ისინიც, ვინც ტერორისტებს დახმარებას აღმოუჩენდნენ, აფინანსებდნენ და სპონსორობდნენ.

9/11-ის ტერაქტმა ახალი ენერჯია შთაბერა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. „გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“, რომელიც აშშ-ის მეთაურობით დაიწყო, ტერორიზმის წინააღმდეგ გაცილებით აქტიურ ბრძოლას მოიაზრებდა. „თავდასხმა, რომელიც ამერიკის მიწაზე მოხდა, იყო თავდასხმა ცივილური სამყაროს გულსა და სულზე. მსოფლიო გაერთიანდა ახალ, განსხვავებულ ომში საბრძოლველად, პირველად, და ვიმედოვნებთ, უკანასკნელად, 21-ე საუკუნეში. ომი მათ წინააღმდეგ, ვინც იღვწის, რომ დათესოს ტერორი, და მათ წინააღმდეგ, ვინც მხარს უჭერს და მფარველობს მათ“ - განაცხადა ჯორჯ ბუშმა 10 სექტემბერს, ტერაქტის მეორე დღეს (U.S. Department of State).

14 სექტემბერს, თავდასხმის ადგილას მისულმა პრეზიდენტმა დაიფიცა, რომ უპასუხოდ არ დატოვებდა ამ თავდასხმებს და მსოფლიოს ბოროტებისგან გაათავისუფლებდა“. ბუშმა ეროვნული საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რაც პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას მოიაზრებდა სამხედრო ნაწილების მობილიზების, თავდაცვის ხარჯების ზრდის, გადამდგარი სამხედრო ძალების მოქმედ სამსახურში განწვევის გზით. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, მეორე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა აღმასრულებელი ბრძანება 13224 სახით, რამაც გზა გაუხსნა პრეზიდენტს ტერორისტების დაფინანსებაზე თავდასხმის ვრცელი პროგრამის დასაწერად (Copeland, Z. 2016). აღმასრულებელი ბრძანება 13224 9/11-ის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ახალი საგანგებო მდგომარეობის პირობებში, პრეზიდენტს ტერორიზმის სანქცირების პროგრამის ამოქმედების უფლება ენიჭებოდა. პროგრამა სამომავლო თავდასხმების პრევენციას ტერორისტული ორგანიზაციებისთვის დაფინანსების შეზღუდვით აპირებდა. სახელმწიფო სახაზინო დეპარტამენტის მიერ სავარაუდო ტერორისტის „სპეციალურად აღიარებულ გლობალურ ტერორისტად“ (SDGT) აღიარება კი საშუალებას იძლეოდა დაებლოკათ მისი აშშ-ში არსებული ქონება, შეეზღუდათ აშშ-ს მოქალაქის მიერ მისთვის ფულის გადარიცხვა, კოორდინირებულად ემუშავათ სხვა ქვეყნებთან ტერორისტის იზოლირების და დაფინანსების შეწყვეტის კუთხით. ბრძანება 13224 გლობალურ მასშტაბებზე ვრცელდებოდა და ძირითადად „უცხოელი ტერორისტების“ წინააღმდეგ იყო მიმართული (Copeland, Z. 2016).

20 სექტემბერს, კონგრესის გაერთიანებულ სესიაზე, აშშ-ის პრეზიდენტმა ულტიმატუმი წაუყენა თალიბანს, გაეთავისუფლებინათ უკანონოდ დაკავებული ჟურნალისტები, დიპლომატები, აშშ-ის მოქალაქეები; გადაეცათ აშშ-ისთვის ალ ქაიდას ლიდერები, რომლებიც ავღანეთში იმყოფებოდნენ; დაეხურათ და მიეცათ აშშ-ისთვის წვდომა ტერორისტების სანვრთნელ ბაზებზე; გადმოეცათ აშშ-ისთვის ყველა ტერორისტი. წინააღმდეგ შემთხვევაში „ჩვენ ტერორისტებს ფინანსებს გამოვუშრობთ, მათ ერთმანეთთან დავაპირისპირებთ, ერთი ადგილიდან მეორეზე გავაძევებთ სანამ მოსვენებასა და თავშესაფარს არ დაკარგავენ.“ სახელმწიფოებთან მიმართებაში კი „ჩვენ მივაკვლევთ ყველა ქვეყანას, რომელიც ეხმარება ან თავშესაფარს სთავაზობს ტერორისტებს. ნებისმიერი რელიგიის მქონე ყველა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს: ან ჩვენთან ხართ, ან ტერორისტებთან“ (George W. Bush Speech, 2001). ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მოწინავე საშუალებად ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა იქცა, როგორც სამომავლო თავდასხმების პრევენციის საუკეთესო მეთოდი. დაფინანსება მოიცავდა არა მხოლოდ მატერიალურ მხარეს და ფულის ნაკადებს, გადარიცხვებს, არამედ ნებისმიერი მეთოდით ტერორიზმის დახმარებას: თავშესაფრებით უზრუნველყოფას, სამხედრო აღჭურვილობის გადაცემას, ლოგისტიკურ დახმარებას, ექსპერტული რჩევების მიცემას, ინფრასტრუქტურის დათმობას, წვრთნებითა და სამხედრო ტექნიკით უზრუნველყოფას და სხვა.

3.4 - ცვლილებები ეროვნულ დონეზე 9/11-ის შემდეგ ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით

9/11-ის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა ტერორიზმს და ამის პირველი გამოხატულება აღმასრულებელი ბრძანება 13224 იყო. 2002 წლის 29 იანვარს, პრეზიდენტმა ახალი დოქტრინა წარადგინა. ჯორჯ ბუშის განცხადებით, დასრულდა დრო, როდესაც აშშ საფრთხის წარმოშობას დაელოდებოდა - „მე არ გავდგები გვერდით საფრთხის მოახლოების დროს. ამერიკის შეერთებული შტატები არ დაუშვებს მსოფლიოს ყველაზე საშიში რეჟიმები დაგვემუქრონ მსოფლიოს ყველაზე გამანადგურებელი იარაღით“ (The editors of Encyclopaedia Britannica).

9/11-ის ტერაქტის შემდეგ, აშშ-ის უმაღლესმა სამთავრობო პირებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ბრძოლა ალ-ქაიდას დაფინანსების წინააღმდეგ ისეთივე კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო, როგორც ბრძოლა თავად ალ-ქაიდას წინააღმდეგ. ბრძოლის იდეა შემდეგში მდგომარეობდა: „თუ ჩავახშობთ ტერორისტების ფულს, ჩვენ შევზღუდავთ მათ შესაძლებლობას, დააორგანიზონ მასობრივი თავდასხმები“ (Roth, J. 2004).

ტერორიზმის დაფინანსების კვალის დადგენის მთავარი იდეა ისაა, რომ ეს შესაძლებლობას იძლევა საეჭვო ქსელების, პიროვნებების აღმოჩენით უსაფრთხოების განცდა შეიქმნას. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალური თანამდებობის პირის თქმით, „პრევენციის თამაშში, საკმარისია არაა აღმოაჩინო პიროვნება, რომელიც ბომბის გააქტიურებას აპირებს. ტერორიზმის დაფინანსების, როგორც დანაშაულის კვლევა აფართოებს სავარაუდო დამნაშავეთა სამყაროს, ასე, რომ ჩვენ შეგვიძლია დავსაჯოთ მანამ, სანამ ტერორისტული აქტი მოხდება“ (Goede, M, D. 2012).

ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა შესაბამის ფინანსებსაც მოითხოვდა, საჭირო რესურსების გამოსაყოფად, ახალი ინსტიტუტების შესაქმნელად. 9/11 ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, აშშ-ს თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ყოველწლიური ბიუჯეტი 145–160 მილიარდით გაიზარდა, თუმცა, არ არსებობდა ზუსტი გეგმა, კონკრეტულად რაში უნდა დახარჯულიყო ეს ფული (Kosiak, S. M. 2003).

საკანონმდებლო დონეზე ცვლილებები პატრიოტთა აქტის (სრული სახელწოდება - Uniting and Strengthening America by Providing Appropriate Tools Required to Intercept and Obstruct Terrorism Act of 2001) მიღებით დაიწყო. ახალი კანონმდებლობა, რომელიც კონგრესმა 9/11 ტერაქტების შემდეგ მიიღო, მნიშვნელოვნად აფართოებდა ძებნა/თვალთვალის მიმართულებით ფედერალური სამართალდამცავებისა და სადაზვერვო სამსახურების ძალებს.

პატრიოტთა აქტით შესწორებები შევიდა მოსმენა/მიყურადების აქტში, რომელიც კრძალავდა მთავრობის მიერ მიყურადებას კერძო პირისპირ, სატელეფონო, ელექტრონულ კომუნიკაციების დროს სასამართლოს ორდერის გარეშე. პატრიოტთა აქტის 201-292 სექციებით, სერიოზული დანაშაულების სიას კომპიუტერული და ტერორისტული დანაშაულებიც შეემატა, რაც სამართალდამცავებს საშუალებას აძლევდა მოეთხოვათ სასამართლო ორდენი მიყურადების დასაწყებად. აქტის ერთ-ერთი თავი კი ზრდიდა ხაზინის მდივნის ძალაუფლებას, ფულის გათეთრების დასამარცხებლად. დაემატა ახალი ტერორიზმთან დაკავშირებული გარემოებები უცხოელების დასაკავებლად/დასადეპორტებლად ან მათთვის აშშ-ში შესვლაზე უარის სათქმელად. გაფართოვდა „მატერიალური მხარდაჭერის“ დეფინიცია ტერორისტული ორგანიზაციებისთვის და მოიცვა „ექსპერტული რჩევა ან დახმარება“. ყოველივე ამან, გაზარდა ტერორისტულ დანაშაულთა რიცხვი (The editors of Encyclopaedia Britannica).

პატრიოტული აქტის მესამე თავი „საერთაშორისო ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის

დაფინანსების საწინააღმდეგო აქტის“ სახელით არის ცნობილი. სწორედ ამ აქტის საფუძველზე ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ქვეშ ჩამოყალიბდა „ტერორიზმის დაფინანსების მიმომხილველი ჯგუფი (TFRG)“. TFRG-ის სახით შეიქმნა ცენტრალიზებული მიმომხილველი ჯგუფი, რომელსაც ორი ძირითადი მისია ჰქონდა: I - მას უნდა ჩაეტარებინა 19 თავდამხმელის შედარებითი ფინანსური ანალიზი, რათა ისინი ერთმანეთთან დაეკავშირებინა და აღმოეჩინა მისი ფინანსური მხარდაჭერის სისტემა აშშ-სა და მის საზღვრებს მიღმა (სავარაუდო ტერორისტების და მათი გლობალური ფინანსური მხარდაჭერი სტრუქტურის ფინანსური ანალიზი). II - უნდა დაეწყოს ფინანსური გამოძიება ტერორიზმის პრევენციის მიზნით. TFRG-იმ შექმნა საერთაშორისო პროგრამაც საერთაშორისო საზოგადოებისთვის ტერორიზმის დაფინანსების მეთოდების გაზიარების მიზნით.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის თხოვნით, 2001 წელს კონგრესმა პატრიოტის აქტის ნაწილად სცნო საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური აქტი (IEEPA). აქტი პრეზიდენტს ანიჭებდა უფლებამოსილებას, გაეყინა აქტივები თუ კი წარმოიშობოდა შემდეგი გარემოებები: „პრეზიდენტს შეუძლია [გაყინოს აქტივები] როცა ამერიკის შეერთებული შტატები არის ჩართული შეიარაღებულ შეტაკებებში ან მას თავს დაესხა უცხო ქვეყანა, უცხო ეროვნების წარმომადგენლები; შეუძლია მოახდინოს იმ უცხოელი მოქალაქეების, ორგანიზაციებისა და ქვეყნების ქონების კონფისკაცია, რომლებმაც აშშ-ის პრეზიდენტის მტკიცებით, დაგეგმა, დაამტკიცა, დაეხმარა ან განახორციელა თავდასხმები აშშ-ის წინააღმდეგ. აღნიშნული ქონების გამოყენება, ადმინისტრირება, ლიკვიდირება ან გაყიდვა მოხდება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებიდან გამომდინარე“ (Casey, C.A. 2020).

პატრიოტის აქტმა სამართალდამცავებს მნიშვნელოვანი სამოქმედო მექანიზმები შეუქმნა. უპირველეს ყოვლისა, 9/11-ის შემდეგ, FBI-ის აგენტების თითქმის ნახევარს (6 500 /11 500) ტერორისტების ვინაობის დადგენა და მათი საერთაშორისო სპონსორების აღმოჩენა დაევალა. FBI-მ და CIA-მ თავისი ტერორიზმის დაფინანსების მექანიზმების გამოსაძიებლად მალევე გააერთიანეს რესურსები, მათ შორის გაცვალეს კონტრტერორიზმის ცენტრის თანამშრომლები.

ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა 9/11-ის ტერაქტის შემდეგ ახალი ძალებით დაიწყო ტერორიზმის დაფინანსების კვლევა. ნახევარ თვეში, შექმნა სრულიად ახალი სექცია, რომელიც ტერორიზმის დაფინანსებას იძიებდა, რათა ახალი სადაზვერვო ინფორმაციით შეევესო ის დეფიციტი, რაც 9/11-მდე ასებობდა ამ კუთხით. ახალი სექციის მიზანი ინფორმაციის მოძიება იყო, რათა აღმოეჩინათ ტერორისტთა ქსელები, მოედებნათ და ხელი შეეშალათ მათი ოპერაციებისთვის. CIA-მ მნიშვნელოვანი რესურსები გაიღო ამ ამოცანის შესასრულებლად. სექციის საქმიანობას ფულის მიმოქცევის მიმართულებით ფართო გამოცდილების მქონე პირები ჩაუდგნენ სათავეში (9/11 Commission Report, 2002)

გარდა უკვე არსებული ინსტიტუტებისა და სააგენტოებისა, რომლებმაც განახლებული რესურსებითა და ენერჯით დაიწყეს ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა, გაჩნდა ახალი მექანიზმებიც. მათ შორის, შეგვიძლია გამოვყოთ, ოპერაცია Green Quest, რომელიც სწორედ 2001 წლის 9/11-ის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ აშშ-ში შეიქმნა. ოპერაცია Green Quest წარმოადგენს უწყებათაშორის ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო სამუშაო ჯგუფს, რომელიც აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის სრულ ყურადღებას და ფინანსურ გამოცდილებას მიმართავს ტერორიზმის დაფინანსების წყაროებისა და ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირებაზე, შეფერხებასა და განადგურებაზე. ოპერაცია Green Quest აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მიერ დაარსდა და მოიცავს წარმომადგენლებს საბაჟო მომსახურების სფეროდან, შიდა შემოსავლების სამსახურიდან, ალკოჰოლის, თამბაქოს და ცეცხლსასროლი იარაღის ბიუროდან, უცხოური აქციების კონტროლის ოფისიდან, გამოძიების ფედერალური ბიუროდან, ფოსტის ინსპექციის სამსახურიდან, საზღვაო კრიმინალის საგამოძიებო სამსახურისა და იუსტიციის დეპარტამენტიდან და სხვა (U.S. Customs Service, 2012).

ტერორიზმის დაფინანსების კოორდინირებული გამოძიების ჩატარების მიზნით, Green Quest თავის საქმიანობას წარმართავს ეროვნული პროორიტეტებისა და პრეზიდენტის

დირექტივების საფუძველზე. უფრო მეტიც, რადგანაც Green Quest ამ ტიპის გამოძიების ეპიცენტრშია, იგი მუდმივად თანამშრომლობს სამართალდამცავებთან, სადაზვერვო სამსახურთან და საფინანსო ინსტიტუტებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გამოძიების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი ქმნის ბიზნესებისა და საფინანსო ტრანზაქციების სიას, რომლებიც „წითელ დროშებს“ ანიჭებს. აღნიშნული სია საბანკო და სავაჭრო საზოგადოებას მიეწოდება შემდგომი გამოძიების მიზნით (U.S. Customs Service, 2012).

9/11-ის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა გახდა ინტენსიური, ინტეგრალური კოორდინაციის მექანზიმების საგანი, რაც აერთიანებდა სადაზვერვო სამსახურებს, სამართალდამცავებს, სახაზინო და სახელმწიფო დეპარტამენტებს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს დონეზე 2002 წელს ტერორიზმის დაფინანსების შესახებ პოლიტიკის კოორდინირების კომიტეტი შეიქმნა (PPC). კომიტეტის თავმჯდომარე სახაზინო დეპარტამენტის გენერალური მრჩეველი იყო მანამ, სანამ 2003 წლის ნოემბერში მთავრობა არ დატოვა. კომიტეტის საქმიანობა ხშირად უფრო მეტად პერსონალურ ძალაუფლებას ეფუძვნებოდა, ვიდრე სტრუქტურულ მექანზიმებს და აერთიანებდა განსხვავებულ თვალსაზრისებს ტერორიზმის დაფინანსების პოლიტიკასთან დაკავშირებით. პროცესის ძირითადი მონაწილეები, განსაკუთრებით, CIA-სა და FBI-ის ლიდერები ხშირად აქებდნენ ერთმანეთს თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაზიარების სფეროში თავდადებისთვის (9/11 Commission Report, 2002).

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, აშშ-ში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მომუშავე ჯგუფებმა ყურადღება მიაპყრეს ფულის გათეთრების იმ სისტემების აღმოჩენასა და განადგურებაზე, რომლებიც საერთაშორისო ტერორიზმს აფინანსებდნენ. 9/11 ტერაქტმა ის გამოიწვევა წარმოაჩინა, რომელიც სამართალდამცავების წინაშე იდგა - ტრანსნაციონალურ საფინანსო სისტემებს არა მხოლოდ კრიმინალები იყენებდნენ, არამედ ტერორისტები და მათი დამფინანსებლებიც. საერთაშორისო ტერორიზმის დამფინანსებლები იყენებდნენ ოფშორებში არსებულ ბანკებს, კერძო ბანკებს, ნაკლებად ფორმალურ, ძველებურ მეთოდებს, როგორცაა ჰავალა, შავი ბაზარი, დიდი რაოდენობით ფულის კონტრაბანდა და სხვა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანონმდებლებმა ფულის გამთეთრებლების მიერ ფორმალური თუ არაფორმალური საფინანსო სისტემების გამოყენებას არსებული სტატუტებში ცვლილების შეტანითა და ახალი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონებითა და რეგულაციებით უპასუხეს. ამავე წლის 26 ოქტომბერს, რეფორმების უფრო ფართო პაკეტით კონგრესმა საერთაშორისო ფულის გათეთრების შემცირების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო 2001 წლის აქტით უპასუხა. ახალმა კანონმდებლობამ შეცვალა ფედერალური კანონი და მოითხოვა ბანკების მხრიდან უფრო დიდი ყურადღება კლიენტებთან და სხვა ბანკებთან ურთიერთობის დამყარებისა და ოპერაციების განხორციელებისას; გააფართოვა იმ ერთეულების სია, რომლებსაც სავალუტო ტრანზაქციისას ანგარიში უნდა წარედგინათ; გააფართოვა ფედერალური უფლებამოსილება, უცხოური ბანკების ჩანაწერების მოპოვების კუთხით; მიაწია ფედერალურ ხელისუფლებას ტერორისტების აქტივების ხელში ჩაგდების უფლება; გააფართოვა ფედერალური კანონები ფულის გათეთრების აკრძალვის კუთხით (Healy, N. M. 2001).

2001 წლის ფულის გათეთრების აქტი სამ ძირითად მიმართულებაზე იყო კონცენტრირებული. პირველი, ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კანონში, გაიზარდა „განსაზღვრული უკანონო აქტივობების“ (SUA) რიცხვი; მეორე, ყურადღება მიექცა ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთაც ახალი ვალდებულებები დაეკისრათ; მესამე, ფედერალურ სასამართლოებს, სამართალდამცავებს და მარეგულირებელ ერთეულებს დამატებითი პროცედურული მექანზიმები გადაეცათ (Healy, N. M. 2001).

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეროვნული სტრატეგიის შემუშავება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1999 წლიდან დაიწყო. 2002 წელს გამოქვეყნებულ სტრატეგიის შესავალში ვკითხულობთ: „ჩვენ ვაქვეყნებთ 2002 წლის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეროვნულ

სტრატეგიას მსოფლიოში, რომელიც დრამატულად შეიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ ... ჩვენ მხოლოდ ერთმანეთთან თანამშრომლობით შეგვიძლია ტერორისტებსა და სხვა დამნაშავეებს, რომლებიც ლაჩრულ მკვლევლობებს უჭერენ მხარს, შევუწყვიტოთ ფინანსური წყარო. ჩვენ ამ ამოცანას უნდა მივუდგეთ ახალი და დრამატულად განსხვავებული გზით“.

ფულის გათეთრების აღმოსაფხვრელად სტრატეგიაში დასახულია შემდეგი ძირითადი მიზნები: არსებული ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო ზომების ეფექტურობის შეფასება; მარეგულირებელი რეგულაციებისა და სამართალდამცავების ფოკუსირება ტერორიზმის დაფინანსების ქსელების აღმოჩენაზე, შეფერხებასა და აღმოფხვრაზე; ძირითადი ფულის გამთეთრებელი ორგანიზაციებისა და სისტემების წინააღმდეგ გამოძიების გაფართოება; ფულის გათეთრების პრევენცია საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობით და საჭირო მარეგულირებელი ზომების მიღებით; სახელმწიფო და ადგილობრივ მთავრობებთან სამართალდამცავების საქმიანობის კოორდინირება; ფულის გათეთრების საწინააღმდეგო საერთაშორისო რეჟიმების გაძლიერება.

2004 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის ფარგლებში ტერორიზმისა და ფინანსური დაზვერვის ოფისი შეიქმნა. ოფისის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ტერორისტების, ფულის გამთეთრებლებისა და ნარკოტიკების კარტელების მიერ საფინანსო სისტემის უკანონო საქმიანობისთვის გამოყენების შემცირება გახდა. ოფისს სათავეში ტერორიზმისა და ფინანსური დაზვერვის საკითხებში ხაზინის მდივნის მოადგილე უდგას, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს და სენატი ამტკიცებს .

ტერორიზმისა და ფინანსური დაზვერვის ოფისის (TFI) დაქვემდებარებაში რამდენიმე ქვე სტრუქტურა შედის: ტერორიზმის დაფინანსების და ფინანსური დანაშაულების ოფისი, დაზვერვისა და ანალიზის ოფისი, უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი, ფინანსური დანაშაულის აღსრულების ქსელი და სახაზინო აღმასრულებელი ოფისი ქონების ჩამორთმევისთვის .

TFI-ის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურებიდან შეგვიძლია გამოვარჩიოთ ტერორიზმის დაფინანსებისა და ფინანსური დანაშაულების ოფისი, როგორც ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმი. აღნიშნული ოფისი ეროვნული უსაფრთხოების ყველა ელემენტთან, კერძო სექტორსა და უცხოურ მთავრობებთან მუშაობს, რათა აღმოაჩინოს და აღმოფხვრას საფრთხეები, რომლებსაც საერთაშორისო საფინანსო სისტემაში არაკანონიერი ფინანსები წარმოქმნის. ამ მიზნით, ტერორიზმის დაფინანსების და ფინანსური დანაშაულების ოფისი ავითარებს ინიციატივებსა და სტრატეგიებს (U.S. Department of the Treasury, 2021).

ტერორიზმის დაფინანსების და ფინანსური დანაშაულის ოფისი 2018 წლიდან შეიმუშავებს აშშ-ის ეროვნულ სტრატეგიას უკანონო დაფინანსების წინააღმდეგ. უკანასკნელი, 2020 წლის სტრატეგია წარმოადგენს გზამკვლევს, თუ როგორ უნდა მოხდეს აშშ-ის ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლო რეჟიმის მოდერნიზება ისე, რომ უფრო ეფექტური და ეფექტიანი გახდეს. 2020 წლის სტრატეგია ახდენს ძირითადი საფრთხეების, სუსტი წერტილების და პრიორიტეტების იდენტიფიცირებას უკანონო ფინანსური საქმიანობის შესაჩერებლად/პრევენციისთვის (U.S. Department of the Treasury).

ტერორიზმის დაფინანსების და ფინანსური დანაშაულის ოფისი 2018 წლიდან შეიმუშავებს ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების დოკუმენტსაც. აღნიშნული დოკუმენტი ეხმარება საჯარო და კერძო სექტორს, უკეთ გაიგონ რას მოიცავს ტერორიზმის დაფინანსება; აცნობს რისკებს, რომელთაც ეს აქტივობები წარმოშობს აშშ-ის ფინანსური სისტემისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ამ გზით, აშშ-ის სამთავრობო სააგენტოებს შესაძლებლობა ეძლევათ უფრო ეფექტურად დაამარცხონ აქტორები, რომლებსაც აშშ-ის ფინანსური სისტემის უკანონო საქმიანობისთვის გამოყენება სურთ (U.S. Department of the Treasury).

3.5 - ცვლილებები საერთაშორისო დონეზე ტერორიზმის დაფინანსების კუთხით

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ თავდასხმებს მყისიერი პასუხი მოჰყვა საერთაშორისო დონეზე. 12 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რეზოლუცია 1968 მიიღო. რეზოლუცია ამტკიცებდა, რომ გაეროს წევრი სახელმწიფოები ნებისმიერი გზით დაუპირისპირდებოდნენ საფრთხეებს, რომელიც საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას დაემუქრებოდა.

რეზოლუცია 1968-ის მესამე პუნქტი მოუწოდებდა ყველა სახელმწიფოს ერთად მუშაობისკენ, რათა სამართლის წინაშე წარედგინათ ტერორისტული თავდასხმების ორგანიზატორები და სპონსორები. ამასთანავე, ამავე პუნქტში ხაზგასმული იყო, რომ პასუხისმგებლობაში მიეცემოდა ყველა, ვინც ეხმარებოდა, მხარს უჭერდა და მფარველობდა ამ ტერორისტულ აქტების ავტორებს, ორგანიზატორებსა და სპონსორებს (UN Resolution 1368).

2001 წლის 28 სექტემბერს გაერომ კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო. რეზოლუცია 1373 მხარს უჭერდა გაეროს რეზოლუციებს - 1368 და 1267 (ეს უკანასკნელი 1999 წელს მიიღეს). თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ რეზოლუცია 1373-მა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ტერორიზმის დაფინანსების საკითხს მიაპყრო, როგორც ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას (UN Resolution 1373).

რეზოლუცია 1373-ის მიხედვით, ყველა სახელმწიფოს უნდა მოეხდინა ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია და შეზღუდვა; მათი მოქალაქეების ან მათ ტერორიზმზე ფინანსების ნებისმიერი გზით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეგროვების კრიმინალიზება, თუ კი მისი დანიშნულება იყო ტერორისტული აქტების განხორციელების დაფინანსება; გაეყინა ფინანსური აქტივები ან ეკონომიკური რესურსები იმ პიროვნებებისთვის, ვინც სჩადიოდა ან ცდილობდა ტერორისტული აქტში მონაწილეობას ან ხელშეწყობას; პასუხისმგებლობაში მიეცა ტერორიზმთან კავშირში მყოფი პირები; უარი ეთქვა თავშესაფრის მიცემაზე იმ პირებისთვის, ვინც აფინანსებდა, გეგმავდა, მხარს უჭერდა ან ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს. ამ მიზნით, რეზოლუცია მოუწოდებდა წევრ ქვეყნებს გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის ოპერატიული მნიშვნელობის ინფორმაცია, გაეფორმებინათ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, შეერთებოდნენ საერთაშორისო კონვენციებს (UN Resolution 1373).

რეზოლუცია 1373 უფრო წინ წავიდა, ვიდრე რეზოლუცია 1267 და სახელმწიფოებს ყველა ტერორისტულ ორგანიზაციასა და მათთან ასოცირებულ პიროვნებათა წინააღმდეგ წასვლა მოსთხოვა. (არა მხოლოდ ალ-ქაიდა და თალიბანი). აღნიშნული აშშ-ის მოტივაციაზე მიუთითებს - მას 11 სექტემბრის შემდეგ არსებული სენტიმენტების გამოყენება სურდა იმაზე მკაცრი ზომების მისაღებად, ვიდრე სახელმწიფოები სხვა შემთხვევაში დაუშვებდნენ. რეზოლუციის საფუძველზე ჩამოყალიბდა კონტრტერორისტული კომიტეტი (CTC), რომელსაც გაეროს წევრი ქვეყნების შესაძლებლობების ზრდის მეთვალყურეობა ევალებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1268-ის კომიტეტისგან განსხვავებით, კონტრტერორისტულმა კომიტეტმა არ შეინარჩუნა აღიარებული ტერორისტების სია (გაერთიანებულმა სამეფომ უარი განაცხადა აღნიშნულ შემოთავაზებაზე) (Clunan, A. L. 2006/2007).

ინსტიტუტი, რომლის ყურადღებაც 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ ტერორიზმის დაფინანსების შესწავლას მიეპყრო, ფინანსური საქმიანობის სამუშაო ჯგუფი (FATF) იყო. სამუშაო ჯგუფი 1989 წელს დიდი შვიდიანის სამიტზე შეიქმნა ფულის გათეთრების მზარდი ტენდენციის პასუხად. ფინანსური საქმიანობის სამუშაო ჯგუფის მთავარი მოვალეობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრების ტექნიკებისა და

ტენდენციების შესწავლა იყო, რის შედეგად მოხდებოდა რეკომენდაციების შემუშავება (FATF official website, 2021).

2001 წელს ფინანსური საქმიანობის სამუშაო ჯგუფის მისიას ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა შეემატა. 2001 წლის ოქტომბერში, ტერორიზმის დაფინანსების საკითხთან გასამკლავებლად FATF-მა რვა სპეციალური რეკომენდაცია გამოაქვეყნა: ფინანსური ინსტიტუტების ბიზნესების შექმნა, ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების აღმოსაჩენად; ჩარჩოს შექმნა, ტერორისტების აქტივების და ფინანსების მყისიერად გასაყინად; ფულისა საზღვრებს შორის ტრანსპორტირებაზე კონტროლის დამყარება; კომპეტენტურ ხელისუფლებას შორის ინფორმაციის გაზიარება; ფინანსური სადაზვერვო ერთეულის შექმნა, ტერორიზმის დაფინანსებაზე ინფორმაციის მოპოვება/ანალიზის მიზნით; ტერორიზმის დაფინანსების სისხლის სამართლის დანაშაულად ქცევა და სამართალდამცავებისთვის მათი გამოძიების უფლების მინიჭება; იმის გაგება და შეფასება, თუ როგორ არის ან შეიძლება დაფინანსდეს ტერორიზმი (FATF Brochure, 2001).

2004 წელს ფინანსური საქმიანობის სამუშაო ჯგუფმა 9 რეკომენდაცია გამოაქვეყნა და კიდევ უფრო გააძლიერა ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველი საერთაშორისო სტანდარტები. ტერორიზმის დაფინანსების და ფულის გათეთრების შესახებ გაცემული ცხრავე რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული, რამაც უფრო მყარი და მკაფიო სტანდარტების დამკვიდრებას შეუწყო ხელი (FATF official website, 2021).

ფინანსური საქმიანობის სამუშაო ჯგუფს საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერაც ჰქონდა. 2005 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია 1617 და 2006 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის 40/288 სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამდა FATF-ის რეკომენდაციების იმპლემენტაციის მნიშვნელობას. რეზოლუციაში ვკითხულობთ: [გაერო] ... მკაცრად მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს, მოახდინონ იმ საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია, რომელიც ფინანსური საქმიანობის სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ცხრა სპეციალურ რეკომენდაციაშია“ (UN Resolution 1617).

2009 წელს, ქვეყნების 80%-ს ან საერთოდ არ ჰქონდათ კანონები ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ, ან მათში მნიშვნელოვანი გარღვევები იყო. დღეისათვის, FATF-მა მიაღწია იმას, რაც კანონმა და არაპირდაპირმა იძულებამ ვერ შეძლო: რადიკალური ცვლილება ტერორიზმის დაფინანსების მიმართ სახელმწიფოთა მიდგომაში (Morce, J.C. 2021).

ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ახალი მექანიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამოქმედდა ტერორიზმის დაფინანსების თვალთვალის პროგრამის (TFTP) სახით. პროგრამის შექმნის ინიციატორი აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი იყო. პროგრამის მთავარი მიზანი კი ტერორისტების - მათ შორის, ალ-ქაიდას - და მათი ქსელების იდენტიფიცირება, თვალთვალი და დევნა. 2001 წლის შემდეგ, პროგრამამ არაერთხელ მიაწოდა შესაბამის ორგანოებს საჭირო ინფორმაცია, რამაც ტერორისტული თავდასხმების პრევენცია მოახდინა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია: ბალის დაბომბვა (2002), მადრიდის მატარებლის დაბომბვა (2004), დაბომბვა ლონდონში (2005), თხევადი ბომბის გამოყენების გეგმა ტრანსატლანტიკური თვითმფრინავის წინააღმდეგ (2006), ჯონ კენედის სახელობის აეროპორტზე თავდასხმის გეგმა (2007), აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩის მკვლელობის მცდელობა (2011), ბოსტონის მარათონის დაბომბვა (2013) და მრავალი სხვა (The TFTP Brochure). პროგრამის ფარგლებში დიდი რაოდენობით ინფორმაციის გაზიარება მოხდა ევროკავშირის სახელმწიფოების მთავრობებსა და ევროპულ ოფიციალურ პირებთან.

საბოლოოდ, ტერორიზმის დაფინანსების თვალთვალის პროგრამამ საერთაშორისო დონეს 2010 წელს მიაღწია, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ევროკავშირის ტრანზაქციებისა თუ ფინანსური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება მიენიჭა. შეთანხმება ევროკავშირის საბჭოს მიერ იქნა დამტკიცებული. ევროკავშირსა და აშშ-ის შორის არსებული შეთანხმება პასუხობს ყველა გამოწვევას უსაფრთხოების, პირადი სივრცისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხით (EU official Website, 2021).

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების მისიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის მიერ გამოძახებების გაგზავნა მსოფლიოს ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოებასთან (SWIFT) - ბელგიაში დაფუძნებულ კომპანიასთან, რომელიც ოპერირებას უწევს მსოფლიო მასშტაბის შეტყობინებების სისტემას, რაც ფინანსური ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის გადაცემას ემსახურება - იძიებს ინფორმაციას საერთაშორისო ტერორიზმში ექვმიტანილი პირების და მათი ქსელების შესახებ(U.S. Department of the Treasury, 2021).

ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორ სახელმწიფოთა რიგს საუდის არაბეთიც შეუერთდა. როგორც სადაზვერვო სამსახურმა დაადგინა, ალ-ქაიდას ფინანსების წყარო საუდის არაბეთიდან მოდიოდა 11 სექტემბრის ტერორისტულ თავდასხამდე და მის შემდეგაც - ძირითადად, ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან, მეჩეთებიდან და სხვა დონორებისგან. 9/11-ის კომისიამ ვერანაირი მტკიცებულება ვერ აღმოაჩინა, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ან ოფიციალურმა პირებმა რაიმე იცოდნენ და მხარს უჭერდნენ ალ-ქაიდას. თუმცა, ფაქტია, რომ პრობლემის მიმართ უყურადღებობამ და ინსტიტუტების წარუმატებლობამ ამ ტიპის აქტივობების ხელშემწყობი გარემო წარმოქმნა.

2003 წელს საუდის არაბეთის მთავრობამ საბოლოოდ მიაპყრო ყურადღება ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლას და ამ მიმართულებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა დაიწყო. 9/11-ის კომისიის ანგარიშში ვკითხულობთ: „აშშ-ის ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სტრატეგიის მთავარი ნაწილი საუდის არაბეთთან ურთიერთობის მონიტორინგი და წახალისება უნდა იყოს, თუმცა ამასთანავე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ტერორიზმის დაფინანსება მხოლოდ ერთ-ერთ საკითხთაგანია, რომელზეც მხარეებმა ერთად უნდა იმუშაონ. რთული და ნიუანსებით სავსე ურთიერთობების მართვა გადამწყვეტ როლს შეასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების კონტრ-ტერორისტული პოლიტიკის ახლო მომავალში“ (9/11 Commission Report, 2004).

2018 წლის აშშ-ის მთავრობის მოხსენებაში ტერორიზმის ფინანსური მხარდაჭერა საუდის არაბეთის მოქალაქეებისგან კვლავ გამოწვევად რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთის მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი თავდადება ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში როგორც თავად სამეფოში, ასევე მთლიანად სპარსეთის ყურეში (Blanchard, C. M. 2021). აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მაისში შეიქმნა ტერორიზმის დაფინანსების სამიზნე ცენტრი(TFTC) ამერიკის შეერთებული შტატების, საუდის არაბეთის და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების ძალისხმევით. ცენტრის მთავარი დანიშნულება ტერორიზმის დაფინანსების მზარდი უსაფრთხოების პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ტერორიზმის დაფინანსების სამიზნე ცენტრის მიზანი ტერორიზმის დაფინანსების ქსელების აღმოჩენა, მიკვლევა და მის შესახებ ინფორმაციის გაზიარებაა სახელმწიფოებს შორის, რათა შემდგომში კოორდინირებული ქმედებები დაიგეგმოს და დახმარება გაენიოს რეგიონის ისეთ ქვეყნებს, რომელთა წინაშეც ტერორიზმის დაფინანსების საფრთხე არსებობს (Embassy of Saudi Arabia in U.S).

2020 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საუდის არაბეთი შეაფასა, როგორც „ძლიერი პარტნიორი რეგიონული უსაფრთხოებისა და კონტრ ტერორისტული საქმიანობის კუთხით“. აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთი ISIS-ის საწინააღმდეგო გლობალური კოალიციის ფინანსური ჯგუფის თანათავმჯდომარეა (Blanchard, C. M. 2021).

ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს თავის დიპლომატიურ რესურსებსა და მრავალმხრივ შეთანხმებებს საერთაშორისო თანამშრომლობის, კოლაბორაციისა და შესაძლებლობათა ზრდის უზრუნველსაყოფად. აშშ-მ გაეროს დახმარებით ტერორიზმზე ბრძოლა საერთაშორისო, გლობალურ დონეზე აიყვანა ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმებით მსოფლიოს არაერთ ქვეყანასთან. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების სიის (FTO) შექმნა იყო. აღნიშნული სია საშუალებას იძლევა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის დააპატიმროს ამერიკის

მოქალაქე, რომელმაც მატერიალური თუ სხვა სახის დახმარება გაუწია ტერორისტულად აღიარებულ ჯგუფებს. ზოგიერთმა ქვეყანამ ეს სია გზამკვლევადა გაიხადა ტერორიზმის დაფინანსების კუთხით საქმიანობის წარმართვისას (Congress Session).

მრავალმხრივი თანამშრომლობის მაგალითია ეგმონტის ჯგუფი (The Egmont Group), რომელიც 167 ფინანსურსადაზვერვო ერთეულს აერთიანებს. ეგმონტის ჯგუფი წარმოადგენს პლატფორმას ფინანსური სადაზვერვო ინფორმაციისა და გამოცდილების უსაფრთხოდ გაცვლისთვის ტერორიზმის დაფინანსების და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ფინანსური სადაზვერვო ერთეულები მიმართულია ითანამშრომლოს და მხარი დაუჭიროს ეროვნულ და საერთაშორისო ძალისხმევას ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში; სანდო სივრცეს წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის გაზიარებისთვის როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო გლობალური სტანდარტების შესაბამისად (Egmont Group Website).

ტერორისტული ორგანიზაციებისთვის გამჭვირვალე საერთაშორისო ფინანსური სისტემა, სადაც არალეგალური ტრანზაქციების კვალის დადგენაა შესაძლებელი, მტრულ გარემოს ქმნის. იმის დადგენა, თუ ვინ ამოძრავებს ფულს ფინანსურ სისტემაში, შესაძლებლობას იძლევა მიზნობრივი სანქციები დაწესდეს მათ წინააღმდეგ, ვინც არაკანონიერ საქმიანობას აწარმოებს.

მიზანმიმართული ფინანსური სანქციები, რომელსაც აშშ აწესებს არა მხოლოდ ფიტავს ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსებს, არამედ მათ აიძულებს დამატებითი დრო და რესურსები დახარჯონ დაფინანსების ახალი არხების ძიებაში. ამასთანავე, სანქციების საჯაროობიდან გამომდინარე, ტერორისტების შესაძლო დონორები თავს იკავებენ დაფინანსებისგან. ამერიკის შეერთებული შტატები პარტნიორებთან ერთად მუშაობს სანქციების გავლენის მაქსიმალიზაციაზე. აშშ არაა შეზღუდული მხოლოდ გაეროს სანქციების ფარგლებში, ვინაიდან შეუძლია იმოქმედოს საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში იმ ორგანიზაციების წინააღმდეგაც, რომლებიც გაეროს მიერ არაა აღიარებული.

2017 წელს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აღმასრულებელ ბრძალების (E.O.) 13818 / 3., 2019 წელს კი აღმასრულებელი ბრძანების 13224 მოდერნიზაცია მოახდინა და აშშ-ის მთავრობას პირველადი კონტრტერორისტული სანქციების დაწესების ძალაუფლება მიანიჭა. ამ ბრძანების საფუძველზე, მთავრობას შეუძლია აღიაროს ლიდერები, ოფიციალური პირები ან ინდივიდები, ვინც ტერორისტების განვრთნაში მონაწილეობს. დამატებით, აღნიშნული შესწორება მეორადი სანქციების დაწესებას ითვალისწინებს იმ უცხოური ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებიც გაცნობიერებულად უწყობს ხელს მნიშვნელოვანი ფინანსური გადარიცხვების განხორციელებას აღიარებული ტერორისტული ორგანიზაციების სასარგებლოდ (NSCTOIF, 2020) .

შედგები

ამერიკელთა უმრავლესობის წარმოდგენით (76%) 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ყველაზე დასამასხოვრებელი მოვლენაა. თავდასხმების ტრაგიკულმა შედეგებმა 2001 წელს გაზარდა პატრიოტული გრძნობები მოსახლეობაში და მისმა 60%-მა ნდობა გამოუცხადა ფედერალურ მთავრობასა და ახალ ინსტიტუტებს, რომლებიც თავდასხმიდან მალევე შეიქმნა. რაც შეეხება, ჯორჯ ბუშს, თავდასხმიდან სამ კვირაში მისი რეიტინგი 35%-ით გაიზარდა. სექტემბრის ბოლოს, რესპუბლიკელების 96%-სა და დემოკრატების 78%-ის მოსაზრებით, ბუში თავის სამუშაოს წარმატებით უძღვებოდა (Harting, H; Doherty, C. 2021).

2002 წელს ამერიკის მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულება, სამოქალაქო უფლებებსა და ქვეყნის დაცვას შორის ბალანსის თაობაზე, ამ უკანასკნელისკენ გადაიხარა. მოსახლეობის 55% თვლიდა, რომ ტერორიზმის დასამარცხებლად ზოგიერთი სამოქალაქო უფლების დათმობა გამართლებული იქნებოდა (Harting, H; Doherty, C. 2021).

მიუხედავად ამისა, კვლევაში მიმოხილული საკანონმდებლო ცვლილებები და ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად ჩამოყალიბებული ინსტიტუტების საქმიანობა ექსპერტთა კრიტიკისა და განხილვის საგანია. კრიტიკოსთა აზრით, პატრიოტთა აქტი, რომელიც 2001 წელს იქნა მიღებული ფედერალური ხელისუფლების მიერ ძალაუფლების გადაჭარბების საფუძველს იძლევა. მაგალითად, 215 სექცია მეოთხე შესწორების მიერ უზრუნველყოფილ უფლებებს ლახავს, რადგან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, უორდენოდ ჩხრეკის უფლებას იძლევა. ამის მსგავსად, ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს 218 სექციით უფლება აქვს განახორციელოს თვალთვალი აშშ-ის მოქალაქეებზე კრიმინალური საქმიანობის სავარაუდო ფაქტის დასახელების გარეშე. მიუხედავად ამისა, 2010 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, ექსპერტების რჩევებითა და დახმარებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ 'მატერიალური მხარდაჭერის' განმარტების მისეული ვერსიით აქტი არ ლახავს გამოხატვის თავისუფლებას (The editors of Encyclopaedia Britannica).

მართალია, ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს (FBI) ძალაუფლების გადაჭარბებაში ედავებიან, მაგრამ სტატისტიკური მონაცემები ამტკიცებს, რომ 2001 წლის პატრიოტთა აქტით გატარებული ცვლილებების შემდეგ, ბიუროს საქმიანობა უფრო ეფექტური გახდა. 2002 წლის 19 სექტემბერს ბიუროს ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ აშშ-ის მასშტაბით ამ დროისთვის უკვე ჰქონდათ ამოღებული ტერორიზმის დაფინანსებისთვის განკუთვნილი \$34 მილიონი დოლარი, მსოფლიოს მასშტაბით კი - \$112 მილიონი. ამასთანავე, FBI-ს მიერ 320, 000 დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე 10,500 ანგარიშის მფლობელი ეჭვის საფუძველზე სასამართლოში დაიბარეს (Hardister, A. D.2003). ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის წარმატების მაგალითია ტერორიზმის დაფინანსების კვლევის პროგრამა (TFTP). 2001 წლის შემდეგ პროგრამამ არაერთხელ მიაწოდა მნიშვნელოვანი, ღირებული ინფორმაცია შესაბამის უწყებებს აშშ-ში და ამით ტერორისტული თავდასხმების პრევენციამოახდინა აშშ-ში, საფრანგეთში, დიდბრიტანეთში, ნიდერლანდებში და სხვ (TFTP Brochure, 2016). 2010 წელს ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ინფორმაციის გაზიარება ევროპის ქვეყნებთანაც მოხდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა პროგრამის მასშტაბები და ევროპის თავდაცვისუნარიანობა აამაღლა.

წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითია ფინანსური საქმიანობის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 9 სპეციალური რეკომენდაცია გამოსცა, რომელის საფუძველზეც არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა დაიხვეწა და ტერორიზმთან ბრძოლის უფრო ეფექტური მექანიზმებიც შეიქმნა.

'ტერორიზმის წინააღმდეგ ომის' მთავარი მიღწევა აშშ-ის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმების რიცხვის და მასშტაბის შემცირებაა. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ს ტერიტორიაზე მასშტაბური ტერორისტული თავდასხმა აღარ მომხდარა. რეგიონების

მიხედვით, 2002-2019 წლებში ტერორისტული თავდასხმების რაოდენობით ჩრდილოეთ ამერიკა ბოლოს წინა ადგილს იკავებს (514 შემთხვევა) და მხოლოდ ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის კუნძულებს უსწრებს რაოდენობით. ამ მიმართულებით ლიდერობს - ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილო აფრიკა - ტერორიზმის 37 553 შემთხვევა, სამხრეთ აზია - 37 154 შემთხვევა. ევროპა მეხუთე ადგილს იკავებს 4 531 შემთხვევით (Statista.com). მიუხედავად დადებითი მაჩვენებლისა, რთულია იმის დადგენა, რამდენადაა ეს სტატისტიკა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი, ვინაიდან ტერორიზმის წინააღმდეგ ომი მხოლოდ მის დაფინანსებასთან ბრძოლას არ მოიცავს და ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა.

ტერორისტული თავდასხმების შედეგად აშშ 2002-2020 წლებში 190 პიროვნება დაიღუპა. აქედან აშშ-ს მოქალაქეთა რიცხვი 177-ია. აღნიშნული სტატისტიკა შთამბეჭდავია, თუ შევადარებთ თუნდაც მხოლოდ 2001 წლის მაჩვენებელს (3005 დაღუპული ტერორისტული თავდასხმების შედეგად აშშ-ში). აღსანიშნავია ისიც, რომ ლეტალური ჭიჭადისტური თავდასხმების უკან ძირითადად თავად ამერიკის მოქალაქეები გვევლინებიან (Bergen, P. Sterman, D. 2021).

ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მას შემდეგ გახდა, რაც დადგინდა, რომ ალ ქაიდას 11 სექტემბრის თავდასხმები დაახლოებით \$400,000 დოლარი დაუჭდა. თუმცა, მკვლევარების აზრით, ტერორისტული თავდასხმების ღირებულება ხშირ შემთხვევაში არაპროპორციულად მცირეა იმ ხარჯთან შედარებით, რაც ეკონომიკას ადგება. ასე მოხდა 9/11-ის შემთხვევაშიც - აშშ-ის ეკონომიკას 3.3 ტრილიონი დოლარის ზარალი მიაღდა, რაც ნიშნავს, რომ ყოველი \$1 დოლარი, რომელიც ალ ქაიდამ თავდასხმაზე დახარჯა, აშშ-ს ეკონომიკას \$7 მილიონი დოლარი დაუჭდა (Maruyama, E. Hallahan, K. 2017).

აშშ-ის მთავრობის მიერ 3.3 ტრილიონის დახარჯვა 'ტერორიზმის წინააღმდეგ ომში' ნაკლებ კრიტიკას გამოიწვევდა იმ შემთხვევაში, თუ კი ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა ტერორიზმის პრევენციასა და აღმოფხვრას ეფექტიანად მოახდენდა.

ერთ-ერთი პირველი მექანიზმი, რომელიც ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ დაინერგა, ტერორისტების ფინანსური აქტივების გაყინვაა. თუმცა, მას მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნია - ტერორისტების აქტივების გაყინვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუკი ფულის მიმოქცევა ფორმალურ ფინანსურ სისტემაში ხდება და შესაბამისად, ამ სისტემის ნაწილია. თუმცა, ტერორიზმის მკვლევართათვის კარგადაა ცნობილი 'ჰავალას' სისტემა, რომელიც გულისხმობს, ფულის გადარიცხვის არაფორმალურ სისტემას, რომელსაც ისლამისტური ჯგუფები და ქვეყნები ფულადი გადარიცხვებისთვის იყენებენ მთელ მსოფლიოში, მათ შორის აშშ-შიც. სისტემა უკვალოა, ვინაიდან არ არსებობს არავითარი საბანკო ჩანაწერები ან განცხადებები, თუმცა მისი მეშვეობით ერთ დღეში ასი ათასობით დოლარის გადაადგილება შესაძლებელი (Hardister, A. D. 2003).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 'ჰავალას' სისტემა აშშ-ს ამოცანას, მისდიოს ტერორიზმის ფინანსებს, ძალიან ართულებს. მიუხედავად ტრილიონებისა, რაც ამერიკამ ტერორიზმის წინააღმდეგ ომში დახარჯა, მას არ გააჩნია კონტროლი არაფორმალურ ფინანსურ სისტემაზე, სადაც სავარაუდოა, რომ ტერორისტების ფინანსების ძირითადი ნაწილი მოძრაობს. ალ ქაიდასთვის, ფულის მიმოქცევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება სწორედ ჰავალას სისტემის გამოყენება იყო.

კიდევ ერთი საკამათო საკითხი ტერორისტებისათვის გამოსასყიდის გადახდაა, როდესაც მათ ამერიკის მოქალაქეები აჰყავთ ტყვედ. მართალია აშშ-ს პოლიტიკა ეწინააღმდეგება გატაცებული მოქალაქეების გამოსახსნელად გამოსასყიდის გადახდას, მაგრამ რეალურად, მხოლოდ 2008-2014 წლებში ტერორისტებისათვის გამოსასყიდად გადახდილმა თანხამ მსოფლიოში \$165 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან, ალ ქაიდამ დამასთან ასოცირებულმა ჯგუფებმა \$125 მილიონი გამოიმუშავეს, რაც ამ პროცესს ტერორისტებისათვის ძალიან მომგებიანად აქცევს. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2015 წელს განაცხადა: „მე ღრმად მწამს, რომ აშშ-ის მთავრობის მიერ ამერიკის მოქალაქეების გამოსახსნელად

ტერორისტებისათვის გამოსასყიდის გადახდა უფრო მეტ ამერიკელს უქმნის საფრთხეს და აფინანსებს სწორედ იმ ტერორიზმს, რომლის შეჩერებაც ჩვენ ვკლავს“ (Maruyama, E. Hallahan, K. 2017).

პრობლემა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მექანიზმების, რომლებიც ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით ნაკლებად ეფექტურია. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონებისა და რეგულაციების მთავარი დაშვება ისაა, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოშობს ფულის უზარმაზარ მასას, დამნაშავეებს კი ამ ფულის გამოყენება სურთ თანაც ისე, რომ დანაშაულის კვალი დაიფაროს. ბანკებს Bank Secrecy Act-ის საფუძველზე ევალებათ, დააკვირდნენ ტრანზაქციებს, რომლებიც ეჭვს იწვევს და \$10, 000 დოლარს აღემატება და ინფორმაცია შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს მიაწოდონ (9/11 Commission Report, 2002).

ეს სისტემა ეფექტურია ფულის გათეთრების შემთხვევების აღმოსაჩენად, მაგრამ ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევაში ეს მექანიზმი ნაკლებად მუშაობს, რაც შესაძლოა 9/11-ის მაგალითზე დავამტკიცოთ.

მართალია, აშშ-ის მთავრობას შესაძლოა ჰქონდეს სადაზვერვო ინფორმაცია, რომელიც ტერორისტებსა და მათ ფინანსებს გამოავლენს, მაგრამ ფინანსურ ინსტიტუტებს ეს ინფორმაცია არ მიეწოდებათ. 19 თავდამსხმელს, რომელმაც 9/11-ის ტერორისტულ აქტში მიიღო მონაწილეობა, დამალვა არ გასჭირვებია. პირიქით, მათ აშშ-ის საბანკო ანგარიშებიც ჰქონდათ, მაგრამ ბანკის თანამშრომლები ვერასოდეს იეჭვებდნენ ტერორისტების უკანონო საქმიანობას, თუ სადაზვერვო ინფორმაციას არ ფლობდნენ მათი ალ ქაიდასთან სავარაუდო კავშირის შესახებ. ერთი შეხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ბანკებისა და სადაზვერვო სამსახურების კოორდინირებული მუშაობით შესაძლებელია ამ პრობლემის დაძლევა, რაზეც 9/11-ის კომისიაც საუბრობს თავის მოხსენებაში, მაგრამ ბანკის თანამშრომლებისათვის სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარება, რამდენად სანდონიც არ უნდა იყვნენ ისინი, მაღალი რისკის შემცველია. რომ აღარაფერი ვთქვათ, ტერორისტებზე, რომლებიც ამ გზით უკანონო საქმიანობის ახალ მიმართულებას დაინახავდნენ (9/11 commission Reports, 2002).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავად ფორმალურ ფინანსურსისტემაშიცარსებობს ხარვეზები, რომელთაც ტერორისტები თავის სასარგებლოდ იყენებენ.

მთავარი პრობლემა რაც ყოველ ზემოთ განხილულ ინსტიტუტს გააჩნია მაინც ისაა, რომ ტერორისტებს დაფინანსების მოქნილი ქსელი გააჩნიათ და ერთი წყაროდან მეორეზე გადანაცვლება გაცილებით მარტივად შეუძლიათ, ვიდრე აღნიშნულ ინსტიტუტებს, რომლებიც ადაპტაციას ნაკლებად განიცდიან და იერარქიულობით გამოირჩევიან. ტერორისტებმა ფორმალური სისტემის გვერდის ავლით შესაძლოა მიმართონ საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით ფონდების დივერსიფიკაციას, შეიძლება უკანონო ბიზნეს-საქმიანობა აწარმოონ, ჰავალას სისტემას მიმართონ ან ისეთი ტიპის ტერორისტული თავდასხმა დაგეგმონ, რომელიც დიდ ფინანსებს საერთოდ არ საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ეს ყოველივე სულაც არ ნიშნავს, რომ აშშ-ის საქმიანობა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით უნაყოფოა. მხოლოდ 2003 წელს ალ-ქაიდას დაფინანსებისთვის აშშ-ის ინსტიტუტებმა 300მდე ინდივიდი, საქველმოქმედო ორგანიზაცია თუ კორპორაცია ამხილეს, რაც ტერორიზმის კუთხით ძალიან დიდი მიღწევა იყო.

ამ მიღწევას აუფერულებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის აშშ-ის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ დაჯგუფებათა რიცხვი 4-ჯერ არის გაზრდილი 2001 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

დასკვნა

კვლევითი ნაშრომი ემსახურება 9/11-ის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გადადგმული ნაბიჯების შესწავლას ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით, რაც ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა აშშ-ს მიერ გადადგმული ნაბიჯები მიმოხილვა ტერორიზმის დაფინანსების აღმოსაფხვრელად როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე 2001 წლის შემდგომ 9/11-ის ტერაქტიდან 20 წლის თავზე და იმის დადგენა, რამდენად ეფექტური გამოდგა ახალი მექანიზმები და ინსტიტუტები, რომელიც ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, შეჩერებისა და აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა.

კვლევაში დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენდა აშშ-ს ბრძოლა ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგოდ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ხოლო დამოკიდებულ ცვლადს - ტერორიზმის დაფინანსების მასშტაბები. აღნიშნული ცვლადების გამოსაკვლევად, გამოვიყენე როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. დავეყრდენი პირველად და მეორეულ წყაროებს - ოფიციალურ დოკუმენტებს, გაეროს რეზოლუციებს, კონგრესის მოხსენებებს, ოფიციალურ სამთავრობო ვებ-გვერდებს; ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ამოქმედებული მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად მოვიშველიე სტატისტიკური მონაცემები.

გამოყენებული მასალის საფუძველზე შევისწავლე როგორი იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აშშ-ში 9/11-მდე და როგორ შეიცვალა ტერორიზმის, მათ შორის ტერორიზმის დაფინანსების მიმართ დამოკიდებულება 9/11-ის შემდეგ; რა ახალი ინსტიტუტები შეიქმნა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აშშ-ის ჩართულობით; რომელი ახალი მექანიზმები ამოქმედდა ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად.

ემპირიული მონაცემების წარმოდგენით შევეცადე მეჩვენებინა, რამდენად ეფექტური გამოდგა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით, რა შედეგი გამოიღო აშშ-ის ბრძოლამ ტერორიზმის დაფინანსებასთან. ყოველივე ეს ემსახურებოდა ჩემი კვლევის ჰიპოთეზის შემოწმებასა და დამტკიცებას. ჰიპოთეზა კი შემდეგში მდგომარეობს: აშშ-ის მიერ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა ამცირებს ტერორიზმის დაფინანსებას. შესაბამისად, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში 9/11-ის შემდეგ წარმოდგენილი ინსტიტუტები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამცირებს ტერორიზმის დაფინანსების შესაძლებლობებს და ეფექტურია მისი პრევენციისა და აღმოჩენა/აღმოფხვრის კუთხით.

იმისათვის, რომ კვლევის ობიექტურობისთვის შემეწყობო ხელი, ლიტერატურის მიმოხილვის სახით წარმოვადგინე ტერორიზმის და მისი დაფინანსების საკითხზე მომუშავე ექსპერტებისა და მკვლევარების მოსაზრებები კვლევის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით.

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რთულია იმის განსაზღვრა რამდენად დიდია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის წილი ზოგადად ტერორიზმის წინააღმდეგ ომის საქმეში. შესაბამისად, რთულია, დავადგინოთ ესა თუ ის შედეგი ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის დამსახურებაა თუ ტერორიზმის წინააღმდეგ ომის სხვა კომპონენტის შედეგი.

საბოლოოდ, კვლევამ დაადგინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოწყებულმა ბრძოლამ ტერორიზმის დაფინანსებასთან რადიკალურად შეცვალა ზოგადად ტერორიზმის მიმართ სახელმწიფოთა დამოკიდებულება და მსოფლიოში არაერთ სახელმწიფოს უბიძგა თავადაც დაენერგა უფრო ხისტი და ეფექტური კანონმდებლობა ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად; მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფოთა შორის ტერორიზმის დაფინანსების საკითხზე მრავალმხრივი თუ ორმხრივი თანამშრომლობის მასშტაბები.

ფედერალურ და ეროვნულ დონეზე დანერგილი ახალი მექანიზმები ეფექტური გამოდგა

იმ კუთხით, რომ მათი დამსახურებით მოხდა ტერორიზმთან დაკავშირებული უამრავი კორპორაციის, ორგანიზაციის, ინდივიდის იდენტიფიცირება, სანქციების დაწესება და მათი აქტივების გაყინვა, რაც ტერორიზმის პრევენციის გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, დასკვნის გაკეთებისას ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ ვინაიდან ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები მხოლოდ ფორმალურ ფინანსურ სისტემაზე მოქმედებს, ტერორისტების მიერ არაფორმალური ფინანსური სისტემების გამოყენების კონტროლი ჯერ-ჯერობით ვერ ხორციელდება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის მიერ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები ამცირებს ტერორიზმის დაფინანსების მასშტაბებს ფორმალურ საფინანსო სისტემაში, თუმცა ტერორიზმის დაფინანსების სრულად აღმოსაფხვრელად მხოლოდ ფინანსებზე მიყოლა საკმარისი არაა ტერორიზმის დაფინანსების ქსელების მრავალფეროვნების და მოქნილობის გამო.

ნინო ბერუაშვილი, ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრია, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. 2019 წელს ნინომ გაიარა სტაჟირება აფხაზეთის ა/რ მთავრობის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახურში. 2020 წლიდან, ნინო ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს. ნინო, სექტემბრიდან სტაჟირებას გადის პორტუგალიის ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაციაში, სადაც იგი ძირითადად ამზადებს ანალიტიკურ სტატიებს, ქმნის კონტენტს ორგანიზაციის სოციალური მედიისთვის და ამასთანავე, მუშაობს საერთო პროექტების ორგანიზებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- An Assessment of the Tools Needed to Fight the Financing of Terrorism: Hearing Before the Committee on the Judiciary, United States Senate, One Hundred Seventh Congress, Second Session, November 20, 2002, Volume 4 ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?id=FrUYTCziZcEC&pg=PA79&dq=USA+disrupting+terrorism+funding&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjGr8LZ54PzAhVlSPEDHV_WB7sQ6AF6BAGeAI#v=onepage&q=USA%20disrupting%20terrorism%20funding&f=false
- Anderson, W. J. (2010). *Disrupting Threat Finances: Utilization of Financial Information to Disrupt Terrorist Organizations in the Twenty-First Century*. DIANE Publishing. ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?id=7ROwy6z_tyMC&printsec=frontcover&dq=USA+disrupting+terrorism+funding&hl=en&sa=X&redir_esc=y#v=onepage&q=USA%20disrupting%20terrorism%20funding&f=false
- BASILE, M. (2004). Going to the Source: Why Al Qaeda's Financial Network Is Likely to Withstand the Current War on Terrorist Financing. *Studies in Conflict & Terrorism*, 27(3), 169–185. ხელმისაწვდომია: www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10576100490438237
- Bergen, P. L. (2021, September 24). September 11 attacks. *Encyclopedia Britannica*. ხელმისაწვდომია: <https://www.britannica.com/event/September-11-attacks>
- Bergen, P. Sterman, D. (2021). *Terrorism in America After 9/11*. New America. ხელმისაწვდომია: <https://www.newamerica.org/international-security/reports/terrorism-in-america/>
- Blanchard, C.M. (2021). *Saudi Arabia: Background and U.S. Relations*. Congress Research Service. RL33533. ხელმისაწვდომია: <https://sgp.fas.org/crs/mideast/RL33533.pdf>
- Britannica, T. Editors of Encyclopaedia (2019, February 6). al-Qaeda. *Encyclopedia Britannica*. ხელმისაწვდომია: <https://www.britannica.com/topic/al-Qaeda>
- Burke, P. (2021). Al-Qaeda. In *Global Jihadist Terrorism*. Edward Elgar Publishing. ხელმისაწვდომია: <https://www.elgaronline.com/downloadpdf/edcoll/9781800371293/9781800371293.00009.pdf>
- Bush, G. W. (2001). President Bush's address to a joint session of Congress and the nation. Speech transcript. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/wp-srv/nation/specials/attacked/transcripts/bushaddress_092001.html
- Challeney, B. (2019). The global War on Terrorism Has Failed. Here's How to Win. *Foreign Policy*. ხელმისაწვდომია: <https://foreignpolicy.com/2019/05/11/the-global-war-on-terrorism-has-failed-heres-how-to-win/>
- Clunan, A.L. (2006/2007). The Fight against Terrorist Financing. *Political Science Quarterly*, Vol.121, No.4. pp.569-596. Academy of Political Science. <https://www.jstor.org/stable/20202763>
- CNN Editorial Research. (2021). September 11 Terror Attacks Fast Facts. ხელმისაწვდომია: <https://edition.cnn.com/2013/07/27/us/september-11-anniversary-fast-facts/index.html>
- Coleman, J. J.D. LL.M. Hoffman, B. (2021). Counter-Terrorism After 9/11, Episode 3: Counter-Terrorism and The War on Terror with Bruce Hoffman. International Centre for Counter-Terrorism. ხელმისაწვდომია: <https://icct.nl/publication/counter-terrorism-after-9-11-war-on-terror-podcast/>
- Copeland, Z. (2016). The National Emergency Under Executive Order 13224 Moves into Year 16. *Lawfare Blog*. ხელმისაწვდომია: <https://www.lawfareblog.com/national-emergency-under-executive-order-13224-moves-year-16>
- De Goede, M. (2012). *Speculative security: The politics of pursuing terrorist monies*. U of Minnesota Press. ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=5JfLL8rx1IC&oi=fnd&pg=PP2&dq=how+us+disrupts+terrorism+financing&ots=mfdXk301N4&sig=L73dWB6ZsoXQQdhl1qc6fGcX8wk&redir_esc=y#v=onepage&q=how%20us%20disrupts%20terrorism%20financing&f=false
- Duignan, B. (2021, October 17). USA PATRIOT Act. *Encyclopedia Britannica*. ხელმისაწვდომია: <https://www.britannica.com/topic/USA-PATRIOT-Act>
- European Commission. (2021). Fight against the financing of terrorism. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/counter-terrorism-and-radicalisation/fight-against-financing-terrorism_en
- Fergusson, I. F. Rennach, D.E. Elsea, J.K. (2020). The International Emergency Economic Power Act: Origin, Evolution and Use. Congressional Research Service. R45618. ხელმისაწვდომია: <https://sgp.fas.org/crs/natsec/R45618.pdf>
- Financial Action Task Force. Operational Reports on Fighting Terrorist Financing. ხელმისაწვდომია: <https://www.fid.gov.lv/uploads/files/English%20version/TF-operational-reports-brochure.pdf>
- Freeman, M. (2011). The sources of Terrorist Financing: Theory and Typology. *Studies in Conflict & Terrorism*, v. 34, pp. 461-475. Routledge/Taylor&Francis. ხელმისაწვდომია: https://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/47781/Freeman-The-Sources-of-Terrorist-Financing_2010.pdf?sequence=1&isAllowed=y&fbclid=IwAR1cCYPUBN2Fqe-dZekEM2JV3prdvQ-rh04TPawLsU9hQ-PXPnFO3PKI00k
- Giraldo, J. K., & Trinkunas, H. A. (2007). *Terrorism financing and state responses: a comparative perspective*, Stanford University Press.

ბელმისანვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=BOfC7vJOsdIC&oi=fnd&pg=PR9&dq=how+usa+disrupts+terrorism+financing+&ots=EabL9LhgiS&sig=CiIV9jfAhVJKD7QPMr7LxgPxmck&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Greenberg, M. R., Wechsler, W. F., & Wolosky, L. S. (2002). Terrorist financing. New York Council on Foreign Relations. ბელმისანვდომია: http://www.bits.de/public/documents/US_Terrorist_Attacks/Terrorist_Financing_TF.pdf

Gurule, J. (2010). Unfunfing Terrori: The Legal Respose to rhe Financing of Global Terrorism. Edward Elgar Publishing. ბელმისანვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=tYHi5qBaM7MC&oi=fnd&pg=PR1&dq=how+us+disrupts+terrorism+financing&ots=TmsRQhafJ&sig=WvS6yonZErVpDC5RvFOvRgwL7g&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Hartig, H. Doherty, C. (2021). Two Decades Later, the Enduring Legacy of 9/11. The Pew Research Center. ბელმისანვდომია: <https://www.pewresearch.org/politics/2021/09/02/two-decades-later-the-enduring-legacy-of-9-11/>

Historical Office. Office of the Secretary of Defence (U.S.) (2021). 9/11 Attack. ბელმისანვდომია: <https://history.defense.gov/DOD-History/Pentagon/9-11-Attack/>

History.com Editors. (2021). September 11 Attacks. A.E. Television Networks. ბელმისანვდომია: <https://www.history.com/topics/21st-century/9-11-attacks>

Katulis, B. Jull, P. (2021). The lessons Learned for U.S. National Security Policy in the 20 years since 9/11. American Progress. ბელმისანვდომია: <https://americanprogress.org/article/lessons-learned-u-s-national-security-policy-20-years-since-911/>

Kosiak, S. M. (2003). Security after 9/11. Strategy Choices and Budget Tradeoffs. Center for Defence Information. ბელმისანვდომია: <https://www.files.ethz.ch/isn/28261/security-after-911.pdf>

Levit, M. Jacobson, M. (2008) The money trail: Following and Freezing Terrorist Finances. The Washington Institute for Near East Policy. Policy Watch #1433. Special Forum Report. ბელმისანვდომია: https://ciaotest.cc.columbia.edu/pbei/winep/0010059/f_0010059_7799.pdf

Maruyama, E. Hallahan, K. (2017). Following the Money. Center for a New American Security. ბელმისანვდომია: <https://www.cnas.org/publications/reports/following-the-money-1>

McDonagh, M. (2017). Money Talks Evaluating U.S. Disruption of Terrorist Financing Networks. Texas Christian Univesity. ბელმისანვდომია: https://repository.tcu.edu/bitstream/handle/116099117/19825/McDonagh_Maggie-Honors_Project.pdf?sequence=1&isAllowed=y

Merritt, Z. D. (2010). Combating Terrorism: US Agencies Report Progress Countering Terrorism and Its Financing in Saudi Arabia, But Continued Focus on Counter Terrorism Financing Needed. DIANE Publishing. ბელმისანვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=RsHbIp8NOMMC&oi=fnd&pg=PA1&ots=gXUHivxZ78&sig=W9-XcelThzcl6-UVmFCKvRkr3eU&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Morse, J.C. (2021). The Counterterror War that America is Winning. The Atlantic. ბელმისანვდომია: <https://www.theatlantic.com/ideas/archive/2021/09/america-terrorism-finance/620067/>

Muller, M. (2017). The war on terrorism financing – a success in disguise? POLITHEOR. European Policy Network. ბელმისანვდომია: <https://politheor.net/the-war-on-terrorism-financing-a-success-in-disguise/>

Neumann, P. (2017). Don't Follow the Money. Foreign Affairs. ბელმისანვდომია: https://www.foreignaffairs.com/articles/2017-06-13/dont-follow-money?utm_medium=promo_email&utm_source=lo_flows&utm_campaign=registered_user_welcome&utm_term=email_1&utm_content=20211125

O'Hahnlon, M.E. Windholz, L. (2021). Do not take the war on terror's big success for granted. Brookings. ბელმისანვდომია: <https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2021/08/27/do-not-take-the-war-on-terrors-big-success-for-granted/>

Passas, N. (2006). Fighting terror with error: the counter-productive regulation of informal value transfers. Crime, Law and Social Change, 45(4-5), 315–336. ბელმისანვდომია: <https://link.springer.com/article/10.1007/s10611-006-9041-5>

Passas, N. (2010). Understanding Terrorism Financing. Report prepared for the Major Commission of Inquiry into the Investigation of the Bombing of Air India Flight 182. Her Majesty the Queen in Right of Canada, represented by the Minister of Public Works and Government Services. ბელმისანვდომია: https://epe.lac-bac.gc.ca/100/200/301/pco-bcp/commissions-ef/air_india-ef/final_report-ef/en/reports/finalreport/researchstudies/volume2/vol2-part2.pdf

Raphaeil, N. (2003). FINANCING OF TERRORISM: SOURCES, METHODS, AND CHANNELS. Terrorism and Political Violence, 15(4), 59–82. ბელმისანვდომია: <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09546550390449881>

Roth, J. Greenburg, D. Wille, S. B. (2004). National Commission on Terrorist Attacks upon the United States. ბელმისანვდომია: <https://www.hsdl.org/?abstract&did=449287>

Sean S. Costigan is Project Leader at MIT CogNet, USA. David Gold is Associate Professor of International Affairs at GPIA, The New School, USA. ბელმისანვდომია: https://books.google.ge/books?id=lwnACwAAQBAJ&pg=PA38&dq=USA+disrupting+terrorism+funding&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjGr8LZ54PzAhVISPEDHV_WB7sQ6AF6BAGEEAI#v=onepage&q=USA%20disrupting%20terrorism%20funding&f=false

Shan Carter and Amanda Cox, “One 9/11 Tally: \$3.3 Trillion,” The New York Times, September 8, 2011, ბელმისანვდომია: <http://www.nytimes>.

[com/interactive/2011/09/08/us/sept-11-reckoning/cost-graphic.html?_r=0](https://www.statista.com/interactive/2011/09/08/us/sept-11-reckoning/cost-graphic.html?_r=0)

Statista Research Department. (2021), Terrorist attacks by Region 2002-2019. ხელმისაწვდომია: <https://www.statista.com/statistics/489581/terrorist-attacks-by-region/>

Terrorist financing: implementation of the USA Patriot Act : hearing before the Committee on Financial Services, U.S. House of Representatives, One Hundred Seventh Congress, second session, September 19, 2002 ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=LeQfAAAAMAAJ&oi=fnd&pg=PA1&dq=USA+disrupting+terrorist+financing&ots=XHcgstT3x8&sig=sD7Tv7MoTP1uZz81k0-JXd3IMxA&redir_esc=y#v=onepage&q=USA%20disrupting%20terrorist%20financing&f=false

Testimony of A/S for Terrorist Financing Daniel L. Glaser Before The House Committee on Foreign Affairs Subcommittee on Terrorism, Nonproliferation, and Trade, and House Committee on Armed Services' Subcommittee on Emerging Threats and Capabilities. (2006). U.S. Department of the Treasury. ხელმისაწვდომია: <https://www.treasury.gov/press-center/press-releases/Pages/jl0486.aspx>

The Embassy of the Kingdom of Saudi Arabia. (2019). Riyadh Based Terrorist Financing Targeting Center concludes expertise on Disrupting Illicit Finance. ხელმისაწვდომია: <https://www.saudiembassy.net/news/riyadh-based-terrorist-financing-targeting-center-concludes-exercise-disrupting-illicit-finance>

The United States Department of the Treasury. (2016). Terrorism Finance Tracking Program: Questions and Answers. ხელმისაწვდომია: https://www.treasury.gov/resource-center/terrorist-illicit-finance/Terrorist-Finance-Tracking/Documents/tftp_brochure_03152016.pdf

U.S. Customs Service Office of Investigations. (2002). Green Quest Brochure. Customs Publication No. 0000-0171. ხელმისაწვდომია: http://www.amnet.co.il/attachments/us-reward-Green_Quest_Brochure.pdf

U.S. Department of State. (2002). The Global war on Terrorism: The First 100 Days. ხელმისაწვდომია: <https://2001-2009.state.gov/s/ct/rls/wh/6947.htm>

U.S. Department of the Treasury Press Release. (2018). Treasury Publishes National Illicit Finance Strategy and Supporting Risk Assessments. ხელმისაწვდომია: <https://home.treasury.gov/news/press-releases/sm581>

U.S. Department of the Treasury Press Release. (2020). Treasury Announces 2020 National Illicit finance Strategy. ხელმისაწვდომია: <https://home.treasury.gov/news/press-releases/sm902>

U.S. Department of The Treasury. (2020). National Strategy for Combating Terrorist and other Illicit Financing. ხელმისაწვდომია: <https://home.treasury.gov/system/files/136/National-Strategy-to-Counter-Illicit-Financev2.pdf>

U.S. Department of The Treasury. (2021). Terrorism and Financial Intelligence. ხელმისაწვდომია: <https://home.treasury.gov/about/offices/terrorism-and-financial-intelligence>

UN General Assembly, International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism, 9 December 1999, No. 38349, ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/3dda0b867.html>

UN Security Council, Security Council resolution 1368 (2001) [Threats to international peace and security caused by terrorist acts], 12 September 2001, S/RES/1368 (2001), ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/3c4e94557.html>

UN Security Council, Security Council resolution 1373 (2001) [on threats to international peace and security caused by terrorist acts], 28 September 2001, S/RES/1373 (2001), ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/3c4e94552a.html>

United States Department of the Treasury. (2002). National Money Laundering Strategy. ხელმისაწვდომია: <https://www.treasury.gov/press-center/press-releases/Documents/monlaund.pdf>

ლიდერებზე თავდასხმა,
როგორც ტერორიზმთან
ბრძოლის სტრატეგია

მარიამ ქართველიშვილი

აბსტრაქტი

9/11-ის შემდეგ ამერიკაში ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიებთან მიმართებით ორი მთავარი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. პირველი უკავშირდება ბუშის დოქტრინას, რომლის მიხედვითაც ტერორიზმის დასამარცხებლად გადამწყვეტი იყო იმ სახელმწიფოებში პოლიტიკური ცვლილება, რომლებიც მხარს უჭერდნენ ტერორისტულ დაჯგუფებებს. ეს სტრატეგია ამერიკას ძვირად დაუჯდა.¹ თუმცა, ობამას ადმინისტრაციის პერიოდში შედარებითი უპირატესობა მიენიჭა ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების დევნას. ამ ხნის განმავლობაში ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების მკვლელობის ხშირი შემთხვევა საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ რამდენად არის დამოკიდებული ტერორისტული ჯგუფების აქტივობა ცალკეულ ლიდერებზე. არსებობს სამი ძირითადი შესაძლო სცენარი:

ერთის მხრივ, ლიდერის მკვლელობამ შესაძლოა შეამციროს როგორც ტერორისტული აქტივობების რაოდენობა, ასევე მასშტაბურობა (აქ იგულისხმება ერთეული ოპერაციის შედეგად მსხვერპლის რაოდენობა). მეორე სცენარის მიხედვით, შესაძლოა შეიცვალოს მხოლოდ ტერორისტული ოპერაციების ხარისხი, უფრო ზუსტად, თავდასხმები გახდეს ლოკალიზებული, ნაკლები მსხვერპლით ან მეტი წარუმატებლობით. მესამე სცენარის მიხედვით, ლიდერის მკვლელობამ შესაძლოა გააჩინოს სტიმული ბიუროკრატიზაციისკენ, რამაც შემდგომ შესაძლოა გაზარდოს ტერორისტული აქტივობები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლიდერებზე თავდასხმის წარმატებულობა დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიუროკრატიის ხარისხზე, რომელიც კორელაციაშია ტერორისტული დაჯგუფების „ასაკთან“. ის ორგანიზაციები, რომლებიც ყველაზე დიდხანს არსებობენ, ხშირ შემთხვევაში ნაკლებად ზარალდებიან ლიდერის მონაცვლეობით.

საკვანძო სიტყვები:

ლიდერი, ბუშის დოქტრინა, ლიდერის ლიკვიდაცია, ქარიზმატული ლიდერი, ოპერაციული ლიდერი, შთამაგონებელი ლიდერი, ორგანიზაციის გამძლეობა, ბიუროკრატიზაცია.

აბრევიატურები

OEF - ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ოპერაცია ერაყსა და ავღანეთში

PKK - ქურთისტანის მუშათა პარტია

IRA - ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია

OCO – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ოპერაციები

MIPT - მონაცემთა ბაზა ტერორისტული ინცინდენტების შესახებ

GTD - მონაცემთა გლობალური ბაზა ტერორიზმის შესახებ

1 Stimson Study Group (2018) Text: Counterterrorism spending: Protecting America While Promoting Efficiencies and Accountability: გვ 11-15 https://www.stimson.org/wp-content/files/file-attachments/CT_Spending_Report_0.pdf

შესავალი

9/11 – ის შემდეგ ამერიკის წარმოდგენები კონტრტერორისტული ოპერაციების მიმართ შეიცვალა. თუ ადრე საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მეტი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის შიდა მექანიზმებს, როგორცაა, მაგალითად, იმიგრაციის კანონმდებლობის გამკაცრება, ალ-კაიდას თავდასხმამ აშკარა გახადა სახელმწიფოს გარედან მომავალი ტერორისტული საფრთხეების სერიოზულობა.

დღის წესრიგში დადგა ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო ძალების უფრო ინტენსიური გამოყენების საჭიროება, რომლის სამიზნე ალ-კაიდასთან ერთად იქნებოდა ყველა ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფო. ამის საფუძველზე დაიგეგმა ოპერაცია „შეუზღუდავი თავისუფლება“ (OEF), რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა და ითვალისწინებდა ამერიკის ჯარის ავღანეთსა და ერაყში შესვლას და ადგილობრივი ხელისუფლების გადაყენების გზით სტაბილურობის გაძლიერებას. შედეგად, თუ 2001 წელს აშშ-ს საერთაშორისო მისიებზე ჯარისკაცების რაოდენობა აღწევდა დაახლოებით 50 000-ს, 2003 წელს ამ ოპერაციის ხარჯზე რაოდენობა გაიზარდა 300 000-მდე.²

ამგვარი მასშტაბური ოპერაცია შესაფერის დანახარჯებსაც მოითხოვდა. 2002 წლიდან 2006 წლამდე ამერიკის დანახარჯი საერთაშორისო ოპერაციებზე (OCO) გაიზარდა \$36 მილიარდიდან \$123 მილიარდამდე.² ეს მაშინ, როდესაც აშშ-ს ეროვნული კომისიის ანგარიშებზე დაყრდნობით, ალ-კაიდას დასჭირდა მხოლოდ \$400,000 - \$500,000 - მდე მსოფლიოში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოზე თავდასასხმელად - შედეგად კი ამერიკას \$55 მილიარდი ღირებულების ზარალი მიაღდა.³ უხეში კალკულაციით, მხოლოდ საერთაშორისო კონტრტერორისტულ ოპერაციებზე ამერიკამ ორჯერ მეტი დახარჯა, ვიდრე 9/11-ისგან იზარალა. მთავრი კითხვად რჩებოდა, იყო თუ არა ეს სტრატეგია წარმატებული?

თუ წარმატების საზომად ავიღებთ ტერორისტული თავდასხმების შედეგად მსხვერპლის გაზრდილ/შემცირებულ რიცხვს, მაშინ გამოდის, რომ მიუხედავად დიდი დანახარჯებისა, ტერორიზმისგან საფრთხე არ შემცირებულა და მეტიც - გაიზარდა კიდევ, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 9/11- ის შემდეგ ოქტომბრიდან დაწყებული 6 წლის განმავლობაში ტერორისტებმა დაახლოებით 11 800 ადამიანი მოკლეს მსოფლიოში. 9/11 - მდე ყველაზე ადრინდელი მონაცემები 3 წლით და 8 თვით ადრე გვაქვს - 1998 წლიდან, რომლის მიხედვითაც ამ ხნის განმავლობაში მსხვერპლის რაოდენობა აღწევდა 4 800-ს⁴. გამოდის, რომ 9/11 - მდე ყოველ თვე საშუალოდ 109 ადამიანი კვდებოდა ტერორისტული თავდასხმისგან, შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში ეს რიცხვი გაიზარდა 158-მდე, ანუ 45%-ით მოიმატა⁴, ეს იმის გათვალისწინებით, თუ ავღანეთისა და ერაყის ომებში დაღუპული ადამიანების რაოდენობას არ ჩავთვლით.

მართალია, ეს შედეგი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ხაზი გადავუსვათ მოცემულ სტრატეგიას, თუმცა ამან ეჭვქვეშ დააყენა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციების ეფექტურობა ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რის გამოც ობამას ადმინისტრაციაში მეტი ყურადღება დაეთმო მცირემასშტაბიან სამხედრო ოპერაციებს და მათ შორის, ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების დევნამ.

2 Stimson Study Group (2018) Text: Counterterrorism spending: Protecting America While Promoting Efficiencies and Accountability: pg. 11-15 https://www.stimson.org/wp-content/files/file-attachments/CT_Spending_Report_0.pdf

3 National Commission on Terrorist Attacks Upon the United States (2004) – Text: THE 9/11 COMMISSION REPORT 169 <https://www.9-11commission.gov/>

4 Berman, Eli. 2009. Radical, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism. The MIT Press. <https://www.jstor.org/stable/j.ctt5hhm51>.

მთავარი კითხვები ამ სტრატეგიასთან მიმართებით მის ეფექტურობას უკავშირდება, სამხედრო ინტერვენციის გარეშე იქნება თუ არა ლიდერების ლიკვიდაცია საკმარისი, იმისათვის, რომ არ განმეორდეს 9/11? ამასთან ერთად, აღნიშნული კვლევა შეეცდება პასუხი გასცეს შემდეგ საკვლევ კითხვას: რა უფრო მნიშვნელოვანია ძლიერი ტერორისტული დაჯგუფებისთვის - ქარიზმატული ლიდერი თუ მოქნილი ბიუროკრატიული მექანიზმი?

ლიტერატურის მიმოხილვა

ტერორისტული ორგანიზაციების დასასუსტებლად, ლიდერის ლიკვიდაციის/შეპყრობის, როგორც სტრატეგიის ეფექტის დასადგენად ძირითადი ადორისახის მიდგომა არსებობს. პირველი არის თვისებრივი კვლევა, რომელშიც კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ანალიზებენ ამ სტრატეგიის ეფექტურობას. მეორე - რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ეყრდნობა სტატისტიკას, როგორცაა, მაგალითად, ლიდერის შეპყრობამდე და შეპყრობის შემდგომ თავდასხმების რაოდენობა და ამ რაოდენობის შემცირების/გაზრდის საფუძველზე ოპერაციის ეფექტურობის შეფასება. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე მიდგომას გააჩნია ხარვეზი.

თვისებრივი კვლევისას ჩნდება განზოგადების პრობლემა. ზოგი მკვლევარი აკვირდება ტერორისტულ დაჯგუფებას ლიდერის შეპყრობის შემდეგ, რასაც მაგალითად აკეთებს კურტ კრონინი, როდესაც ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK), ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმიის (IRA), ნათელი გზისა და აუმ შინრიკიოს მაგალითებზე ანალიზებს მოცემულ სტრატეგიას, თუმცა თავადვე აღნიშნავს, რომ ეს მეთოდი საკმარისი არ არის,⁵ ან ზოგიერთი მკვლევარი იღებს ცალკეულ სახელმწიფოს, რეგიონს და მასზე დაკვირვებით აფასებენ, თუ რამდენად გაამართლა ამ ტექტიკამ, რასაც აკეთებს, მაგალითად, მუჰამედ ჰაფეზი, როდესაც დაკვირვების ობიექტად ისრაელი მოჰყავს.⁶ მართალია მსგავსი კვლევები გვეხმარება სტრატეგიის ღრმად შესწავლისთვის, მაგრამ მწირი მონაცემები არ გვაძლევს განზოგადების საშუალებას.

რაოდენობრივ კვლევებში მთავარი პრობლემაა ვარიაცია. აქაც ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: მკვლევართა ერთი ნაწილი დამოუკიდებელ ცვლადად იღებს თავდასხმების რაოდენობას ან ლეტალობას ლიდერის ლიკვიდაციამდე და ლიკვიდაციის შემდეგ, ამის მაგალითია აარონ მანესის კვლევა⁷, თუმცა ის კვლევაში იყენებს მხოლოდ 71 დაჯგუფებას, აქედან 60 ლიდერის შეპყრობის შემთხვევას, ამიტომ მიღებული შედეგებიდან უმრავლესობა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

მეორე მიდგომა თავდასხმების ნაცვლად, იყენებს გადარჩენილი/განადგურებული ორგანიზაციების რაოდენობას ლიდერებზე თავდასხმის შემდეგ. მართალია, ეს უფრო ზუსტი საზომია მონაცემების შევროვების მხრივ, თუმცა აქ ერთ-ერთი პრობლემა უკავშირდება დროის ინტერვალის განსაზღვრას. მაგალითად ჯენა ჯორდანი ლიდერის შეპყრობის

5 Audrey Kurth Cronin (2009) Text: How terrorism ends : understanding the decline and demise of terrorist campaigns, Princeton University Press

<https://press.princeton.edu/books/paperback/9780691152394/how-terrorism-ends>

6 Hafez, M. M., & Hatfield, J. M. (2006). Text: Do Targeted Assassinations Work? A Multivariate Analysis of Israel's Controversial Tactic during Al-Aqsa Uprising. Studies in Conflict & Terrorism <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10576100600641972>

7 Aaron Mannes (2008) Text: Testing the Snake Head Strategy: Does Killing or Capturing Its Leaders Reduce a Terrorist Group's Activity? The Journal of International Policy Solutions https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2988670

შემდგომ ორ წელს იღებს დაკვირვებისთვის⁸, ხოლო ბრაიან პრაისი მიიჩნევს, რომ ორი წელი საკმარისი არ არის ამ ოპერაციის ეფექტურობის შესაფასებლად. ⁹ ამ ბუნდოვანების ფონზე, ორი ძირითადი კვლევა (ყველაზე მეტი ტერორისტული ორგანიზაციით) განსხვავებულ დასკვნას გვაძლევს. ჯენა ჯორნდანის მიხედვით ეს ტაქტიკა არა მხოლოდ არაეფექტური, არამედ კონტრპროდუქტიულიცაა⁸, ხოლო ბრაიან პრაისის მიხედვით - ეფექტური.⁷

ამასთან ერთად, ლიდერზე თავდასხმის შესაფასებლად ორგანიზაციის გადარჩენით ხელმძღვანელობა ძალიან ვიწრო კრიტერიუმია ამ სტრატეგიის ეფექტურობის დასადგენად - ლიდერზე თავდასხმამ შესაძლოა არ გაანადგუროს ორგანიზაცია, მაგრამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს მაგალითად, ორგანიზაციის „ნათელი გზა“ ტერაქტების რაოდენობა ლიდერის შეპყრობის შემდეგ განახევრდა, მაგრამ ორგანიზაციამ არსებობა მაინც გააგრძელა. მეორე, ორივე მიდგომა ითვალისწინებს დაშვებას, რომ ლიდერზე თავდასხმა არის გარეგანი, დამოუკიდებელი ცვლადი, თუმცა ეს შესაძლოა ყველა შემთხვევაში არ სრულდებოდეს — ხშირად ლიდერებზე თავდასხმა გადამწყვეტ მომენტებში ხდება ხოლმე - ორგანიზაციის განადგურების ჟამს ან პირიქით, აღმავლობის პერიოდში. ეს ხარვეზები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საკვლევ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს.

მეთოდოლოგია

კვლევა არის ძირითადად რაოდენობრივი, რომელიც იყენებს მეორადი და მესამეული წყაროების ანალიზს, თუმცა ამასთან ერთად გამოვიყენებ შედარებით ანალიზის ელემენტებსაც, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ლიდერის ლიკვიდაციას ან შეპყრობას ტერორისტული ორგანიზაციისთვის. კვლევისას დამოუკიდებელ ცვლადად გამოყენებულია ლიდერის ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობისათვის ჩამოშორებას (იგულისხმება როგორც მისი ლიკვიდაცია, ასევე - დაჭერა). რაც შეეხება დამოუკიდებელ ცვლადს, შედარებით ანალიზის სდროს მოხდება დაკვირვება ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან თავდასხმების შემცირებულ/გაზრდილ რიცხვზე ლიდერის ამ ორგანიზაციის საქმიანობისათვის ჩამოშორების შემდგომ.

დოკუმენტში სამი ძირითად ნაწილი იქნება გამოყოფილი. პირველ ნაწილში განვიხილავ იმ არგუმენტებს, რომელთა მიხედვითაც ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების ლიკვიდაცია ეფექტური პრაქტიკაა ტერორიზმის შესასუსტებლად. მეორე ნაწილში ყურადღება დაეთმობა შედარებით ანალიზს. კვლევაში გამოყოფილია ალ-კაიდას ორგანიზაცია, უფრო ზუსტად 2011 წელს, რადგან ამ დროს მოკლეს ალ-კაიდას ყველაზე გავლენიანი ლიდერი - ოსამა ბინ ლადენი, ამიტომ თუ ზემოთ მოცემული არგუმენტები მართებულია, მაშინ შემდეგ წლებში უნდა ვიხილოთ დასუსტებული ალ-კაიდა, ამის შესაფასებლად კვლევაში მოხდა დაკვირვება ალ-კაიდას თავდასხმების რაოდენობრივ ცვლილებაზე, რაც კვლევის შედეგად საწინააღმდეგო შედეგს გვიჩვენებს. სტატისტიკური მონაცემების სიზუსტე გადამოწმებულია [GTD](#) და [MIPT](#) მონაცემთა ბაზებზე.

მესამე ნაწილში შევხები საწინააღმდეგო არგუმენტებს. რატომ არ არის ლიდერების ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობისათვის ჩამოშორება საკმარისი ტერორისტული ორგანიზაციის დასასუსტებლად? აქ განვიხილავ ბიუროკრატიული მექანიზმის როლს ძლიერი ტერორისტული ორგანიზაციებისთვის. ალტერნატიული ახსნა არის იდეოლოგიის მნიშვნელობა ტერორისტული დაჯგუფებებისთვის. ამ თვალსაზრისით, რელიგიური და

8 Jordan, J. (2009). Text: When Heads Roll: Assessing the Effectiveness of Leadership Decapitation. Security Studies <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09636410903369068>

9 Bryan C. Price(2019) Text:Targeting Top Terrorists: Understanding Leadership Removal in Counterterrorism Strategy ,Columbia University Press [Bryan C. Price\(2019\) Targeting Top Terrorists: Understanding Leadership Removal in Counterterrorism Strategy ,Columbia University Press](#)

სეპარატისტული დაჯგუფებები ყველაზე ნაკლებად უნდა ზარალდებოდნენ ცალკეული ლიდერების მკვლელობით.

თეორიული ჩარჩო

თეორიული ლიდერების ლიკვიდაციის, როგორც სტრატეგიის მიმართ პოზიტიური მოლოდინების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ქარიზმატული ლიდერის პარადიგმამ, რომლის შესახებაც მაქს ვებერი ჯერ კიდევ 1947 წელს წერდა თავის ნაშრომში "სოციალური და ეკონომიკური ორგანიზაციის თეორია". მისივე განმარტებით, ლიდერის ქარიზმატულობა განისაზღვრებოდა საზოგადოებაში ლიდერის მიმართ არსებული რწმენებით, როდესაც ლიდერის დირექტივების შესრულება სხვა ადამიანისთვის წარმოადგენს არა მოვალეობას, არამედ - სრულ პიროვნულ თავდადებას.

„ქარიზმატული ლიდერის“ პარადიგმას ხშირად იყენებენ თეორიული დაჯგუფებების ლიდერების მიმართ, თუმცა ასეთ შემთხვევებში მეტი ყურადღება ექცევა ლიდერების განსაკუთრებულ თვისებებს ე.წ. „ქარიზმას“ და ნაკლები - პრაქტიკულ მნიშვნელობას ორგანიზაციისთვის, როგორცაა თავდასხმების დაგეგმარება, ალიანსების შექმნა და სხვა.

ამ მხრივ გამონაკლისია მაიკლ ფრიმანი, რომელიც ლიდერის მნიშვნელობას ორგანიზაციისთვის ორი ცვლადის საშუალებით განსაზღვრავს: პირველი, რამდენად შეუძლია მოსახლეობის შთაგონება და თავდასხმებისკენ მოწოდება, და მეორე - მისი ოპერაციული როლი დაჯგუფებისთვის, რამდენად კარგი სტრატეგოსია. ამის საფუძველზე ფრიმანს ოთხი სახის კლასიფიკაცია შემოაქვს: (იხ. დანართი 1). ლიდერი, რომელიც არის ოპერაციულებიც და შთაშაგონებლებიც

ლიდერი, რომელსაც ნაკლები პრაქტიკული ფუნქცია გააჩნია, მაგრამ ორგანიზაციის წევრებისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენენ

ლიდერი, რომელიც არის ნაკლებად შთაშაგონებელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ოპერაციული რგოლი ორგანიზაციისთვის

ლიდერი, რომელიც არც შთაშაგონებელია და არც ოპერაციული

ამ დაყოფის საფუძველზე ფრიმანი აფასებს, თუ რამდენად წარმატებული იქნება კონკრეტული ლიდერის ლიკვიდაცია ან დაჭერა. ყველაზე დიდი წარმატებით ლიდერის თავდასხმა დასრულდება მაშინ, როდესაც ლიდერს გააჩნია როგორც შთაშაგონებლის როლი, ასევე ოპერაციული მნიშვნელობაც, ყველაზე მეტი წარმატებლობით კი ისეთი ლიდერის ლიკვიდაცია, რომელსაც ორივე მხრივ ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მსგავს შემთხვევაში შთაგონების ნაწილიც და ოპერაციული ფუნქციაც გადანაწილებულია წევრებს შორის.

მაიკლ ფრიმანს შემოაქვს მეორე მტკიცებაც. ის ლიდერები, რომლებიც თავდაპირველად დიდი გავლენით სარგებლობენ ორგანიზაციაში, დროთა განმავლობაში კარგავენ როგორც შთაშაგონებლის, ასევე ოპერაციულ ფუნქციას, ასეთ დროს მათი ლიკვიდაციის ან შეპყრობის შემდეგ ორგანიზაციის გადარჩენის ალბათობა იზრდება. მეორე ნაწილში ფრიმანის ამ მოდელთან ერთად გამოვიყენებ ჯენა ჯორდანიას თეორიას ორგანიზაციის გამძლეობასთან დაკავშირებით. ამ თეორიის მიხედვით ლიდერის ცვლილების შემდგომ ორგანიზაციის გადარჩენა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ბიუროკრატიზაციასა და სოციალურ მხარდაჭერაზე.¹⁰

10 Jordan, J. (2009). Text: When Heads Roll: Assessing the Effectiveness of Leadership

ლიდერის ლიკვიდაციის სტრატეგიული ხედვა

თუ ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მეტი ყურადღება სამხედრო ინტერვენციების გზებს ეთმობოდა, ობამას ადმინისტრაციიდან მოყოლებული ეს ხედვა ეტაპობრივ ცვლილებას განიცდის. 2010 წლიდან ობამამ დაავიწროვა აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია და ბუშის ლოზუნგი „გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“ შეიცვალა ახალი ლოზუნგით - „გლობალური კამპანია ალ-კაიდასა და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციების წინააღმდეგ“¹¹. აღნიშნული ხედვა აისახა ადგილობრივი ძალების გაზრდი მხარდაჭერასა და მცირე ოპერაციების ჩატარებაზე, განსაკუთრებით კი - ლიდერებზე თავდასხმის სტრატეგიაზე.¹¹

2010 წლიდან მოყოლებული ამერიკამ არაერთი ალ-კაიდას ლიდერი შეიპყრო. ამისათვის სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებს იყენებდა. მაგალითად, ალ-კაიდას ორივე ლიდერი ბინ ლადენი და აბუ მუსაბ ალ-ბარჯავიჯ განსაკუთრებული რეიდების საშუალებით მოკლეს. გარდა ამისა, იყენებენ დრონებსაც და ახლო აღმოსავლეთში განლაგებულ ამერიკულ სამხედროებს. მაგალითად, ამერიკის დრონმა მოკლა ანვარ ალ-ავლაკი - წარმომოხებით იემენელი, ამერიკაში მოღვაწე სასულიერო პირი, რომელსაც უკავშირდება დასავლეთში არაერთი ტერორისტული აქტი. ჯამში 2010 და 2011 წლებში ამერიკამ დაახლოებით 40 ალ-კაიდას ლიდერი შეიპყრო.⁸

კონტრტერორიზმის სტრატეგიის მსგავსი ცვლილება პირველ რიგში ფინანსურ სექტორს დაეყო. თუ 2008 წელს ამერიკის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯები შეადგენდა მთლიანი დისკრეციული დანახარჯის 22%-ს, 2017 წელს ეს რაოდენობა 14%-მდე ჩამოვიდა, ამის მთავარი მიზეზია ავღანეთში ამერიკული ჯარის შემცირება 25 000 მდე⁹. თუმცა მეორე საკითხია, რამდენად ეფექტურია ლიდერებზე თავდასხმა ტერორიზმის დასამარცხებლად. ამ ხნის განმავლობაში ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების მკვლელობის ხშირი შემთხვევა საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ, თუ რამდენად არის ტერორისტული დაჯგუფების აქტივობა დამოკიდებული ცალკეულ ლიდერზე. მეორეს მხრივ, ეს სტრატეგია აქამდეც არსებობდა, ამიტომ წარსულის გამოცდილებაც დაგვეხმარება, რომ შევაფასოთ ამ ოპერაციის სამომავლო შედეგები.

ლიდერის ლიკვიდაციის/ჩამოშორების წარმატებული გამოცდილება

მაიკლ ფრიმანს ლიდერის როლთან მიმართებით ორი დებულება შემოაქვს. პირველი, ისეთი ლიდერების ჩამოშორება, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ოპერაციული და შთამავგონებლის როლი, დიდ ზიანს აყენებს ორგანიზაციას და მისი გადარჩენის ალბათობას ამცირებს. მეორე, დროთა განმავლობაში ლიდერის როლი ორგანიზაციისთვის მცირდება: თავდაპირველად ლიდერები უშუალოდ არიან ჩართულები ოპერაციების დაგეგმვასა

Decapitation. Security Studies
<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09636410903369068>

11 Stimson Study Group (2018) Text: Counterterrorism spending: Protecting America While Promoting Efficiencies and Accountability: 11-15 https://www.stimson.org/wp-content/files/file-attachments/CT_Spending_Report_0.pdf

და განხორციელებაში, რაც განაპირობებს მათი მნიშვნელობის ზრდას და სხვებისთვის ინსპირაციად ქცევას, თუმცა დროთა განმავლობაში ლიდერები ნაკლებად ოპერაციულები ხდებიან, რასაც შემგომ მათი გავლენის შემცირება მოყვება, ამიტომ მნიშვნელოვანია ორგანიზაციის შექმნიდან რამდენ ხანში მოკლავენ ან დაიჭერენ ტერორისტული დაჯგუფების ლიდერებს.¹²

ფრიმანს თავისი თეორიის გასამყარებლად მოჰყავს ოსამა ბინ ლადენის, შოკო ასაჰარასა და აბიმაელ გუზმანის მაგალითები. ფრიმანის მიხედვით, მათზე თავდასხმის პერიოდში შოკო ასაჰარას გააჩნდა როგორც ოპერაციული, ასევე ინსპირაციული როლი ორგანიზაციაში, აბიმაელ გუზმანს მხოლოდ ინსპირაციული, ხოლო ბინ ლადენს ბოლო პერიოდში ალარც ოპერაციული და არც ინსპირაციული(იხ. დანართი 2). ამ არგუმენტის საფუძველზე ხსნის ფრიმანი, თუ რატომ გადაურჩა ალ-კაიდა ლიდერის მონაცვლეობას. იმისათვის, რომ დავადგინოთ ამ მოსაზრების მართებულობა, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ეს ორგანიზაციები და მათი შესუსტების მიზეზები.

აბიმაელ გუზმანი - „ნათელი გზა“

ნათელი გზა მე- 20 საუკუნის ერთერთი ყველაზე სასტიკი დაჯგუფება იყო, რომელიც პერუში ჩამოყალიბდა და დაახლოებით 69 000 ადამიანი იმსხვერპლა.¹³ ამ დაჯგუფების დამფუძნებელმა აბიმაელ გუზმანმა 1960 წლიდან დაიწყო სტუდენტების შემოკრება და მოძრაობის ჩამოყალიბება. დაჯგუფება ეფუძნებოდა მარქსისტულ-სოციალისტურ იდეოლოგიას, რომელიც გუზმანმა მოარგო პერუს პოლიტიკურ კონტექსტს და მიზნად ისახავდა პერუში რევოლუციის დანერგვას.

თავად გუზმანი გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა ორგანიზაციის წევრებში, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ახალი წევრების განჭვავში გასანევრიანებლად ითხოვდნენ წერილობით თანხმობას, რომ ისინი სიცოცხლეს წირავდნენ არამხოლოდ ორგანიზაციის მიზანს, არამედ პერსონალურად გუზმანსაც. შედეგად, 1992 წელს გუზმანის დაჭერის შემდგომ იმ წელსვე თავდასხმების რაოდენობა თითქმის განახევრდა.⁴ გუზმანის შემდეგ ოსკარ რამირეზ დურანმა სცადა მისი როლის შეთავსება, თუმცა უშედეგოდ, დურანს არც გუზმანის მსგავსი „ქარიზმა“ გააჩნდა და არც ორგანიზაციას „ნათელი გზა“ გააჩნდა გამართული სტრუქტურა, რათა ლიდერის მონაცვლეობისგან განპირობებულ არასტაბილურობას გამკლავებოდა. (იხ. დანართი 3)

ეს მაგალითი, რომ დავუკავშიროთ ფრიმანის კლასიფიკაციას, აბიმაელ გუზმანი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან ინსპირაციას წარმოადგენდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მას შემდეგ, რაც ციხეში ყოფნის პერიოდში ორგანიზაციას სამშვიდობო მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა,¹⁴ დაჯგუფება ორ ნაწილად გაიყო და მოგვიანებით კიდევ უფრო ღრმა ფრაგმენტაციაც განიცადა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამხელა ძალაუფლებას ფლობდა გუზმანი წევრებზე.

რაც შეეხება მის ოპერაციულ როლს, ამის შეფასება რთულია, რადგან ორგანიზაციის აქტიური მუშაობის პერიოდში გუზმანი დამალული იყო და „კულისების მიღმა“ მუშაობდა, ამიტომ

12 Freeman, Michael(2010) Text: The headless horseman: a theoretical and strategic assessment of leadership targeting;
<https://calhoun.nps.edu/handle/10945/48241>

13

Crenshaw, M. (1991). Text: How terrorism declines. *Terrorism and Political Violence*, 3(1) 69–87
<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09546559108427093>

სრულიად შესაძლებელია, რომ ფარულად თავად მდგარიყო მრავალი ოპერაციის უკან.¹⁴ ამას ემატება ისიც, რომ გუზმანი იმდენად იყო შეშინებული, ზურგს უკან არავის მოეკლა და ელაღათა, რომ მისი არყოფნის პერიოდშიც კი არავის აძლევდა ორგანიზაციის მართვის უფლებას, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ თავისი ნებით დაეთმო ოპერაციული ფუნქცია სხვა წევრებისთვის.

ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერებს ხშირად ახასიათებთ მსგავსი ქმედებები. რახან არ არსებობს არანაირი წესი თუ კანონი, ლიდერის სიცოცხლე და ძალაუფლება მუდმივად საფრთხის ქვეშაა, ამიტომ ისინი ერიდებიან სხვა ინდივიდებისთვის ძალაუფლების გადანაწილებას. ამის საფუძველზე, ტერორისტულ ორგანიზაციაში ლიდერების ურთიერთობა წევრებთან უფრო მეტად აღინერება ჰობზიანური პრინციპებით, ვიდრე ინსტიტუციონალიზაციის ლოგიკით.

შოკო ასაჰარა - აუმ შინრიკიო

აუმ შინრიკიო, რომელიც დღეს ცნობილია სახელით „ალეფი“, 1987 წელს დაარსა შოკო ასაჰარამ. მას ის ფაქტი გამოარჩევდა, რომ პირველი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელმაც ტერაქტისას გამოიყენა ქიმიური იარაღი.¹⁵ 1994 წლის 27 ივნისში აუმ შინრიკიომ მომწამვლელი გაზი ჯერ მაცუმოტოში გაუშვა, რასაც 7 კაცი ემსხვერპლა და 500 დააზარალა, შემდგომ ერთ წელიწადში ისევ მომწამვლელი გაზით ტერაქტი ტოკიოში მოაწყო, რის შედეგადაც მოკვდა 12 ადამიანი და მოინამლა 6000.¹⁶

ტოკიოს თავდასხმის შემდგომ იაპონიამ დაიწყო ინფორმაციის მოძიება აუმ შინრიკიოს წევრებისა და ლიდერის შესაპყრობად, შედეგად, 1995 წელს ამ ორგანიზაციის ლიდერი, შოკო ასაჰარა დაიჭირეს. მას შემდეგ ტერორისტული ორგანიზაცია გაქრა, თუმცა დაჯგუფებამ არსებობა მაინც გააგრძელა არაძალადობრივი კულტის სახით. თუ 1995 წლისთვის აუმ შინრიკიოს წევრების ჯამური რაოდენობა 40 000-ს აღწევდა, 26 წელიწადში წევრების რაოდენობა 1 650-მდე ჩამოვიდა, პარალელურად შეიცვალა სახელიც და იდეოლოგიაც, მეტიც, 2000 წელს აუმ შინრიკიოს წარმომადგენელმა დაგმო შოკო ასაჰარას ქმედებები და დაზარალებულებს საჯაროდ პატიებაც სთხოვა, ასევე აღუთქვა, რომ შოკო ასაჰარას ლიდერად აღარ სცნობდა.¹⁴

გარდა იმისა, რომ შოკო ასაჰარა მნიშვნელოვან ინსპირაციას წარმოადგენდა წევრებისთვის, ის აქტიურად იყო ჩართული დაჯგუფების ოპერაციულ საქმიანობაში. ამასთან ერთად, მან შექმნა ორგანიზაციის იდეოლოგიაც, რომელშიც ინდურ და ტიბეტურ ბუდიზმის ელემენტებს ქრისტიანული მესიანიზმის იდეა დაუკავშირა. ამის საფუძველზე შექმნა ნარატივი, რომ აშშ იაპონიასთან მესამე მსოფლიო ომს დაიწყებდა, შემდეგ კი იაპონიასთან ერთად დაიპყრობდა მთლიან სამყაროს, სადაც მთავარი ინსტრუმენტი იქნებოდა ბირთვული

14

Audrey Kurth Cronin(2009) Text: How terrorism ends : understanding the decline and demise of terrorist campaigns, Princeton University Press

<https://press.princeton.edu/books/paperback/9780691152394/how-terrorism-ends>

15 Jones, Seth G., and Martin C. Libicki. 2008. How Terrorist Groups End: Lessons for Countering Al Qa'ida. Santa Monica, CA: Rand.

16

Audrey Kurth Cronin(2009) Text: How terrorism ends : understanding the decline and demise of terrorist campaigns, Princeton University Press

<https://press.princeton.edu/books/paperback/9780691152394/how-terrorism-ends>

იარაღი. ამ ბრძოლაში გადარჩებოდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც გააჩნდათ „მაღალი კარმა“ - ისინი ვინც აუმ შინრიკიოს მფარველობის ქვეშ იყვნენ.

შოკო ასაჰარა „ქარიზმატული ლიდერის“ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. დაჯგუფების შიგნით ამგვარ ავტორიტეტზე სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად მიუთითებს ერთ-ერთი პრაქტიკაც, სახელად „სისხლის ინიციატივა“, რომლის მიხედვითაც წევრები \$7 000 იხდიდნენ, რათა შეესვათ ასაჰარას სისხლით სავსე მცირე ჭიქა.¹⁷ მეორეს მხრივ, ვერც შოკო ასაჰარამ და ვერც აბიმაელ გუმანმა ვერ შეინარჩუნა ავტორიტეტი ორგანიზაციის წევრებს შორის შეპყრობის შემდეგ.

ლიდერის ლიკვიდაციის/ჩამოშორების წარუმატებელ გამოცდილება - ალ-კაიდა ოსამა ბინ ლადენი

ალ-კაიდას ლიდერს, ოსამა ბინ ლადენს გამოარჩევდა ორი ასპექტი: გუმანისა და შოკო ასაჰარას მსგავსად, მანაც ახალი ხედვა შემოიტანა, ვინაიდან ბინ ლადენი იყო ჭიჭადის ახლებური გაგების ფუძემდებელი - „ახლო მტრის“ ნაცვლად, „შორეულ მტერზე“ აქცენტირება, „ახლო მტერში“ იგულისხმება ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლება და მეზობელი ქვეყნები, ხოლო „შორეულ მტერში“ სხვა სახელმწიფო აქტორები, როგორცაა ამერიკა - ამან ხელი შეუწყო ჭიჭადის ინტერნაციონალიზაციას. ამასთან ერთად, ავღანეთში ბრძოლით ოსამა ბინ ლადენმა მოსახლეობაში დიდი სახელი მოიხვეჭა, რაც დაეხმარა ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. იმავე შეგვიძლია ვთქვათ მის ოპერაციულ როლზე - 1990 წელს მან დააფუძნა საწვრთნელი ბაზა ავღანეთში და დაიწყო ალიანსების შექმნა სხვადასხვა აქტორებთან, მათ შორის ავღანეთის ხელისუფლებასთან.¹⁵ შედეგად, ბინ ლადენმა შეძლო ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტერაქტის, 9/11-ის მოწყობა.

შესაბამისად, 2011 წლის 2 მაისს, ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია მიიჩნეოდა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ტაქტიკურ გამარჯვებად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა, განსხვავებით „ნათელი გზისა“, ტერაქტების რაოდენობა ოსამა ბინ ლადენის მკვლელობის შემდგომ არ შემცირებულა და, მეტიც, 2011 წლიდან ალ-კაიდას სახელთან დაკავშირებული თავდასხმები გაიზარდა კიდევ, რასაც ადასტურებს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი, რომლის მიხედვითაც მეორე წელს ალ-კაიდას ტერაქტების რიცხვი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა (იხ. დანართი 4 & დანართი 5)

თუ მაიკლ ფრიმანის თეორია მართებულია, ამის მიზეზი უნდა იყოს ბოლო პერიოდში ბინ ლადენის შემცირებული როლი. 2012 წელს აღმოჩენილი ალ-კაიდას შიდა დოკუმენტების მიხედვით, ორგანიზაციას მართლაც უჭირდა ბინ ლადენის ხედვის შენარჩუნება და კრიტიკულადაც კი იყო განწყობილი მისი მოწოდების მიმართ, ყურადღება გაემახვილებინათ „შორეულ მტერებზე“¹⁸ ამას ემატება ისიც, რომ ბინ ლადენის სიკვდილის შემდეგ შემცირდა

17 Freeman, Michael(2010) Text: The headless horseman: a theoretical and strategic assessment of leadership targeting; <https://calhoun.nps.edu/handle/10945/48241>

18 Lahoud, Nelly, Stuart Caudill, Gabriel Koehler-Derrick, Don Rassler, and Muhammad al-Ubaydi. 2012. "Letters from Abbottabad:: Bin Ladin Sidelined?" Combatting Terrorism Center at West Point. <https://www.jstor.org/stable/resrep05595>.

საერთაშორისო ტერაქტები ალ-კაიდას მხრიდან.¹⁹ მიუხედავად ამისა, ოსამა ბინ ლადენს ბოლო პერიოდშიც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ალ-კაიდას ფუნქციონირებაზე, რადგან მისი სიკვდილის შემდეგ ტერაქტების წარმოების ხარისხი მკვეთრად დაეცა:

მართალია ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ ალ-კაიდას თავდასხმები გაიზარდა, მაგრამ შემცირდა ყოველწლიურად ალ-კაიდას ცალკეული ტერაქტებისგან მსხვერპლის რაოდენობა. 2009 - 2011 წწ. ალ-კაიდას თავდასხმებისგან დაღუპული ადამიანების რიცხვი ყოველწლიურად დაახლოებით 1700-ია, ხოლო თავდასხმების რაოდენობა საშუალოდ - 184.²⁰ გამოდის, რომ მოცემულ წლებში ერთი ტერაქტისგან 9 ადამიანი იღუპებოდა. მაშინ როდესაც, 2011-2013-წწ. ჯამში 1639 თავდასხმისგან ყოველ წელს საშუალოდ 2000 ადამიანი იღუპებოდა, აქედან ერთი ტერაქტისგან - 3, რაც 66%-ით შემცირებაა წინა წლებთან შედარებით.

ლიდერის მონაცვლეობის ფონზე თავდასხმების მაღალი რაოდენობა და მსხვერპლის დაბალი რიცხვი შესაძლოა აიხსნას „მონამის ეფექტით“, რომლის მიხედვითაც, ლიდერის უეცარი დაჭრა ან განსაკუთრებით სიკვდილი, დაჭრულების წევრებში შურისძიების სურვილს აძლიერებს, რაც აისახება უფრო ხშირ თავდასხმებში, თუმცა ვინაიდან ლიდერის მონაცვლეობას შემოაქვს არასტაბილურობა, მცირდება თავდასხმების დაგეგმარების ხარისხი და შესრულება - ამ შემთხვევაში ლიდერს რჩება შთამაგონებლის როლი სიკვდილის მერეც. ამასთან ერთად, ლიდერი აქტიურად არის ჩართული სტრატეგიების შემუშავებაში, მისი დაკარგვა კი ნიშნავს ნაკლებად ხარისხიან ოპერაციებს - გამოდის, რომ „ქარიზმატულ ლიდერზე“ მეტად საჭიროა ოპერაციული

ლიდერი, რადგან მისი გაქრობის შემდგომ, ტერაქტების ხარისხი მკვეთრად მცირდება.

რატომ გადარჩა ალ კაიდა?

ბინ-ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ, ალ-ბავაჰირმა ვერ შეძლო მსგავსი კულტის შექმნა. ამასთან ერთდ, სტრატეგიულად ალ-ბავაჰირი უფრო ფრთხილი და თავშეკავებული იყო, რაც საზოგადოებაში ნაკლებად პოპულარულია. რაც შეეხება იდეოლოგიას, ამ მხრივაც ალ-ბავაჰირი არ იყო პრინციპული და არც ახალი არაფერი შემოუტანია, ის უბრალოდ გაექცა იმ დაპირისპირებას რაც წლების მანძილზე „ახლო მტრის“ და „შორეული მტრის“ კონცეფციას შორის არსებობდა და შეძლო ბალანსის გამონახვა. ეს შესაძლოა, ოპერაციული კუთხით, სწორი მიდგომა იყოს, თუმცა მსგავსი თავშეკავებულობა ნაკლებად შთამაგონებელს ხდის ლიდერს მოსახლეობის თვალში, ამიტომ, მიუხედავად ალ-ბავაჰირის მნიშვნელოვანი ოპერაციული როლისა, ბინ-ლადენის შეცვლა ის შემთხვევა არაა, როდესაც ერთ „ქარიზმატულ“ ლიდერს მეორე „ქარიზმატული“ ლიდერი ცვლის, არამედ ის შემთხვევაა, რასაც ვებერი უწოდებს „ქარიზმის რუტინიზაცია“, როდესაც ორგანიზაციას გაჩნია იმდენი რესურსი, რომ ლიდერის მონაცვლეობას გაუძლოს. ალ-კაიდას შემთხვევაში ორმა ფაქტორმა განსაკუთრებით ხელი შეუწყო ორგანიზაციის გადარჩენას.

პირველი, ალ-კაიდას ჰქონდა მნიშვნელოვანი კონტაქტები. როგორც ვნახეთ, ოსამა ბინ ლადენი თავად იყო პასუხისმგებელი ფართო ალიანსების შექმნაზე. ამის საფუძველზე, ალ-კაიდამ მნიშვნელოვანი გავლენები მოიპოვა სხვადასხვა ტერიტორიებზე; მაშინ, როცა „ნათელი გზის“ გუზმანი თავს ესხმოდა პოტენციურ მხარდამჭერებსაც კი და არც საერთაშორისო პარტნიორებს არ ეძებდა. ამასთან ერთდ, ალ-კაიდაზე არ არსებობდა ადგილობრივი ზენოლა, რაც მას მეტი მანევრირების საშუალებას აძლევდა, მაშინ როდესაც შოკო ასაჰარას შეპყრობის შემდეგ იაპონიაში კანონმდებლობა შეიცვალა და თუ ადრე

19 ლიზა წერეთელი (2021) ალ კაიდა - საერთო მიმოხილვა, GCSD ხელმისაწვდომია: <http://trc.gcsd.org/ge/ge/publications>

20 START (2017) Text: Global terrorism Index 2017

რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო კონტროლი არ ხდებოდა, ამის შემდეგ დაიწყო მათი კონტროლი.

ამის შედეგად, ოსამა ბინ ლადენი ყველაზე დიდხანს იყო ორგანიზაციის სათავეში - თუ სიზუსტისთვის ათვლას დავიწყებთ ორგანიზაციების პირველი თავდასხმიდან, მაშინ გუზმანი დაიჭირეს დაახლოებით 12 წელიწადში, შოკო ასაჰარა 8 წელში, ხოლო ბინ ლადენი - 23 წელში ორგანიზაციის დაფუძნებიდან. მაიკლ ფრიმანია მართალია იმასთან დაკავშირებით, რომ დროის სვლასთან ერთად ტერორისტული ორგანიზაციის გადანადგურების ალბათობა მცირდება, თუმცა მისი თეორია მცდარია, რადგან ეს არ ხდება ლიდერის გავლენის შემცირების გამო. მეტიც, შოკო ასაჰარასა და აბიმაელ გუზმანისგან განსხვავებით, ბინ ლადენის კულტი მისი სიკვდილის მერეც არ გამქრალა.

ორგანიზაციის „ასაკი“

ტერორისტული ორგანიზაციის ასაკის სტატისტიკურ მნიშვნელობას დაჯგუფების გადარჩენასთან მიმართებით ადასტურებს ბრაიან პრაისის და ჯენა ჯორდანის კვლევებიც-ბრაიან პრაიზი იკვლევს 207 ტერორისტულ ორგანიზაციას²¹. ჯენა ჯორდანი - 169.²² მიუხედავად იმისა, რომ ბრაიან პრაისი საბოლოო ჯამში ლიდერებზე თავდასხმას ეფექტურ პრაქტიკად აღიარებს, პარალელურად იმასაც აღნიშნავს, რომ რაც უფრო მეტი დრო სჭირდება სახელმწიფოს ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის დასაჭერად, მით უფრო ნაკლებ შედეგი მოაქვს ამ ოპერაციას. უფრო ზუსტად, ტერორისტული ორგანიზაციის არსებობიდან 10 წლის მერე ლიდერზე თავდასხმისგან თითქმის განახევრებულია დაჯგუფების გაქრობის მოლოდინი, ხოლო 20 წელიწადში ლიდერის შეპყრობას ეფექტი თითქმის აღარ აქვს. ჯორდანი უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ წლების გასვლასთან ერთად, ლიდერის ლიკვიდაცია არა მხოლოდ არაეფექტური, არამედ კონტრპროდუქტიულიც ხდება - თუ ორგანიზაცია 10 წელზე მეტხანს არსებობს, მაშინ ლიდერის ლიკვიდაცია უფრო ზრდის ორგანიზაციის გადარჩენის ალბათობას.

ტერორისტული ორგანიზაციისთვის ასაკი ორი მიზეზის გამო შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი: წლების განმავლობაში წევრების რაოდენობა იზრდება. ორგანიზაციის გაფართოებასთან ერთად კი იწყება ფუნქციების დანაწილება, ვინაიდან ერთი ადამიანი ვეღარ ფარავს წევრების გაზრდილ რაოდენობას. შემდგომ ტერორისტული ორგანიზაციის ეფექტური მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დაიწყებს ორგანიზაცია მოქნილი ბიუროკრატიული მექანიზმის შექმნას. თუ ლიდერი მოკლეს ან დაიჭირეს იმ პერიოდში, როდესაც ორგანიზაციის კონტროლი აღარ არის აკუმულირებული ერთი პირის ხელში და გადანაწილებულია წევრებს შორის, მაშინ ამ ქმედებას ნაკლები ეფექტი ექნება დაჯგუფების გადარჩენაზე. ამ იდეაზე აგებს ჯენა ჯორდანი თეორიას ორგანიზაციის გამძლეობის შესახებ.

21 Price, Bryan C. 2012. "Targeting Top Terrorists: How Leadership Decapitation Contributes to Counterterrorism." *International Security* 36 (4): 9–46. https://doi.org/10.1162/ISEC_a_00075.

22 Jordan, Jenna. 2014. "Attacking the Leader, Missing the Mark: Why Terrorist Groups Survive Decapitation Strikes." *International Security* 38 (4): 7–38. https://doi.org/10.1162/ISEC_a_00157.

ბიუროკრატის როლი

ჯენა ჯორდანს ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების ლიკვიდაციის არაეფექტურობის დასამტკიცებლად შემოაქვს თეორია ორგანიზაციული გამძლეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ტერორისტული ორგანიზაციის ძლიერება ორი ცვლადის მეშვეობით გაიზომება: ბიუროკრატია და სოციალური მხარდაჭერა. (იხ. დანართი 6)

ამ თეორიის მიხედვით, ბიუროკრატია ერთის მხრივ უზრუნველყოფს სტაბილურობას და ლიდერების მშვიდობიან მონაცვლეობას, ხოლო სოციალური მხარდაჭერა ხელს უწყობს ამ ორგანიზაციის ზრდას, რადგან საზოგადოებაში უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს ორგანიზაციაში განწევრიანების მზაობას. ამის საფუძველზე ავტორს შემოაქვს შემდეგი კლასიფიკაცია:

ორგანიზაცია მაღალი სოციალური მხარდაჭერით და ბიუროკრატის ხარისხით

ორგანიზაცია დაბალი სოციალური მხარდაჭერით, მარგამ მაღალი ბიუროკრატით

ორგანიზაცია მაღალი სოციალური მხარდაჭერით, მაგრამ დაბალი ბიუროკრატით

ორგანიზაცია დაბალი სოციალური მხარდაჭერით და ბიუროკრატით

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც სარგებლობენ მაღალი სოციალური მხარდაჭერითა და ძლიერი ბიუროკრატით (I) ყველაზე გამძლენი არიან ლიდერზე თავდასხმის ოპერაციის მიმართ. მართალია სოციალურ მხარდაჭერა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ძლიერი ტერორისტული დაჯგუფებისთვის, თუმცა ჯამში ბიუროკრატია უფრო მნიშვნელოვანია, რადგან იმ დაჯგუფებებს, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ბიუროკრატია და დაბალი სოციალური მხარდაჭერა (II) ლიდერის დაკარგვის შემდგომ უფრო ადვილად შეუძლიათ ძალების აღდგენა, ვიდრე ტერორისტულ დაჯგუფებებს მაღალი სოციალური მხარდაჭერითა და დაბალი ბიუროკრატის ხარისხით. (III).

აუმ შინრიკოს და ნათელი გზის შემთხვევაშიც, ლიდერების შეპყრობის შემდეგ, წევრების რაოდენობა მკვეთრად დაეცა და ორგანიზაციაც დაიშალა, რამაც განაპირობა მათი დასუსტება. ალ-კაიდა ლიდერის ლიკვიდაციის შემდეგაც, ამ კლასიფიკაციის მიხედვით, პირველ კატეგორიას იკავებს, რომელიც მიუთითებს მაღალ სოციალურ მხარდაჭერასა და ბიუროკრატიაზე. სადავო შეიძლება იყოს, რამდენად გააჩნია ალ-კაიდას მოქნილი ბიუროკრატია დეცენტრალიზაციის გამო. მეორეს მხრივ, ალ-კაიდამ ჯერ კიდევ ოსამა ბინ ლადენის მმართველობის დროს დაიწყო დეცენტრალიზაცია, თუმცა ორგანიზაციამ მაინც შეინარჩუნდა ცენტრალური აპარატი, სადაც ალ-კაიდას ლიდერებს ფუნქციები ჰქონდათ დაყოფილი, ამიტომ იმის თქმა, რომ ალ-კაიდას სუსტი ბიუროკრატია აქვს, რადგან დეცენტრალიზებულია, არასწორია.

რაც შეეხება სოციალური მხარდაჭერას, ამის გასაზომად დავეყრდნობი რობერტ პეიპის თეორიას, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაციის მხრიდან სუიციდური ტერაქტების დიდი რაოდენობა დამოკიდებულია ამ დაჯგუფების მიმართ მაღალ სოციალურ მხარდაჭერაზე, ანუ თუ დიდი მხარდაჭერა არსებობს, მაშინ ტერორისტული ორგანიზაციების წევრები უფრო მეტად აწყობენ სუიციდურ თავდახმებს.²³ მხოლოდ 2020 წელს ალ-კაიდას სახელს უკავშირდება 66 სუიციდური ტერაქტი, თვალსაჩინოებისთვის, ეს რიცხვი 2020 წლის მთლიანი სუიციდური ტერაქტების 52%-ია²⁴, ანუ ნახევარზე მეტი ტერაქტი ალ-კაიდას სახელს უკავშირდება, რაც

23 Pape, Robert. 2006. *Dying to Win: The Strategic Logic of Suicide Terrorism*. Reprint edition. New York: Random House Trade Paperbacks.

24 "Suicide Bombings Worldwide in 2020." n.d. INSS (blog). Accessed March 26, 2021. <http://www.inss>.

ადასტურებს იმ მოსაზრებას, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ძალად რჩება ალ-კაიდა რეგიონში, ეს იმის ფონზე, როდესაც ამერიკული ჯარის შემცირებული ნაწილი კვლავ რჩება ალ-კაიდასთვის ყველაზე მნიშვნელოვან ტერიტორიაზე - ავღანეთში.

იდეოლოგიის როლი ორგანიზაციის გამძლეობაში

ლიდერის მონაცვლეობის მიუხედავად, ალ-კაიდას გამძლეობის ასახსნელად შესაძლოა შეგვხვდეს ისეთი არგუმენტებიც, რომლებიც მთავარ ფაქტორად რელიგიას მოიაზრებენ. ამით შეიძლება ახსნან ალ-კაიდას გამძლეობა „ნათელ გზასა“ და „აუმ შინრიკოსთან“ შედარებით, რომლებიც მეტწილად იდეოლოგიაზე იყვნენ დაფუძნებული. სინამდვილეში ეს არგუმენტი არ ეწინააღმდეგება თეორიას ორგანიზაციული გამძლეობის შესახებ, მეტიც, ჯენა ჯორდანის რაოდენობრივ კვლევაშიც ჩანს, რომ რელიგიური და სეპარატისტული დაჯგუფებები უფრო გამძლეები არიან ლიდერის მონაცვლეობის მიმართ, ვიდრე იდეოლოგიაზე დაფუძნებული დაჯგუფებები.

ამის მიზეზი შეიძლება იყო განსხვავება იდეოლოგიასა და იდენტობაზე დაფუძნებულ მოძრაობას შორის. პირველი იბრძვის იმისთვის, თუ როგორ უნდა იმართებოდეს პოლიტიკა, ამიტომ მეტად არის დამოკიდებული ცალკეულ პერსონებზე, ლიდერებზე, რათა გზამკვლევი ანახონ, მაშინ როცა იდენტობაზე დაფუძნებულ მოძრაობაში წევრები თავს სხვებისგან ფუნდამენტურად განსხვავებულად მოიაზრებენ და მათი ბრძოლა არის თვითგამორკვევისთვის ბრძოლა, რაც ხშირ შემთხვევაში უფრო სასტიკია და ხანგრძლივი, რადგან ცალკეული ლიდერები იდენტობას ვერ ქმნიან. ამ მხრივ, განსხვავება არ არის ნაციონალისტურ და რელიგიურ დაჯგუფებებს შორის, ორივე დაკავშირებულია კონკრეტულ იდენტობასთან. ამ თეორიას ისიც ადასტურებს, რომ დროთა განმავლობაში რელიგიური დაჯგუფებებიც კი იცვლიან ფორმებს, რათა მოერგონ საზოგადოებას და გადარჩნენ, ამის ერთ-ერთი მაგალითია შიიტურ დაჯგუფებებში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული თაკიას პრინციპი, რომლის მიხედვითაც შიიტს ეძლეოდა რელიგიის დაფარვის უფლება - ეს შიიტებისთვის იყო აუცილებელი, რათა გადარჩენილიყვნენ სუნიტების პოლიტიკური დომინაციის პირობებში.

დასკვნა

არც რაოდენობითი და არც ხარისხობრივი კვლევა არ გვაძლევს ცალსახა პასუხს, რომ ლიდერებზე თავდასხმა სრულიად ეფექტურია ან სრულიად არაეფექტური. გარე შეზღუდვების გარდა, რაც დაკავშირებულია მწირე მონაცემებთან და დაფარულ ინფორმაციასთან, პრობლემები ჩნდება ეფექტურობის განსაზღვრებაშიც. ხშირ შემთხვევაში ლიდერზე თავდასხმა არ არის ერთადერთი ტაქტიკა და მის პარალელურად სხვა ოპერაციებსაც იყენებენ ტერორიზმის წინააღმდეგ, როგორცაა მაგალითად, ცალკეული წევრების შეპყრობა და ინფორმაციის გაგება, ფინანსური წყაროების ჩაჭრა, სამხედრო ინტერვენციები და სხვა. მაგალითად, ავღანეთში, ალ-კაიდასთვის ყველაზე მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ არის განლაგებული ამერიკის ბაზა, რაც ალ-კაიდას მანევრირებაში უშლის ხელს, ამიტომ რთულია ლიდერზე თავდასხმის ეფექტის გამოცალკეება სხვა ფაქტორებისგან.

ამ სირთულეების მიუხედავად, უმრავლესობა რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევებში ბევრ ფაქტორს შორის განსაკუთრებით იკვთება ტერორისტული დაჯგუფების „ასაკის“ მნიშვნელობა გადარჩენისთვის - თუ ორგანიზაცია დიდხანს არსებობს, დროთა განმავლობაში ის იზრდება და რადგან ლიდერი ველარ ფარავს წევრების გაზრდილ რაოდენობას, ორგანიზაციაში იწყება ფუნქციების დანაწილება, შედეგად ლიდერის ლიკვიდაცია/შეპყრობა ნაკლებ ზარალს აყენებს ტერორისტულ დაჯგუფებას, მეტიც, ზოგ შემთხვევაში ტერაქტების რიცხვი ლიდერის ლიკვიდაციის შემდგომ იზრდება კიდევ. გარდა ბიუროკრატიის აუცილებლობისა ჯენა ჯორდანი თავის მოდელში ამატებს სოციალური მხარდაჭერის ფაქტორსაც, რადგან ამის წყალობით იზრდება ორგანიზაცია და შემოდიან ახალი წევრები.

მეორეს მხრივ, ალ-კაიდას მაგალითზე ვიხილეთ თითო ტერაქტებზე შემცირებული მსხვერპლიანობა, რაც შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ლიდერის შეპყრობის შემდეგაც ორგანიზაციის წევრებში ბრძოლის მზაობა კვლავ რჩება, მაგრამ მცირდება ხარისხი - ამ გაგებით, ლიდერის შთამაგონებელი როლი მისი სიკვდილის ან დაჭერის მერეც რჩება, რასაც ეძახიან „წმინდანის ეფექტს“, სამაგიეროდ ქრება მისი ოპერაციული შესაძლებლობები. შესაბამისად, ისეთი ლიდერების შეპყრობა, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ტერაქტების დაგეგმარებასა და აღსრულებაში უფრო მეტადაც აზარალებს ორგანიზაციას, ვიდრე ვებერისეული გაგებით „ქარიზმატული ლიდერის“, რადგან ხშირად „ქარიზმა“ ლიდერთან ერთად არ კვდება, თუმცა ეს არ არის დამოკიდებული ცალკეული ლიდერის პოპულარობაზე, რაც დაგვანახა აუმ შინრიკოსა და ნათელი გზის ლიდერების მაგალითმაც, არამედ იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ორგანიზაციას ლიდერის მონაცვლეობის შემდგომ ოპერაციული ერთიანობის შენარჩუნება, რათა ის ზიანის აღიდგინოს, რასაც ლიდერის დაკარგვა იწვევს.

მარიამ ქართველიშვილი საქართველოს უნივერსიტეტში 2021 წლის ნოემბრიდან მუშაობს მონაცემთა ანალიტიკოსად კვლევებისა და განათლების მიმართულებით. 2021 წლის თებერვლიდან ოქტომბრის ჩათვლით მუშაობდა ჟურნალისტად ონლაინ გამოცემა ტაბულაში, სადაც ფარავდა ადგილობრივი პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებს. 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით გაიარა სტაჟირება აშშ-ის საელჩოში ეკონომიკისა და პოლიტიკის დეპარტამენტში. 2017-2021 წლებში სწავლობდა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობებზე ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

Price, Bryan C. 2012. "Targeting Top Terrorists: How Leadership Decapitation Contributes to Counterterrorism." *International Security* 36 (4): 9–46. https://doi.org/10.1162/ISEC_a_00075.

Jordan, Jenna. 2014. "Attacking the Leader, Missing the Mark: Why Terrorist Groups Survive Decapitation Strikes." *International Security* 38 (4): 7–38. https://doi.org/10.1162/ISEC_a_00157.

"When Heads Roll: Assessing the Effectiveness of Leadership Decapitation: *Security Studies: Vol 18, No 4*." n.d. Accessed March 27, 2021. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09636410903369068>.

Pape, Robert. 2006. *Dying to Win: The Strategic Logic of Suicide Terrorism*. Reprint edition. New York: Random House Trade Paperbacks.

Berman, Eli. 2009. *Radical, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism*. The MIT Press. <https://www.jstor.org/stable/j.ctt5hhm51>.

Stimson Study Group. 2018. Text: Counterterrorism spending: Protecting America While Promoting Efficiencies and Accountability: 11-15 https://www.stimson.org/wp-content/files/file-attachments/CT_Spending_Report_0.pdf

Audrey Kurth Cronin (2009) Text: How terrorism ends : understanding the decline and demise of terrorist campaigns, Princeton University Press <https://press.princeton.edu/books/paperback/9780691152394/how-terrorism-ends>

Hafez, M. M., & Hatfield, J. M. (2006). Text: Do Targeted Assassinations Work? A Multivariate Analysis of Israel's Controversial Tactic during Al-Aqsa Uprising. *Studies in Conflict & Terrorism* <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10576100600641972>

Aaron Mannes (2008) Text: Testing the Snake Head Strategy: Does Killing or Capturing Its Leaders Reduce a Terrorist Group's Activity? *The Journal of International Policy Solutions* https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2988670

Freeman, Michael (2010) Text: The headless horseman: a theoretical and strategic assessment of leadership targeting; <https://calhoun.nps.edu/handle/10945/48241>

Crenshaw, Martha. 1991. "How Terrorism Declines." *Terrorism and Political Violence* 3 (1): 69–87. <https://doi.org/10.1080/09546559108427093>.

Jones, Seth G., and Martin C. Libicki. 2008. *How Terrorist Groups End: Lessons for Countering Al Qa'ida*. Santa Monica, CA: Rand.

Lahoud, Nelly, Stuart Caudill, Gabriel Koehler-Derrick, Don Ressler, and Muhammad al-'Ubaydi. 2012. "Letters from Abbottabad: Bin Ladin Sidelined?" *Combatting Terrorism Center at West Point*. <https://www.jstor.org/stable/resrep05595>.

"Suicide Bombings Worldwide in 2020." n.d. INSS (blog). Accessed March 26, 2021. <http://www.inss.org.il/publication/suicide-attacks-2020/>.

"The Theory of Social and Economic Organization: Weber, Max, Henderson, A. M., Parsons, Talcott:

9781614272571: Amazon.Com: Books." n.d. Accessed March 26, 2021. <https://www.amazon.com/Theory-Social-Economic-Organization/dp/1614272573>.

"Al Qaeda's Organizational Structure and Its Evolution: Studies in Conflict & Terrorism: Vol 33, No 12." n.d. Accessed March 26, 2021. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/1057610X.2010.523860?journalCode=uter20>.

"Full Article: Beheading the Hydra? Does Killing Terrorist or Insurgent Leaders Work?" n.d. Accessed March 26, 2021. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14702436.2013.845383>.

"How Terrorist Groups Learn: Implications for al Qaeda | RAND." n.d. Accessed March 26, 2021. <https://www.rand.org/blog/2019/03/how-terrorist-groups-learn-implications-for-al-qaeda.html>.

"The Trouble with Targeted Killing: Security Studies: Vol 21, No 3." n.d. Accessed March 26, 2021. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09636412.2012.706513>.

Neta C. Crawford. 2008. Costs of war, Brown University

Crawford, Neta C. n.d. "Human Cost of the Post-9/11 Wars: Lethality and the Need for Transparency," 11. Brown University

"The 9/11 Commission Report." n.d., 585.


"Does Decapitation Work? Assessing the Effectiveness of Leadership Targeting in Counterinsurgency Campaigns." n.d. Belfer Center for Science and International Affairs. Accessed March 26, 2021. <https://www.belfercenter.org/publication/does-decapitation-work-assessing-effectiveness-leadership-targeting-counterinsurgency>.

Hoffman Bruce. 2009. "The Myth of Grass-Roots Terrorism," January 28, 2009. <https://www.foreignaffairs.com/reviews/review-essay/2008-05-03/myth-grass-roots-terrorism>.


Peters, Heidi M. n.d. "Department of Defense Contractor and Troop Levels in Afghanistan and Iraq: 2007-2020," 24.

დანართები


დანართი 1. ლიდერის მნიშვნელობა ორგანიზაციისთვის. წყარო: Freeman, Michael



დანართი 2. ლიდერთა შედარება ოპერაციული ფუნქციისა და შთამაგონებლის როლის მიხედვით. წყარო: Freeman, Michael




დანართი 3. „ნათელი გზის“ ტერორისტული აქტივობის დინამიკა. წყარო: MIPT Terrorism Knowledge Base



დანართი 4 & დანართი 5. ალ კაიდას სახელთან დაკავშირებული თავდასხმების რაოდენობა წლების მიხედვით. წყარო: Global Terrorism Database

წელი	2006	2007	2008	2009	2010
ინციდენტი	95	128	128	159	163
წელი	2011	2012	2013	2014	2015
ინციდენტი	230	646	763	565	496



დანართი 6. ორგანიზაციული გამძლეობის თეორია. წყარო: jordan, jenna

		ბიუროკრატია	
		მაღალი	დაბალი
სოციალური მხარდაჭერა	მაღალი	I გადარჩება (შურს იძიებს)	III გადარჩება (აღდგენა გაუჭირდება)
	დაბალი	II გადარჩება (აღვილად აღდგება)	IV კოლაფსი